

კვირის პალიტრა

1168  
თიბე

სვ

# თბილისი



## რამ გააბიჯა მსახიობი?!

N44(125) 31/X.-6/XI.2002.

ფასი 60 თ.

### ზურა ყიფშიძეა შეყვარებული ქალი პასუხს ელის

განმეორებული მკვლელობა – განსასჯლები ჩვენებებს ცვლიან



### „პირველი ღობის“ სასიყვარულო სვლები



### ვის ელოდება ქრისტინე



**თენგიზ ლოღობერიძე (ბასას შვილი):**

**„ეროსი განჯგაღამე ჩვენთან არ მოსულა,  
მიტხრას, რომ კარაგღე მოვიდა თურგე,  
მერე მიგრუნებულა და წასულა, — რა ვენა,  
ამ მდგომარეობაში ბასას ვერ ვნახავო...  
ყვალას არ შეეძლო ამ ტკივილის გაძლევა...“**

**მინიატურები**

მოსკოვს ნიანგის  
სრამლები სჯერა... 3

**ერთი კითხვა** 4

**ქსეპრტი**

„რუსეთი ახლა დაგნაშავის  
ქებნას დაინყვებს...“ 7

**ჰოიანი**

სრამდომრეული ქართველები  
განკებენგა 10

**რეპორტაჟი**

ნახევრად ჩანგული მამაკაცები,  
ნორჩი მოღვლები და  
იმპროვიზებულად შექმნილი  
უჩვეულო ვარსხნილობა 11

**კრიმინალი**

• ბრალდებულები კოლინცილთა  
გვლელობას უარყოფენ 12

• სამარშრუტო ტაქსის მგლოლი  
მეხსლსასროლი იარაღით  
მოკლული იკოვეს 14

• „ნიკა ლომინაის გვლელობას  
პროკურატურა არაოზიიქტურად  
იძიებს“ — ანხაღებენ 15

• ბრალდებულის აღვოკატები  
• კებნიაური გვლელობებს  
არ აღიარებს 15

**გამოკვება**

ქრისტინე პრინსის გამოჩენაგდე  
გულის ფორმის  
„ბრელკით“ თებება... 16

**მუზა**

გურაბ ყიფშიქეზე შეყვარებული  
კოები ქალი პასუხს ელოდება... 18

**ანექდოტები**

რაგე იმინის მსოფლიო 20

**სიხსლე**

მომრავლება თუ არა  
თბილისში „აზრიკული თავეები“? 21

**დავაქტორი**

ვის ისურვებდა თანასაკნელად  
ელენე თველორაქე? 22

**ანტიღვარსანტი**

ინფორმაციულ-შეგნენებითი  
კოლაჟი გონა ღვალის  
უბის ნიბნაკიდან 24

**ფსიქარი**

ჩიბბირი კი არ იპარავს —  
ფულს ჩიბბიდან ანლის... 24

„რუსეთი ახლა დაგნაშავის  
ქებნას დაინყვებს...“



ფსიქოლოგები იცნობენ ამ ფენო-  
მენს: როცა მსხვერპლი ყენობა გერ-  
ტორისგის მოქმედების მოტივეებს, მის  
გასაჭირს, ხშირ შემთხვევაში მის მხ-  
არებზე გადადის ხოლმე. ევროპაში  
მომხდარა რამდენიმე შემთხვევა,  
როცა გერტორისგებს მძველები საკ-  
უთარი განითაც კი გადაეფარნენ.

7


ზურაბ ყიფშიქეზე შეყვარებული  
კოები ქალი პასუხს ელოდება...

ეს ყველაფერი თცდაშვიდი წლის  
წინ დაიწყო და ღღესაც გრძელდ-  
ბა. თუ ჩემს ამდენი ხნის სიყ-  
ვარულს დააფასებს და სიყვარუ-  
ლით უპასუხებს, ვიგყვი, რომ ღმერ-  
თმა სიყვარულში გამიმართლა. თუ  
მას მოესურვება და მობრძანდება,  
ყოველთვის სიხარულით მივიღებ.



18

ბრალდებულები კოლინციის  
თანამშრომელთა გვლელობას უარყოფენ




ბაზრობის გერტიგორიაზე განხ-  
ორციელებულმა ყანაღურმა თავ-  
დასხმამ პოლიციის თანამშრომლის  
სიცოცხლე იმსხვერპლა. ერთ-ერთმა  
ბოროტმოქმედმა დაღვენებულ პო-  
ლიციელს „მაკაროვის“ პისტოლე-  
გის ლულა სხეულზე მიადო და ასე,  
მიბჯენით, მას გულმკერდში ტყვია  
დაახალა.

12

სრამდომრეული  
ქართველები განკებენგა

29 თქტომბერს ქართველი მომ-  
ღერლები ამერიკიდან დაბრუნდნენ.  
კონცერტი, კლუბ „ნაციონალში“  
ჩაგარდა. ბილეთის ფასი 100 დოლარ-  
ი იყო. „ნაციონალი“, ძალიან პრეს-  
ტიჟული კლუბია. კონცერტმა ანშ-  
ლაგით ჩაიარა.“ — მითხრა ნეკა  
სებისკვერაძემ, რომელსაც ჩამოსე-  
ლის ღღეს დაგუკავშირდი.



10

სამაქტოვალის  
პრეზენტაციის  
შედეგით

**ოჯახი**

ირაკლისა და მაგლას  
თაფლობის თვე  
ქორწილაგლე ჰქონიათ 27

**მოვლენა**

ბასა - ფეხბურთის სიყვარული  
ანუ სოსხველი ბიჭის ბატახება 30

**ქინოს საყვარო**

ქონი ღევი ღაჰკვიანდა 32

**რჩეულთა საყვარო**

ღიადი ღიდი ბრიტანელები 33

**საფეხბურთო მინდვრებსა**

34

**ვარსკვლავი**

მეამბოხე სულის მომღერალი  
ანუ მხიარული ქვრივი 36

**აღაფიანი-ღეგენა**

ქასი ქაიფსი - აფერიკის  
სათაყვანებელი ბანღიტი 39

**რომანი**

რუსულან ბერიკა.  
ქალური ინტუიციია ანუ  
ჰიამაიას ფრთები (ბაბრქელეა) 42

**რინე**

46

**სოკრტული მოზაიკა**

47

**მოთხრობა**

თამაზ ქორქოღიანი.  
ავის მოწიქული (ბაბრქელეა) 48

**ავტო**

50

**აქითური-იქითური**

52,54

**ჯანგერთაღოზა**

- სიფმარი თუ ღიაზნოგი 56
- მფვიღოგით, ღიკო 57
- კითხვა-კასუხი 58
- თქვენი პატარა 59

**ტაქარი**

რა უნღა ვინოღეთ  
ნათღობის მესახება 60

**სქანვოროღი**

61

**ჰოროსკოპი**

კვირის (4-10 ნოემბერი)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტასტი**

ნიჰიერიია თუ არა  
თქვენი შვილი? 63

**ქალღიღოსკოპი**

ჰრქელ-ჰრქელი ამბავი 64

# ირაკლისა და მაგლას თაფლობის თვე ქორწილაგლე ჰქონიათ



27

არც კი დამჭირვებია იმის ახსნა, თუ რა მოხდა წარსულში, რაგომ დამეფგრა ოჯახი და ა.შ. არც ერთს არ გვაქვს იმის პრობლემა, რომ ადრე ჩემს ცხოვრებაში სხვა აღამიანი არსებობდა. იყო და მორჩა - აღარ არის...

# ვის ისურვებღა თანასაგნელად ეღენე თეგღოგაკე?

...ამიგომაც ხღება, ცოლ-ქმარი ან შეყვარებულები რომ იყრებია. როგორც წესი, რაღაც უცხო სხეული ჩნღება მათ ურთიფერთობაში. ეს „უცხო სხეული“ უპირვეღესად, ღალაგია, რომელიც ღიდ გახწეთ-ქიღებას შობს. მაგრამ მოღით, ნუ ღავივიწყებთ ღოგინს, სექსს - ამას უღიდღესი მნიშვნეღობა აქვს.



22

# მეამბოხე სულის მომღერალი ანუ მხიარული ქვრივი



მან საკუთარ თავში ძალღა იძღვა და მართღაც შეუძღღებელი შეძღღო. ქმრის სიკვღიღის შეძღღე უღიდღესი წარმაგებები, მთიქოვა, ჰოღივეუღღში აღღიღი ღაღმკვიღრა და მაღონღას უახღღესი მვეგობარ-იც გახღდა.

36

# ქათური იხწყიღვა ანუ ჰიამაიას ფრთები

...ნინიმ ღაინახა, თეოს სახე როგორ მოქეცა და მაშინვე გამარჯვებულის იერი მიიღღო.

- ნინი! - აღმფოთებისგან კი-ნაღამ ფეხზე წამოხგა ბაგონი გოგი. - ღაფიქრღი, რაებს როშავ? იცი, რომ ქაღბბაგონი თეო ცნობიღი მსახიობია?!



42

**გარეამანეზი: გიორგი შორქოღიანის კოღვაში**

საზოგადოებრივ-პოღიტიკური ჟურნალი „გზა“ გაამოღის კვირაში მრთხელ, სუთზაბათოგით გაავით „კვირის კალიტრის“ ღაზაბება

ჟურნალი ხელმღღვანეღობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რეღექციის აზრი შესაძღღოა არ ეთხვეუღეს მასაღის ავტორის აზრს.

მთავარი რეღაქტორი: ზურაბ აბაშიძე


რეღაქტორი: გოჩა ტყეშელაშვიღი

მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვიღი

მისაბართი: თბიღიღი, აკურის ქ. №8 ტეღ: 33-50-32

ჟურნალი იბეჭღება გაამოცემღობა „კოღორში“

# მოსკოვს ნიანგის ცრემლების სჯერა...



„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები...“ – დიდი გალაკტიონის ეს სტრიქონი, ისევე, როგორც ნებისმიერი გენიოსის ნებისმიერი შედეგრი, სხვა არაფერია, თუ არა პოეტის მიერ კაზმული სიტყვით გამოხატული მეცნიერული ჭეშმარიტება.

მართლაც, დამეთანხმებით, რომ შორიდან ერთი მხრივ, თითქოს უფრო ადვილია ყველაფრის აღქმა და შეფასება, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ შორიდან ყურებისას საგნის, აღმნიშნისა თუ მოვლენის უარყოფითი მხარეები უფრო იჩქმალება და ყველაფერი რეალურზე უკეთესად გამოიყურება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოეტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, – შორიდან უფრო ტკბებოდა, ამ შემთხვევაში საყვარელი ქალის სილამაზით, რომლისთვისაც

ასლოდან რომ შეეხედა, იქნებ მეჭვიცი კი ჰქონდა ცხვირზე, ან თანდაყოლილი სიღმე სჭირდა, ან სულაც „მოქალაქეთა კავშირის“ წევრიც კი იყო!



„... მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი!“ – ასე გრძელდება ის ლექსი და ჭეშმარიტი ხელოვანი კვლავაც ჭეშმარიტებას ღაღადებს. ოცნება! – ეს არარეალური, არარსებული და აუხდენელი, მაგრამ ლამაზი და საყვარელი...

ახლა „საქმეზე“ გადავიდეთ: ნიანგი! დახ, დახ, ნიანგი! გნებავო, ნილოსის (ანუ აფრიკული), გნებავო, აზიური ალიგატორი თუ ამერიკული კაიმანი – ყველა ერთი ოხერია!

ჩვენ – განათლებულმა ხალხმა, ხომ ვიცით, რომ ნიანგზე საზიზღარი არსება დედამიწის ზურგზე არ დადოდავს (ამაზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ), მაგრამ აბა, გაიხსენეთ ბავშვობა (ე.ი. ის დრო, როდესაც მეოცნებეები, ანუ „ცოტათი პოეტები“ ვიყავით): ნიანგ გენაზე ლამაზი, კეთილი და ჭკვიანი თუ იყო ვინმე და რამე, ხომ არ გვეგონა?! როგორ ზრუნავდა თავის მეგობარ ჩებურაშკაზე და როგორ ეხმარებოდა ცუგრუმელა პიონერებს მია ლენინის ანდერძის შესრულებაში?! საქმე ის არის, რომ გენასადმი „საყოველთაოსაბავშვო“ სიყვარულის მიზეზი მხოლოდ „ბავშვობა“ და „პოეტობა“ კი არ იყო, არამედ სწორედ ისიც, რომ „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“ და „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“, უფრო პროზაულად რომ ვთქვათ: „კარგია იქ, სადაც ჩვენ არა ვართ!“ ნიანგი მხოლოდ ზოოპარკში გვყავდა ნანახი (ისიც ყველას არა) – მშვიდი და სასაცილო და მეორე აგერ – გენა! ამიტომაც გვიყვარდა, თორემ დარწმუნებული ვარ, ამ მულტფილმს არავითარი წარმატება არ ექნებოდა აფრიკელ ბავშვებში (იმის მიუხედავად, რომ ბავშვი, ყველგან ბავშვია), რომელთა



ოჯახებში ნიანგების მიერ შეჭმული წინაპრების საღვებრძელო ყოველთვის განსხვავებული სასმისით ისმებოდა და რომლებიც თაკარა აფრიკული მზით დასიცხულები, ნაღვლიანად გაჭყურებდნენ ნილოსის გრილ ტალღებს, რადგან სწორედ „გენების“ (თუ „გენების“) შიშით, ვერ შედიოდნენ წყალში...

მეცნიერებისათვის დღემდე აუხსნელი თვისება აქვს ნიანგს – თავის ახალგამორჩევილ შვილებს შესანსლავს და შემდეგ კი, ცხარე ცრემლებით ტირის! ალბათ ჰგონია, რომ ვინმეს შეეცოდება.

როდესაც პუტინი რუსეთის პრეზიდენტი გახდა, მასსოვს ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე, რომელიც საბავშვო გადაცემაში პატარა რესპონდენტმა თქვა: „მე ყველაზე მეტად მიყვარს დედიკო, მამიკო, ჩვენი კატა და პრეზიდენტი პუტინი, იმიტომ, რომ ის ძალიან საყვარელია და ძალიან ჰგავს ნიანგ გენას!“ – ჟურნალისტმა მაშინ იუმორში გაატარა ეს სიტყვები, მაგრამ იმაზე არ უფიქრია, რომ ხშირად ბავშვის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს და ისინი ქვეშეუცნობლად იმას ხედავენ, რაზეც უფროსები არც დაფიქრებულვართ.

მაშინ რუსეთიცა და მთელი „პროგრესული კაცობრიობაც“

აღტაცებული იყო, – როგორც იქნა, რუსეთის ახალგაზრდა, ენერგიული და განათლებული მმართველი ჩაუდგა სათავეში, თანაც უცხო ენა იცისო, ევროპაში ნაცხოვრებ-ნამუშევარია და დასავლურ კულტურას ნაზიარებო, მთელი მსოფლიო უნდა დაეხმაროს და გვერდში ამოუვადგეთო!.. წამოვიდა და წამოვიდა გრანტ-პრედიტები რუსეთში „დემოკრატიული გარდაქმნების“ ხელშესაწყობად!

რატომღაც, მაშინ არავინ აღნიშნავდა იმას, რომ რუსეთის „ახალგაზრდა და პროგრესულმა“ პრეზიდენტმა გერმანულიც იმიტომ იცოდა წყალივით და ევროპაშიც იმიტომ იყო ნაცხოვრები, რომ სუკის შტატბიანი რეზიდენტი ბრძანდებოდა და „პატიოსნად“ ემსახურებოდა „სოიუზ ნერუშიმის“. მხოლოდ იმ ბავშვმა მიამსგავსა ნიანგს, მაგრამ უფროსებმა ვერ გაუგეს... შემდეგ, როდესაც პირველი აღტაცება დაცხრა და (პ)რეზიდენტი საქმეს შეუდგა, დასავლეთში უკვე ბევრი მიხვდა, რომ ესეც „გენა“ იყო, ოღონდ წინამორბედებზე უფრო ახალგაზრდა და მიზანმიმართული, ამდენად – უფრო საშიშიც. გასულ კვირაში კი ყველაზე გამოუსწორებელი ოპტიმისტებიც დარწმუნდნენ, რომ დაუშვებელია პუტინის გამართლება და უკვე იმასაც ვფიქრობ, რომ „შეჩვეული ტირისა“ არ იყოს, „ნიანგის ტირილს“ ისევე „მელას სიცილი“ გვერჩიოს...

პროპოკატორი

## „ტერორისტებს შორის აბანტების იყენებ“

— **მაინც ვინ იყო მოვსარ ბარაევი, როგორ ახასიათებენ მას თვითონ ჩერნობი და რა კომენტარს უკეთებენ საქართველოში მცხოვრები ჩერნობი რუსეთში მომხდარ ფაქტს?**

**მეძა ხანგოშვილი**, „კავკასიური სახლის“ ჩერნეთ-ინგუშეთის განყოფილების გამგე:

— გავიგე თუ არა ის, რაც რუსეთში მოხდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ მოსკოვური ტერაქტი სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსული სპეცსამსახურების მიერ დადგენილი მორიგი სპექტაკლი. დღესაც ამავე აზრის ვარ. ის, რაც რუსეთში მოხდა, მხოლოდ რუსებს აძლევდა ხელს და მოვსარ ბარაევს ჩერნობისთვის სასიკეთო საქმე არც ამჯერად გაუკეთებია. მე ვერ დაგინახიათ მთავარ ბარაევს, რადგან მას პირადად არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთს ვიტყვი: რუსულმა სპეცსამსახურებმა ამ ოპერაციაში ბევრი ჩერნობი პატრიო-

ტის გრძნობაზე ითამაშეს და თავიანთი ბინძური გეგმის განსახორციელებლად, სამშობლოზე ფანატიზმამდე შეყვარებული ადამიანებიც გამოიყენეს. მათ, ვისაც ტერორისტებს უწოდებენ, მართლაც გულწრფელად უნდოდათ, რაღაც კარგი გაეკეთებინათ თავიანთი სამშობლოსათვის, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ. მაგრამ სამწუხაროდ, ამ ადამიანებს შორის იყვნენ აგენტებიც. პანკისში დღეს ყველა ამბობს, რომ ასეთი აქტებით ჩერნობის საქმე არ მოგვარდება. უზუსტესებიც და ლტოლვილებიც ტერაქტს უარყოფითად აფასებენ. ტერაქტი ოფიციალურად დაგმო იჩქერიის რესპუბლიკამაც. უდანაშაულო ხალხის სიცოცხლის ხელყოფის გზით მიზნის მიღწევა ჩვენს მენტალიტეტში არ ზის. მეც და ჩემს ხალხსაც მხოლოდ ერთი გულისტკივილი გვაქვს, რომელიც ამ აქტის შემდეგ უფრო ნათლად დავინახეთ: როდესაც საფრთხე შეექმნა შეიდასი



ადამიანის სიცოცხლეს, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა, ხოლო როცა რუსებმა ერთმილიონიანი ჩერნობი მოსახლეობის ნახევარი გაწვეტიეს, ამაზე ხმა არავის ამოუღია, — აი, ეს არის ის, რასაც პატარა ქვეყნის ტრაგედია ჰქვია.

## „არჩვენებში მონაწილეობას ვიღებთ, მაგრამ ეს არ არის კომპრომისი“

**ლმდეგი იყავით, რატომ შეცვალეთ სტრატეგია?**

**ბურამ აბსანძი**, კავშირის თავმჯდომარე:

— დადგა დრო, გადავარჩინოთ საქართველო. ჩვენ ვუცხადებდით დაუმორჩილებლობას, ვებრძოდით ამ ხელისუფლებას, მაგრამ არც ერთმა მეთოდმა, რომელსაც აქამდე მიემართავდით, არ გაამართლა. ჩვენ 10 წლის განმავლობაში ვერ ჩამოვყალიბდით იმ ძალად, რომელიც მშვიდობიანი გზით მოაშორებდა ამ ხელისუფლებას ქვეყანას. არჩვენებში ჩვენი მონაწილეობა არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, როგორც კომპრომისი მთავრობასთან. ჩვენი გადაწყვეტილება — შეგვეცვალა სტრატეგია, — არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ხე-

ლისუფლების უზენაესი საბჭოს წევრები მიიღებენ არჩვენებში მონაწილეობას: თუ ეროვნული ძალები შეძლებს გამარჯვებას, გადაწყვეტილი გვაქვს, გამარჯვებისთანავე გადავცეთ ახალარჩეულ პარლამენტს ლეგიტიმურობა, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას აქვს და ამით აღვადგინოთ სამართლიანობა, ვინაიდან დღეს ქვეყანას მართავს ხუნტის სამართალმემკვიდრე ხელისუფლება. განვილიშა ათმა წელმა გვაჩვენა, რომ ამ ხელისუფლებამ უფსკრულში გადაჩეხა ქვეყანა. მხოლოდ ჩვენ ვართ ის ძალა, რომელსაც შეუძლია დააბრუნოს დაკარგული ტერიტორიები, ის ანაბრები, რომელიც ხელისუფლებამ მოსახლეობას ძალით და მოტყუებით წაართვა, ის სიმდიდრე, რომელიც ამ ხელისუფლებამ ე.წ. ნულოვან აუქციონზე ჩალის ფასად მიჰყიდა ან აჩუქა უცხოელ პარტნიორებს. ჩვენ ამის გასაკეთებლად ყველა იურიდიულ მექანიზმს ვვლობთ. მთელი ამ წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა უზენაესი კანონიერი ხელისუფლება, რომელიც აქტიურად მუშაობდა. მუშაობდა იმისათვის, რომ ეს ბერკეტები ხელიდან არ გაგვეშვა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „სამართლიანობის აღდგენის კავშირი“ მომავალ არჩვენებში გაიმარჯვებს.



— **„ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირმა“, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყვიტა არჩვენებში მონაწილეობის მიღება. აქამდე თქვენ ამის კატეგორიული წინაა-**



**სახელმწიფოებრივ დონეზე განხორციელებული ძალადობა მხოლოდ ერთი შედეგით — საპასუხო ძალადობით შეიძლება დაგვირგვინდეს.**  
**ნელსონ მანდელა**

**ბენილუკი**

### „პრეზიდენტის იმპიჩმენტს ვერ ელირსებით!“

— ასლან აბაშიძე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის შესახებ ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებს განაგრძობს. პათუმურ ბლოკს უკვე აქვს 70 ხმა. პროცედურის დასაწყებად კი, 79 ხელმოწერაა საჭირო. შეძლებენ თუ არა ისინი, საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვებას და ამის საპირისპიროდ, რა ღონისძიება აქვთ დაგეგმილი პრეზიდენტის მხარდამჭერებს?

**მიტალი ნაზარაძე**, პარლამენტარი:

— ეს საკითხი სამ ნაწილად უნდა განვიხილოთ: საფუძვლის რეალობა, განხორციელების რეალობა და ის, თუ რას ემსახურება პრეზიდენტის იმპიჩმენტი. კონსტიტუციაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ პრეზიდენტი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავს და ახორციელებს. როცა საუბრობენ თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენებაზე, უნდა გაითვალისწინონ, რომ პარლამენტის 1/3 უნდა უჭერდეს მხარს ამ პროცედურის დაწყებას. მე ძალიან მეჭვჭვება, რომ „აღორძინებას“ 70 ხმა ჰქონდეს. მათ აქვთ მხოლოდ 36 ხმა. ამას შეიძლება დაემატოს „ტრადიციონალისტების“ 12 ხმა და ასევე შეიძლება 10 ხმა მიამატოს სააკაშვილმა. ეს არის მაქსიმალური რაოდენობა იმ ხალხისა, ვისაც ბოლომდე აღმოაჩნდება სურვილი ამ პროცედურის დაწყებისა. მეორე ეტაპი, იმ შემთხვევაში, თუკი მართლაც მოგროვდება 79 ხმა, იქნება ის, რომ ამ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და თუ ის დაწვე-

რს დასკვნას, სადაც დაფიქსირებს, რომ პრეზიდენტი მართლაც არღვევს კონსტიტუციას, ამის შემდეგ პარლამენტში 118 ხმა უნდა მოგროვდეს, რომ თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი დადგეს დღის წესრიგში. ამის შემდეგ, კიდევ 157 ხმა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს პროცედურა დასრულდეს. ამიტომ ვაცხადებ, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერებს არანაირი აუცილებლობა არა აქვთ, იმპიჩმენტის პროცედურის საპირისპიროდ რაიმე ღონისძიებები დაგეგმონ. პრეზიდენტის იმპიჩმენტი არის წმინდა წყლის ილუზია, რადგან ამის განხორციელების მექანიზმი იმდენად რთულია, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამ პირობებში იმპიჩმენტის განხორციელება ოპოზიციამ შეძლოს. ვის აძლევს ხელს დღეს შევარდნადის თანამდებობიდან წასვლა? — ეს მხოლოდ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ინტერესებში დევს და ამის შესახებ, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ხმამაღლა საუბრობენ. ის პროცესი, რასაც პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჰქვია, შორიდან იმართება. სამწუხაროდ, აქ არიან ჩართულნი ჩვენი პარლამენტარებიც. ისინი შეგნებულად ქმნიან სახელისუფლებო გაკუთმს. მათი მიზანია, ხელისუფლება ქმედითურწარო გახდეს — ისეთი, როგორც დღეს ჩვენი პარლამენტი და ამის შემდეგ, შედეგი, რომელსაც მივიღებთ, არანაირად არ შედის საქართველოს ინტერესებში. როდესაც „აღორძინება“ დღეს სვამს საკითხს — გადადგეს პრეზიდენტი, — ამ მოთხოვნის საფუძვლად ასახელებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: საქართველოდან სამშვიდობო ძალების გაყვანა, დსთ-დან



საქართველოს გამოსვლა და საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. მინდა ყველას შევახსენო, რომ როდესაც პარლამენტში ეს საკითხები იხილებოდა, „აღორძინების“ წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვეს. მაშინ ეს დადგენილებები პარლამენტმა 84 ხმით მიიღო და დღეს იგივე ბლოკი გამოდის და ამბობს: ეს დადგენილებები არ შესრულდა და ამიტომ უნდა დავიწყოთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკოსებისთვის უხერხულია პოზიციების ასე სწრაფად შეცვლა, იმის მიხედვით, თუ როდის რა სჭირდებათ. მე მინდა, მათ კიდევ ერთხელ შევახსენო ის, რაც ბევრჯერ მითქვამს მათთვის: არ გამოვივათ, ბატონებო, არ გამოვივათ — პრეზიდენტის იმპიჩმენტს ვერ ელირსებით!

### „იმპიჩმენტის მოთხოვნას შანტაჟის სუნი უღის“

— „აღორძინებას“, რომელიც პრეზიდენტის იმპიჩმენტს მოითხოვს, „ნაციონალური მოძრაობის“ 10 ხმის იმედიც აქვს. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

**კობა დავითაშვილი**, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— ჩვენი პოლიტიკური მიზანია, ვადაძლე პრეზიდენტის გადარჩევა. მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ის ფორმულირება, რომელიც „აღორძინებამ“ შეიმუშავა. ისინი ცენტრსა და აჭარას შორის გართულებული ურთიერთობის გამო მოითხოვენ პრეზიდენტის იმპიჩმენტს, რაც მათი მხრიდან თავდასხმის მოგერიების



მცდელობას ჰკავს და ცოტა არ იყოს, შანტაჟის სუნიც უღის. კონსტიტუციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკური დაპირისპირების გამო იმპიჩმენტის პროცესის დაწყება დაუშვებელია. ბევრი ამბობს, რომ ეს პროცედურა არაფრის მომტანია. ამქვეყნად არაფრის გარანტია არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულზე ხელები დავიკრიფოთ და არაფრის გაკეთება არ ვცალოთ. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი იმას მაინც ნათლად წარმოაჩენს, თუ ვინ ვინ არის, ვინ რა პოზიციაზეა და ვის შეუძლია, თავისი პოზიცია ხმამაღლა დააფიქსიროს.

## რატომ იკვლევან შიდსის ვირუსზე მეზღვაურებს?

— როგორც ცნობილია, ფოთში შიდსის ვირუსზე მეზღვაურების უფასო გამოკვლევა მიმდინარეობს. რატომ გახდა ეს აუცილებელი და რა მდგომარეობაა ამ დაავადებასთან დაკავშირებით დღეს საქართველოში?



**ბაია ცინცაძე**, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ეპიდემიოლოგი:

— ეს გამოკვლევები ფოთში ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდება. დღეს არსებული მონაცემებით, შიდსის ვირუსზე შემოწმების

სურვილი 30-მა ადამიანმა გამოთქვა.

ფოთის შემდგომ, გამოკვლევები ბათუმში ჩატარდება. ამ აქციის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ნარკომანებს შორის ინფიცირების მაღალი პროცენტია დაფიქსირებული. არსებობს საფრთხე, რომ საქართველომ მეზობელი

ქვეყნების, რუსეთისა და უკრაინის ბუდი გაიზაროს. შარშან, რუსეთში – 177.000, უკრაინაში კი – 43.000 ინფიცირებული იყო. საქართველოში შიდსის ვირუსის ინფიცირ-

ების მხოლოდ 352 შემთხვევა აღრიცხული. ჩვენი მონაცემებით, აქედან 13 შემთხვევა ოქტომბერში გამოვლინდა. ინფიცირებულთა ასაკი 18-40 წელია. ქვეყანაში უკვე 50 ადამიანი გარდაიცვალა შიდსისაგან. ყველაზე მეტი შემთხვევა (144) თბილისშია აღრიცხული; შემდეგ მოდის სამეგრელო (59) და აჭარა (57). ასალი შემთხვევების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და არავინ იცის, როგორ შეიცვლება ეს სტატისტიკა თუნდაც 2 წლის განმავლობაში. გამოვლენილი შემთხვევების მიხედვით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველოში შიდსის ვირუსით 1500 ინფიცირებული ადამიანი იქნება. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ უფასო გამოკვლევები ჩავატაროთ.

## „ღღამღე არაპინ იხის, რატომ დაურეკა პუტინმა შევარდნაძეს...“

— როგორი პროგნოზი შეიძლება გამოვთქვათ საქართველო-რუსეთის სამომავლო ურთიერთობაზე, მოსკოვში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად ჩეჩნეთის საკითხის უფრო მეტად გამწვავების შემდეგ?

**ბიზ ბარამიძე**, პარლამენტარი:

— ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა დემოკრატიისგან, რუსული მასმედია კი აბსოლუტურად მართვადია ხელისუფლების მხრიდან: რუსეთის მასმედია ისეთი აბსურდული განცხადებებით კვებავდა თავის მოსახლეობას, როგორცაა, მაგალითად, ის, რომ თურმე ტერორისტებს აფინანსებს საქართველოს პარლამენტი თავმჯდომარის მამა – ანზორ ბურჯანაძე. სამწუხაროდ, ეს „მუშაოს“ იმ მილიონობით რუს ტელემეყრებელზე, რომელსაც ინფორმაციის არანაირი სხვა წყარო არ გააჩნია. როგორ განვითარდება მოვლენები ამ ფაქტის შემდეგ? დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და სხვა სახელმწიფოები იმის მკვეთრ შეფასებებს არ გააკეთებენ, რაც რუსეთში მოხდა, რადგან მათ წინ ელით ერაყის ომი და სჭირდებათ რუსეთის კეთილგანწყობა. საერთოდ კი, რუსმა

ხალხმა თვითონ უნდა უშველოს თავს – რუსეთის დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ რუსმა ხალხმა უნდა გადაარჩინოს. რაც შეეხება ჩეჩნებს, რომელთაც თავიანთი ქმედებით მიუღიეს მსოფლიოს ყურადღება კიდევ ერთხელ მიმართეს რუსეთ-ჩეჩნეთის ომისკენ, მე მათ ქმედებას ცალსახად ვაფასებ, როგორც ტერორისტთა ქმედებას. მაგრამ არც ის უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ამ ადამიანებს მხოლოდ ერთი რამ სურდათ, – შეწყვეს ჩეჩნეთში ომი, აღარ მოკლან მათი დები, ძმები, დედები, შვილები. ჩეჩნეთში ხომ მოსახლეობის 1/5 პრაქტიკულად ამოწყვეტილა. რუსეთის ხელისუ-



ფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ეს ომი გაგრძელდება საუკუნეების განმავლობაში, თუკი თვითონ რუსეთი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ომის შეწყვეტის შესახებ. რუსეთმა უნდა შეეგნოს, რომ ჩეჩნებს ვერ დააჩოქებს. იქ იბადებიან ბავშვები, რომლებიც ამ ბრძოლას გააგრძელებენ. რუსეთმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ამ ერის პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად იმოქმედებს რუსეთში განვითარებული მოვლენები საქართველოზე – ვფიქრობ, მოსალოდნელია, რომ ჩვენთანაც რაღაც შეიცვლება, მაგრამ რა – ეს ჯერ არავინ იცის, ისევე, როგორც ღღამღე არავინ იცის, თუ რატომ დაურეკა შტურმის შემდეგ პუტინმა შევარდნაძეს და რა საუბარი შედგა მათ შორის? რატომ არ უნდა ვიცოდეთ ეს? თუ ეს უკავშირდებოდა ისევ რუსეთისთვის ჩეჩნების გადაცემის საკითხს, რატომ არ უნდა იმსჯელოს ამის შესახებ პარლამენტმა და საერთო აზრის ჩამოყალიბების შემდეგ, არ მიიღოს გადაწყვეტილება? ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებს საქართველოს ხელისუფლება, თუკი აქ დარჩენილ 8 ჩეჩენსაც გადასცემს რუსეთის მხარეს, – თუნდაც ისინი დამნაშავენი იყვნენ.

## „ჯორჯენაძის სანიანალოგოდ მასალაში საკმარისი ბავრია!“

— პრეზიდენტის წინააღმდეგ წამოწყებული საიმპიჩმენტო პროცედურის ფონზე, რამდენადმე ჩაცხრა სახელმწიფო მინისტრის შესაძლო იმპიჩმენტზე ცოტა ხნის წინ ატეხილი აჟიოტაჟი. გრძელდება თუ არა ამ საკითხზე მსჯელობა საპარლამენტო ფრაქციებში?

**ღავითი გამაჩრელიძე**, „ახალი

მემარჯვენეების“ ლიდერი:

— მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის იმ-

პიჩმენტზე საუბარი ნაჩქარევია, ავთანდილ ჯორჯენაძის წინასაიმპიჩმენტო პროცედურის დასაწყებად კი, მასალები საკმარის არის. უბრალოდ, უნდა ჩატარდეს გარკვეული საგამომიებო სამუშაო. ავთანდილ ჯორჯენაძემაც უნდა იცოდეს, რომ პრეზიდენტის კეთილგანწყობის მიუხედავად, ის ხელშეუხებელი პირი არ არის. მისი ფრაქციის წევრებიც კი ვერ ასაბუთებენ, თუ რატომ არ უნდა იმუშაოს საგამომიებო კომისიამ და არ უნდა შეამოწმოს, თუ რა

დარღვევები იყო ადგილობრივი არჩევნების დროს და ვინ რა წვლილი შეიტანა ამ დარღვევებში, – თუნდაც ამ დანაშაულებრივ ქმედებაში თვით სახელმწიფო მინისტრი იყოს გარეული. დარღვევები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, პრეზიდენტთან შეთანხმებით ხდებოდა, ამიტომ პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფო მინისტრმა, ასევე პრეზიდენტმაც უნდა გაიზიაროს. ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელს შორის.



გასულ კვირას მთელი მსოფლიოს ყურთასმენა რუსეთის დედაქალაქში მომხდარი მოვლენისკენ იყო მიმართული. მელნიკოვის ქუჩაზე მდებარე თეატრში დატრიალებულმა დრამამ, მისი დასრულების შემდეგაც ბევრი კითხვა დაუტოვა მასმედიასაც, პოლიტიკოსებსაც და უბრალო ადამიანებსაც. მომხდარის შეფასებებიც თანდათანობით, ცვლილებებს განიცდის. ინფორმაციის ნაკადში ბევრი წინააღმდეგობაც იჩენს თავს. მომხდარი ტერაქტის გარშემო გაჩენილ კითხვებზე, კავკასიის საკითხებში ექსპერტს, ბატონ მამუკა არეშიძეს ვესაუბრებით. როგორც ცნობილია, ქართველ პოლიტიკოსთაგან ყველაზე ხშირად, სწორედ ის არის ჩეჩნეთში ნამყოფი, პირადად იცნობს ბევრ საველე მეთაურს და ექსპრეზიდენტ ასლან მასხადოვსაც.

**ლელა ჭანკოტაძე**

— ბატონო მამუკა, თუ შეიძლება ვინმეს წარმოედგინა, რომ ჩეჩნები ასეთ რისკიან ნაბიჯს გადაადგამდნენ — შუაგულ მოსკოვში ასეთი რაოდენობის მძევლებს აიყვანდნენ?

— ჩეჩნები რაიმე ანალოგიურს რომ მოიმოქმედებდნენ, ეს მათი ხშირი მუქარიდანაც ჩანდა. მაგრამ ასეთი მასშტაბის აქციის ჩატარება მოსკოვში ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო. ჩეჩნებმა მოსკოვში რამდენიმე ფარული ტერაქტი უკვე მოაწყვეს — სახლების აფეთქებას ვგულისხმობ, — მაგრამ „ღია“ ტერაქტის ჩატარება მეეჭვებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი განხორციელება ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული — თუნდაც ბევრი ადამიანის გადაადგილებასთან, თანაც — შეიარაღებული ადამიანებისა... მოსკოვის ტერაქტი იმდენად მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, რომ ამას, მოვსარ ბარაევი ვერ გააკეთებდა: ის ხომ სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო და საველე მეთაურიც კი ვერ გახდა. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ ეს ტერაქტი არ იყო ჩეჩნების მიერ მოფიქრებული და ორგანიზებული.

— ჩანაფიქრის განხორციელების თვალსაზრისით, რამდენად სწორად შეირჩა შენობა?

— შენობა არქიტექტურულად მომგებიანია. არც ისე მაღალია და მისი სახ-



**„რუსეთი ახლა დაგნაშავის კეზებს დაიწყებს...“**



ურავიდან მიმდებარე ტერიტორია კარგად ჩანს. ახლომასლო შენობები კი დვას, მაგრამ ისეთი მანძილითაა დაშორებული, რომ ამ შენობებიდან თავდასხმა შეუძლებელია. სწორად შეარჩიეს სპექტაკლიც: მოგესხენებათ, საბავშვო-საყმაწვილო სპექტაკლზე ძირითადად ბავშვები და ქალები დადიან, ე.ი. ტერორისტებს გარანტირებული ჰქონდათ შენობაში ბავშვებისა და ქალების დიდი რაოდენობით ყოფნა. მაგრამ კულტურის სახლს ჰქონდა ერთი მინუსი: იმდენად დიდი იყო, რომ მას ორმოცდაათი კაცი ვერ გააკონტროლებდა.

— თქვენი აზრით, რატომ

მიიღეს ტერაქტში მონაწილეობა ქალებმა?

— ეს განპირობებული იყო იმით, რომ შენობაში ბავშვებისა და ქალების სიმრავლე იქნებოდა და მათთან ურთიერთობა ქალებისთვის გაცილებით იოლი იქნებოდა. თანაც ისეთი ქალები შეარჩიეს, რომლებმაც ომის დროს ჯრები და შეილები დაკარგეს. ცხადია, მათგან დიდი სისასტიკის გამოვლენა იყო მოსალოდნელი. გათვლილი იყო ისიც, რომ შარშან ბარაევის კლანის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ქალმა ასაფეთქებელი ნივთიერება შემოიკრა წელზე, შეიჭრა რუსულ ბლოკ-პოსტზე და თავი აიფეთქა. მან ოცდაორი კაცი შეიწირა. ის მოვსარ ბარაევის ბიძაშვილი გახლდათ. მისმა მაგალითმა აჩვენა, რომ იგივე შეიძლებოდა, სხვა ქალებსაც გაეკეთებინათ... ასე რომ, გათვლილი იყო ყველა წვრილმანი. მხოლოდ ის ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსეთს შეეძლო გაზის გამოყენება. ამიტომაც არ ჰქონდათ ჩეჩნებს აირწინაღები. სხვა მხრივ, ყველანაირად მომზადებულები იყვნენ.

— საინტერესოა კამიკაძე-ქალების ფენომენი. რამდენად ხშირია ტერორისტულ აქტებში ქალების მონაწილეობა?

— ასეთი შემთხვევა ხშირია, მაგრამ ჩეჩნებს მსგავსი რამ არ ახასიათებთ. მათთან მოქმედებს დაუწერელი პრინციპი, ალათი, რომლის მიხედვითაც ქალი იარ-



აღს მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როცა ოჯახში მამაკაცი ცოცხალი აღარ არის დარჩენილი. ჩეჩენმა ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ტერორისტულ აქტში. საბრძოლო მოქმედებების დროს, აქა-იქ გამართალა ქალის ფიგურა, მაგრამ ის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა – ჩვეულებრივ, ან მზარეული იყო, ან მედლა. საერთოდ, ისლამურ სამყაროში შაჰიდების ინსტიტუტი არსებობს. შაჰიდები – ე.ი. რწმენისთვის შეწირულები – ქალებიც არიან და მამაკაცებიც. ქალებს აღმოსავლეთში მსგავსი რამ ხშირად ჩაუდენიათ, მაგრამ – არა ჩეჩნეთში და არა ჩეჩენ ქალებს.

— **დანამდვილებით ვერ ვერაგინ ამბობს, თუ როგორ ან რით მივიდნენ ტერორისტები მოსკოვის ცენტრში მდებარე კულტურის სახლში. როგორია თქვენი ვერსია?**

— ამაზე მართლაც ბევრი არაფერი თქმულა. ცხადია, რომ ბარაევი და მისი ჯგუფი მანქანებით მიიყვანეს ან მივიდნენ დანიშნულ ადგილამდე. შემდეგ ეს მანქანები მძღოლებმა უკან წაიყვანეს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ტერორისტულ აქტში სხვა ძალების მონაწილეობას. მე უტყუარი ინფორმაცია მაქვს, რომ ტერორისტები სატელეფონო კავშირს ამყარებდნენ მათთან, ვინც იყვნენ შენობის გარეთ. რა თქმა უნდა, არ ვსაუბრობ იმ ზარებზე, რომელიც დაფიქსირდა საულის არაბეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და თურქეთში. ზარები დაფიქსირდა თვით მოსკოვშიც...

— **რეალურად, მაინც რა იყო ამ ტერაქტის მიზანი? ხომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მის ორგანიზატორებს, ბარაევის მიერ**

**გამოცხადებული მიზნის მიღწევის იმედი ექნებოდათ?**

— ცხადია, ჩეჩნეთიდან რუსული ჯარების გაყვანა აბსურდული მოთხოვნა გახლდათ. მას ერთი დანიშნულება ჰქონდა: ის წამოაყენეს დროის გაყვანის მიზნით, რადგან რუსეთს, რომც გამოეყვანა ჯარები ჩეჩნეთიდან, მესამე დღესვე, ისევ შეიყვანდა... შესაძლებელია, ტერორისტებს ორისამი დღის შემდეგ, თავიანთი დაპატიმრებული თანამოაზრეების გათავისუფლება მოეთხოვათ ან რაიმე სხვა. ჩემი ვარაუდით, ტერაქტის უკან იდგა რომელიმე არაბული ქვეყნის სპეცსამსახური, რომლის მთავარ მიზანს ჩეჩნების კეთილდღეობა კი არ წარმოადგენდა, არამედ ის, რომ შეემოწმებინა რუსეთის სპეცსამსახურების მზადყოფნა. დამერწმუნეთ – მომავალში, ტერაქტის დროს, ტერორისტებს უკვე აირწინალებიც ექნებათ...

— **ზოგიერთ რუსულ გაზეთშიც კი, გამოითქვა ვიწრო, რომ ტერაქტის მოწყობაში შესაძლოა, თვით რუსეთის სპეცსამსახურებიც ყოფილიყვნენ გარეულები და ის, პუტინის ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზანს ისახავდა...**

— გამორიცხული არც ეს არის. არიან ძალები, რომლისთვისაც პრეზიდენტი პუტინი მიუღებელია და ეს ტერაქტი შეიძლებოდა, მისი დისკრედიტაციის

მიზნით დაეგეგმათ.

— **მძევალთა გათავისუფლების ხერხის შეფასება დღითი დღე იცვლება — საზღვარგარეთაც და თვით რუსეთშიც...**

— პირველი ერთი საათის შემდეგ შეფასება დაახლოებით ასეთი იყო:

1. ოპერაცია წარმატებით დასრულდა, თან პუტინმა ხელი აიღო ჩეჩნებთან ურთიერთობის მოგვარებაზე და არანაირ მოლაპარაკებაზე აღარ შეიძლება იყოს საუბარი.

2. ФСБ-ს მეშვეობით პუტინმა დარტყმა მიაყენა საკუთარ გენერალიტეტს, რომელიც დიდ ფულს შოულობს ამ ომზე და მისი დამთავრება არაფრით აძლევს ხელს, თან, შიგადაშიგ, პუტინის ხელისუფლებასაც ერჩის.

3. პუტინმა ძალიან აიმაღლა რეიტინგი.

ასეთი იყო შტურმის დამთავრებიდან ცოტა ხანში გამოთქმული შეფასებები. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ რამდენი ხალხი დაიღუპა, ბევრმა ოპერაცია წარუმატებლად შეაფასა. საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად უარყოფითად განეწყო ადმინისტრაციის ქმედების მიმართ. რუსეთი ახლა დამნაშავეს ძებნას დაიწყო. მოხდება ბევრი საკადრო ცვლილება – როგორც უშიშროების, ასევე სამხედრო სისტემაში. უეჭველად დაიწყება ჩეჩნებთან მოლაპარაკების პროცესი.

— **რუსეთის პრეზიდენტმა ხომ საჯაროდ განაცხადა, რომ ჩეჩნებთან არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავა.**

— სხვა გამოსავალი რუსეთს არა აქვს. ჯერჯერობით ისინი აცხადებენ, რომ

**მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ რამდენი ხალხი დაიღუპა, ბევრმა ოპერაცია წარუმატებლად შეაფასა**



არაფერი შეიცვლება, მაგრამ ფარულად, საზოგადოებას ამზადებენ იმისათვის, რომ მისცენ მანდატი მასხადოვთან მოსალაპარაკებლად, თუმცა საკითხავია, მიიღებს თუ არა მას მასხადოვი. პუტინმა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება მხოლოდ მასხადოვთან მოლაპარაკების გზით გამონახოს. სხვა გამოსავალი მას არა აქვს.

**— ოპერაციის დროს მომწამლავენი გაზის გამოყენება ბევრმა უკვე საკუთარ მოქალაქეთა განირვად შეაფასა...**

— რუსეთს თავისი მოსახლეობის გაწირვა, დამერწმუნეთ, არ უნდოდა. უბრალოდ, ვერ განსაზღვრა გაზის მოქმედების ეფექტი. ერთ უბედურებას მეორე დაემატა, რის გამოც მოსახლეობის ერთი ნაწილი უპირისპირდება ხელისუფლებას. ეს დაპირისპირება გაამძაფრა იმან, რომ გაზის დასახელებას მოერიდნენ და სამი დღის განმავლობაში ახლობლებს არ უმხელდნენ დაზარალებულთა მდგომარეობას. ხალხი საავადმყოფოდან საავადმყოფოში გამწვარებული დარბოდა.

**— ამას დაკარგული ადამიანების უცნაური ამბავიც დაემატა. არსებობს ვერსია, რომ ბევრი მძევალი თვით სეცრაზმის მიერ იქნა დახვრეტილი, რადგან ოპერაციის დროს, რუსი მებრძოლები ფოიეში გამოვარდნულ ადამიანებს შორის მტყუანმართალს ვერ არჩევდნენ და ეს დაკარგული ადამიანებიც სწორედ ამ დროს დაღუპული მძევლები არიან. რუსეთის სპეცსამსახურები კიდევ ბევრ რამეს მაღავენ, რაზეც ელემენტარული არითმეტიკული შეუსაბამობები მეტყველებს. აქედან გამომდინარე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სწორი გზა აირჩია?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სწორი იყო, რაც რუსეთმა გააკეთა, ოღონდ ეს შტურმი დამთავრდა ცუდი შედეგით, თორემ ტერორისტებთან საუბრის გაბმა, მოლაპარაკება მინიმალური უნდა იყოს. მოლაპარაკება გამართლებულია ერთადერთი მიზნით — თუ საჭიროა დროის გაყვანა ან თუ ჩანს მშვიდობიანი გადაწყვეტის პერსპექტივა. რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდეთ, ჩემი აზრით, მაინც მიუღებელია ტერორისტებთან დიალოგი.

**— ერთ-ერთი მძევალი, ელენა**



ისეთი ქალები შეარჩიეს, რომლებმაც ომის დროს ქმრები და შვილები დაკარგეს

**რაძინა, როცა ტერორისტებზე საუბრობდა, არ მაღავედა თავის დადებით დამოკიდებულებას ზოგიერთი მათგანის მიმართ. რუსული მასმედიაც ბევრს ლაპარაკობს ტერორისტებისადმი მიქვეალთა სიმპათიისა თუ თანაგრძნობის სინდრომზე...**

— ეს ცნობილი მოვლენა — საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ხოლმე ასეთი რამ. ფსიქოლოგები იცნობენ ამ ფენომენს: როცა მსხვერპლი ეცნობა ტერორისტის მოქმედების მოტივებს, მის გასაჭირს, ხშირ შემთხვევაში მის მხარეზე გადადის ხოლმე. ევროპაში მომხდარა რამდენიმე შემთხვევა, როცა ტერორისტებს მძევლები საკუთარი ტანითაც კი გადაეფარნენ.


**— ბარაევის ჯგუფი იმ თაობის წარმომადგენლებისგან შედგებოდა, რომელიც მხოლოდ ომისთვის არის დაბადებული...**

— თქვენამდე ჩემთან ჩეჩენი ჟურნალისტი იყო მოსული. მან გულისტკივილით აღნიშნა — ჩეჩენთა ახალ თაობას, ომის გარდა, არაფერი უნახავსო... 1992 წელს, როცა ომი დაიწყო, ისინი 7-8 წლისანები იყვნენ. მაშინ დამთავრდა მთელი მათი განათლება. ასლა 17-18 წლისანები არიან — მოგვესწავებთ, ბარაევის ჯგუფის უმრავლესობას ამ ასაკის ადამიანები შეადგენდნენ. მათ სრულიად განსხვავებული ფსიქიკა ჩამოუყალიბდათ — მათთვის არსებობს მხოლოდ თეთრი და შავი, ე.ი. მოყვარე და მტერი. ისინი აბსოლუტურად ზუსტად მისდევენ ყურანს, რომელშიც წერია: სანამ ქვეყანაში შემოსული მტერი არ განადგურდება, იარაღი არ უნდა დადო. ქვეყანაში განათლების საოცარი დეფიციტია. ამ ადამიანების ცნობიერებ-

ის შეცვლა შეუძლებელია. ამაზე მესაუბრობოდა სწორედ ჩეჩენი ჟურნალისტი და იმაზეც, რომ მიმდინარეობს ერის სულიერი და ფიზიკური გენოციდი...

**— თქვენი ვარაუდით, ამ მოვლენების შემდგომ როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა? რუსეთი დათმობებზე წავა თუ ტერორისტებს საქართველოში დაუწყებს ძებნას? და კიდევ — რაიმე საფრთხე ხომ არ გველის კოდორის ხეობიდან?**

— თბილისი სულ რომ ჩეჩენი ტერორისტებით იყოს სავსე, რუსეთმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა არ დაძაბოს. რაც შეეხება კოდორის ხეობას — ის საქართველოსთვის სუსტი წერტილია... საერთოდ, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია, მეკავშირეების მეშვეობით მოვიგერიოთ რუსული აგრესია: ვთქვათ, ომი დაიწყო და რუსეთი შემოიჭრა; ის ერთ კვირაში უკან წავა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთი რუსეთს ყველა ეკონომიკურ და დიპლომატიურ არსს გადაუკეტავს; რუსეთი დადგება კატასტროფის წინაშე, რადგან ის მიბმულია დასავლეთის ფინანსური „ჟანგბადის მილზე“. მაგრამ სხვა საქმეა კოდორის ხეობა, რადგან იქ პირდაპირ აგრესიას კი არ განახორციელებენ — უბრალოდ, შეიქმნება სამოქალაქო ომის ფონი, წააქეზებენ და მოგვისევენ აფხაზებს; მთელი მსოფლიო იტყვის, რომ ეს არის შინაური ბრძოლა და არ ჩაერევა... ეს ამ წელს, რა თქმა უნდა, აღარ მოხდება — მეტეოროლოგიური პირობების გამო, — მაგრამ ამ საფრთხეს გაზაფხულიდან უნდა ველოდოთ...



# ცნობილი ქართველი მანჭიჯი

თფრუდფრუდუნ შტუკემშე სფქწთმდშთ ვპუთ



ნეკა სებისკვერამე

## ნათია თენიეშვილი

29 ოქტომბერს ქართველი მომღერლები – თემურ თათარაშვილი, ნეკა სებისკვერამე, კახა ციციკარიძე და მარია თხელიძე ამერიკიდან დაბრუნდნენ. როგორც გვასწავს, მარშან, ამერიკაში ჩატარებულ მსოფლიო მუსიკის საერთაშორისო ჩემპიონატზე, მარია თხელიძემ ვრან-პრი მიიღო. წელს, იგი 3 ოქტომბრიდან პოლივუდში იმყოფება. ქართველი მომღერლები, ამერიკაში სწორედ მისმა აგენტმა ოკონონმა მიიწვია. კონცერტი, რომელიც მუსიკის

მცოდნე მათა დათუნაშვილს მიჰყავდა, მანჭიჯენზე, კლუბ „ნაციონალიში“ ჩატარდა და ორსაათ-ნახევარი გრძელდებოდა. ბილეთის ფასი 100 დოლარი იყო. „ნაციონალი“, ძალიან პრესტიჟული კლუბია. დარბაზი 500-ადგილიანია. კონცერტმა ანშლავით ჩაიარა, „სუთასივე ბილეთი გაყიდული იყო“ – მითხრა ნეკა სებისკვერამე, რომელსაც ჩამოსვლის დღეს დაეუკავშირდი და აშშ-ში ორკვირიანი მოგზაურობის რამდენიმე მომენტის გახსენება ვთხოვე, ვრცელი ინტერვიუ კი სამომავლოდ გადავდეთ.

### – ნეკა, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?

– ფანტასტიკური იყო. ცუდი ის არის, რომ ცოტა ხანი გაგრძელდა ჩვენი ნიუ-იორკული ვოიაჟი. ამ ქალაქის გასაცნობად ორი კვირა არ არის საკმარისი. საოცარი ქალაქია, იქ ყოფნა ძალიან დიდ სტიმულს გაძლევს.

### – კონცერტი ამერიკელი მსმენელიც ესწრებოდა?

– კონცერტი ძირითადად, ქართული დიასპორისთვის იყო განკუთვნილი. მათ გარდა დარბაზში რუსი, უბრალო და ამერიკელი მსმენელიც იყო. ყველანი ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

### – რეპერტუარი წინასწარ იყო შერჩეული?

– მსმენელებმა, ინტერნეტის

მეშვეობით სამი თვით ადრე იცოდნენ, რა სიმღერებს ვიმღერებდით. კონცერტი მარია თხელიძემ გასწავა, როგორც ყველაზე პატარა მომღერალმა. მის შემდეგ კახუჩელა წარდგა მსმენელის წინაშე. მისმა „აჭარულმა“ დარბაზი ააცეკვა. მე ჩემი რეპერტუარი მქონდა წალეებული. ძირითადად, ლირიკული სიმღერები ვიმღერე. კონცერტი თემურ თათარაშვილმა ქართული და რუსული რომანსებით დაასრულა.

### – ქართველ ემიგრანტებს როგორი რეაქცია ჰქონდათ თქვენი სიმღერების მოსმენისას?


– ეს ყველაზე საინტერესო მომენტი იყო. ხელოვანი ადამიანები ხომ ყოველდღე არ ჩადიან ამერიკაში. მათი თვალები საოცარი ნოსტალგიითა და ცრემლებით იყო აღსავსე. ჩვენთან ერთად სურათებს იღებდნენ და გვეფერებოდნენ.

### – ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებიდან ვინმე ცნობილი თუ ესწრებოდა კონცერტს?

– კონცერტზე არა, მაგრამ მე და თემური ერთი დღით ფილადელფიაში ჩავვედით, სადაც ამერიკაში უკვე საკმაოდ ცნობილ ქართულ ჯგუფს – „ჯავა სექსტეტს“ შევხვდით.


### – ხომ არ ყოფილა ამერიკელების მხრიდან რაიმე შემოთავაზება პროფესიული თვალსაზრისით?

– ძალიან ბევრმა მსურველმა ვერ მოახერხა კონცერტზე დასწრება. ამის გამო, ორგანიზატორებს აქვთ კიდევ ერთი კონცერტის ჩატარების სურვილი, მაგრამ ეს როლის იქნება, არ ვიცი. ყველაფერი ორგანიზატორებზე დამოკიდებულია.



ნიუ-იორკში თემურ თათარაშვილთან ერთად

მამუკა მკერტიანი



ქალი გოტიკაში



კომპოზიცი



სწორედ ეს კომპოზიცია უჩვენა დიზაინერმა

## ნახევრად ჩაცმული მამაკაცები, ნიჩრი მოღუპები

# თა იმპროვიზაციულად შექმნილი აჩუკული ვარცხნილობა

### ნათია თენიშვილი

ერთი წლის წინ ჩამოყალიბებული პროფესიონალ პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა კავშირის – „სერაფიტას“ პრეზენტაცია, ჩვენების ორგანიზატორებმა – ნათელა და ია იაშვილებმა, თბილისობის დღესასწაულს დაამთხვიეს. ჩვენება თბილისის მედიკოსთა სახლში გაიმართა და მასში, ამ კავშირში გაერთიანებული ყველა პარიკმახერი მონაწილეობდა, რომელიც სხვადასხვა სალონს წარმოადგენდა. ჩვენების რეჟისორი იყო გოგი ოსეფაშვილი, მოდელების ვიზაჟზე კი, ნინო მაისურაძემ იზრუნა. სტუმრებს შორის იმყოფებოდა დათო ხუჯაძე თავის პროდიუსერთან – ნატო დუმბაძესთან ერთად. ცოტა ხნით დიზაინერმა ავთო ცქვიტინიძემაც შემოიარა, მაგრამ მალევე გაუჩინარდა.

„ეს ჩვენება იმისთვის მოეწყო, რომ გვენახა, თუ რა პოტენციალია ჩვენში“, – განაცხადეს ორგანიზატორებმა. აზიური, ბრაზილიური და სხვა მუსიკის ფონზე მოდელები უცნაურ ვარცხნილობებს წარმოგვიდგენდნენ. ყველაზე ხანგრძლივი და

თეატრალიზებული ჩვენება ჰქონდა სტილისტ-დიზაინერ ვართან ასოიანს, რომელიც მრავალი საერთაშორისო დათვალეირების პრიზიორია, მათ შორის – ლატვიის დედაქალაქ რიგაში გამართული საერთაშორისო ფესტივალისა, სადაც მისი კომპოზიცია **Cool** გამოარჩია ფიურიმ. სწორედ ეს კომპოზიცია უჩვენა დიზაინერმა იქ შეკრებილ საზოგადოებას: ოთხი, ნახევრად ჩაცმული მამაკაცი ლურჯი და წითელი თმითა და საკმაოდ უცნაური ვარცხნილობით, სანთლებით ხელში ცეკვავენ. ამას მოჰყვა ხუთიოდე წლის სამი გოგონა და სამი მოდელი, საკმაოდ მრავალფეროვანი ვარცხნილობით. ჩვენების კულმინაციას წარმოადგენდა გრანდიოზულ, შავ საპატარძლო კაბაში

გამოწყობილი მოდელი – ლალი ტოტიკაშვილი, ულამაზესი საპატარძლო ვარცხნილობით. ვართანმა უამრავი აპლოდისმენტი და ყვავილები დაიმსახურა. სტილისტმა მამუკა მკერტიანი კი საკმაოდ „საინტერესო“ და ორიგინალური ვარცხნილობებიც წარმოგვიდგინა და თავისი ხელობის დემონსტრირებაც მოახდინა – იქვე, დამსწრეთა თვალწინ ფრიად. უჩვეულო ვარცხნილობა შექმნა.

ჩვენება დასრულდა. მონაწილეებისათვის საპატიო დიპლომები დათო ხუჯაძეს უნდა გადაეცა, მაგრამ ის უკვე წასული აღმოჩნდა და ეს საქმე ერთ-ერთმა ორგანიზატორმა – ია იაშვილმა იკისრა. ჩვენების შემდეგ მედიკოსთა სახლში დისკოთეკა გაიმართა.



დათო ხუჯაძე

# ბრალდებულები პოლიციის თანამშრომელთა გველეშაოს უარყოფენ

## მეტი სანაპი

შარშან, გაზაფხულს, თბილისში, ბაზრობის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ყაჩაღურმა თავდასხმამ პოლიციის თანამშრომლის – ყაზბეგ ირემადის სიცოცხლე იმსხვერპლა. შპს „მეგობრობის“ №33 საწყობის დაყაჩაღების შემდეგ, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა დადევნებულ პოლიციელს „მაკაროვის“ პისტოლეტის ლულა სხეულზე მიადო და ასე, მიბეჭენით, მას გულმკერდში ტყვია დაახალა. ყაზბეგ ირემადე მაშინვე ჩაიკეცა... ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა...

გამომძიებლის თქმით, შემთხვევის ადგილზე, იმავე საშიშროების წინაშე მეორე პოლიციელი – გელა კაჭკაჭიშვილიც დადგა, თუმცა მან საბედნიეროდ, მისი მისამართით ნასროლი ტყვიების აცილება შეძლო. „ყაზბეგ ირემადის დაჭრის შემდეგ, იმავე ბოროტმოქმედმა კაჭკაჭიშვილის მოკვლაც გადაწყვიტა, რადგან ეს უკანასკნელი, მის შეპყრობასა და განიარაღებას ცდილობდა. დამნაშავემ მარჯვენა ხელით, თავისსავე მარცხენა მხარზე გადასწია პისტოლეტი და ზურგისკენ, მასზე შეჭიდებული კაჭკაჭიშვილისკენ რამდენჯერმე ისროლა. პოლიციელმა, როგორცაც, მოასწრო გადახრა და ამით სიკვდილს გადაურჩა, დამნაშავე კი ხელიდან გაუსხლტა. ამ დროს კაჭკაჭიშვილიმ ძირს დაეარდნით ირემადეს ტაბელური პისტოლეტი, რომელიც მას ხელში ჩარჩენოდა, აიღო და ბოროტმოქმედს ისევ დაედევნა. ბოროტმოქმედი კი, ამასობაში, კვლავ ბაზრობის ტერიტორიაზე შებრუნდა, რათა იქ ხალხში გარეუღიყო და ამით დამლევის საშუალება მისცემოდა. ამჯერადაც ისროლა ტყვიები იარაღიდან პოლიციელის მიმართულებით. ვერც მაშინ მოახვედრა, თუმცა იმ მომენტში საფრთხის წინაშე გამეღელ-გამომღვლილი მოქალაქეები აღმოჩნდნენ“, – ასე გადმოგვცემს მოვლენებს გამომძიებელი. მისივე თქმით, მაშინ პოლიციელებმა დამნაშავის დაკავება მაინც მოახერხეს; იგი 22 წლის გიორგი გურჩიანი აღმოჩნდა. „კაჭკაჭიშვილის ნასროლმა ტყვიამ ის ფეხში დაჭრა, ამ დროს

მარცხნიდან – რომან კვანჭიანი, სამსონ ლომთაძე, გიორგი გურჩიანი



სხვა პოლიციელიც დაედევნა და ურჩია, დანებებოდა, თორემ ესროდა. მძიმედ დაჭრილმა გურჩიანმა პისტოლეტი ძირს დააგდო, ხელები მალა ასწია და პოლიციელს უთხრა – არ მომკლაო“, – მოგვითხრობს გამომძიებელი. სასიკვდილოდ დაჭრილი პოლიციელი – ყაზბეგ ირემადე, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დაკავებული გიორგი გურჩიანი კი, ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მიიყვანეს. სამართალდამცავთა თქმით, იქ მან სამედიცინო პერსონალს თავი გია ჩხეტიანად გააცნო. იმ დროს, როცა პოლიციელები გიორგი გურჩიანის დაკავებასა და განიარაღებას ახორციელებდნენ, თამარ მეფის გამზირზე, მანქანით დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომელთა მორიგე ჯგუფი მოძრაობდა. როგორც თავად ჯგუფის წევრები გადმოგვცემენ, უცრად მათ შენიშნეს, რომ წინ, ქუჩა სწრაფად გადაჭრა უცნობმა ახალგაზრდამ, რომლის დანახვისთანავე ხალხის შედახილებიც გაივინეს: „დააკავეთ, დააკავეთ!“ გაისმა სროლის ხმა. შემოსწინებული პოლიციელები, როგორც ამბობენ, მაშინვე გაქცეულ ახალგაზრდას დაედევნენ, შეიპყრეს, ხელბორკილი დაადეს და მანქანაშიც ძალით ჩასვეს. ის 29 წლის სამსონ ლომთაძე აღმოჩნდა. დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლები იმასაც დასძენენ, რომ დაკავების შემდეგ, ლომთაძემ დაინახა, როგორ მიჰყავდათ დაჭრილი გიორგი გურჩიანი პოლიციელებს. მაშინ თავი ცუდად იგ-

რძნო და პირდაპირ გამოუცხადა მათ – ბაზრობაზე ამხანაგებთან ერთად ყაჩაღობა ჩავიდინე და ვთხოვთ, აქედან გამიყვანეთო. სამმართველოში მიყვანისას, პირადი ჩხრეკისას, ქურთუკიდან მას 1.030 ლარი ამოუღეს. სამართალდამცავთა თქმით, ეს №33 საწყობიდან გატაცებული თანხის ნაწილი იყო. პროკურატურის ინფორმაციით, 2001 წლის 12 აპრილს, საღამოს 8-ის ნახევრისთვის, შპს „მეგობრობის“ №33-ე საწყობში შესულმა თავდასხმელებმა საწყობის კარი შეიგინდნენ მიკეტეს, იქაურ თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღი მიუშვირეს და ნავაჭრი თანხა მოითხოვეს. მუქარისა და ძალადობის გზით, ერთ-ერთ თანამშრომელს ქურთუკის ჯიბიდან 2.050 აშშ დოლარი ამოაცალეს, საწერი მაგიდის უჯრიდან კი 1.500 ლარი ამოიღეს. ეჭვმიტანილად დაკითხულმა სამსონ ლომთაძემ დანაშაული აღიარა და თანამონაწილე პირებიც – გიორგი გურჩიანი, რომან კვანჭიანი და დავით ქურდიანი დაასახელა. რაც შეეხება დაკავებულ გიორგი გურჩიანს, მან თავი დამნაშავედ არ ცნო, ჩვენების მიცემაზეც უარი განაცხადა და ღუმილის უფლება გამოიყენა. რომან კვანჭიანი და დავით ქურდიანი იმ დროისთვის უკვე გაქცეულები და მიმალულები იყვნენ. კვანჭიანი პოლიციამ თითქმის ერთი თვის შემდეგ, 2001 წლის მაისში დააკავა, ხოლო ლომთაძის მიერ დასახელებული ქურდიანის ვინაობა და ადგილსამყოფელი, გამოძიების ინფორმაციით, დღემდე გაურკვეველი და

დაუდგენელია.

შპს „მეგობრობის“ საწყობის დაყარალება დაპატიმრებულმა კვანჭიანმაც აღიარა. ჩადენილ დანაშაულში გურჩიანის, ლომთაძისა და ქურდიანის მონაწილეობა მანაც დაადასტურა, თუმცა მოგვიანებით თავისი სიტყვები, ისევე როგორც ლომთაძემ, სრულიად უარყო.

ჩვენების შეცვლის შემდეგ, სამსონ ლომთაძემ განაცხადა, რომ 2001 წლის 12 აპრილს, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და არც შპს „მეგობრობის“ საწყობის დაყარალებასთან ჰქონია რაიმე კავშირი. აღნიშნულ დღეს, მისი თქმით, მას მეგობარმა გოგონამ დაურეკა და სთხოვა, სამსახურიდან, კერძოდ, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად არსებული ერთ-ერთი სავაჭრო ჯიხურიდან, გამყიდველის – ვინმე მარინას დახმარებით, ნავაჭრი თანხა აეღო, შემდეგ მარჯანიშვილის მოედანზე შეხვედროდა და ფული მისთვის გადაეცა. ლომთაძემ, როგორც თავად ჰყვება, ჯიხურიდან ნავაჭრი თანხა – 1.000 ლარი აიღო (30 ლარი თვითონ ჰქონდა ჯიხეში) და საღამოს, წინამძღვრიშვილის ქუჩით, ფეხით წავიდა მარჯანიშვილის მოედნისკენ, რათა მეგობრისთვის ფული გადაეცა. გზაში, შემთხვევით, შპს „მეგობრობის“ ბაზრობის ტერიტორიაზე შეიარა. სწორედ ამ დროს, სროლის ხმა მოესმა, საჩქაროდ გამოვარდა ბაზრობიდან, თამარ მეფის გამზირზე კი მოულოდნელად, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და იძულებით მიაცემინეს ჩვენება – თითქოს ის საწყობის დაყარალებაში მონაწილეობდა, თან უკარნახეს იმ პირთა სახელები და გვარები, რომლებიც ვითომ დანაშაულის ჩადენისას მასთან ერთად იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ სამსონ ლომთაძე და რომან კვანჭიანი მკვიდრი დეიდაშვილები არიან. ლომთაძე დაბა ამბროლაურიდან განსლავთ, თბილისში პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე ნათესავებთან. რაც შეეხება კვანჭიანს, ის ძირითადად, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში ცხოვრობდა, თბილისში კი ისიც ნათესავებთან ჩამოდიოდა დროებით. გამოძიების ინფორმაციით, დეიდაშვილები ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, როგორც მესტიისა და ამბროლაურის რაიონებში, ასევე თბილისშიც, ნათესავებთან სტუმრად ყოფნის დროს. სამართალდამცავთა ცნობით, ისინი ახლოს იცნობდნენ გიორგი გურჩიანს, რომელიც ასევე მესტიის რაიონიდან განსლავთ. სკოლის დამთავრების შემდეგ, გურჩიანი თბილისში ჩამოვიდა და ბიძის ოჯახში

ცხოვრობდა.

ამჟამად კვანჭიანი აცხადებს, რომ მართალია, 2001 წლის აპრილში თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ შემთხვევის დღეს, ის ნათესავის მოსანახულებლად ქუთაისში იყო და სწორედ იქ შეიტყო თავისი დეიდაშვილის – სამსონ ლომთაძის დაპატიმრების შესახებ. „დაებრუნდი თბილისში, მაშინვე დამაკავეს და დამპარალეს, თითქოს ლომთაძესთან და სხვებთან ერთად ყაჩაღობა ჩავიდინე“, – აღნიშნავს კვანჭიანი.

პროკურატურამ არც ერთი პატიმრის ჩვენება არ გაიზიარა. გამოძიებამ მათ ყაჩაღობის, გიორგი გურჩიანს კი, ამას გარდა, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-ტარების მუხლები მიუყენა. აღსანიშნავია ისიც, რომ რომან კვანჭიანს სამართალდამცავები სხვა მძიმე დანაშაულშიც სდებენ ბრალს. პირველი შემთხვევის მსგავსად, ამ დანაშაულსაც პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს გარდაცვლილი თანამშრომელი, შალვა დეკანოიძე განსლავთ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ეს დანაშაული რომან კვანჭიანმა სხვა, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, შპს „მეგობრობის“ საწყობის დაყარალების მომდევნო დღეს – 2001 წლის 13 აპრილს ჩაიდინა: საღამოს 8 საათისთვის, ქავთარაძის ქუჩაზე მყოფმა კვანჭიანმა და მისმა მეგობრებმა 135-ე სამარშრუტო მიკროავტობუსი შეაჩერეს. მიკროავტობუსს მძღოლი თამაზ ლიპარიძე მართავდა, მის გარდა, სამარშრუტო ტაქსიში ერთი ასაკოვანი მამაკაცი იჯდა. რომან კვანჭიანი მძღოლის უკან, პირველ სავარძელზე მოთავსდა. მიკროავტობუსის დაძვრისთანავე კვანჭიანმა მას უკნიდან იარაღი ჩაარტყა მარცხენა ლავიწის არეში, შემდეგ კეფაზე ლულა მიადო და უბრძანა, იქით წასულიყო, საითაც ის ეტყოდა. შეშინებული მძღოლი მაშინვე დაეთანხმა. კვანჭიანმა და მისმა მეგობრებმა ის გლდან-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ფეიქრების ქუჩაზე გაიყვანეს და ნავაჭრი თანხა – 72 ლარი წაართვეს. ამის შემდეგ, კვლავ მუქარით,

აიძულეს მძღოლი, თბილისის ზღვის მიმართულებით წასულიყო.

ქსნის ქუჩაზე მოძრაობისას, თამაზ ლიპარიძემ საპირისპიროდ მიმავალი პოლიციის ავტომანქანა შენიშნა და მას შეუქების ჩაქრობა-ანთებით ანიშნა მანქანის მძღოლს – დახმარება მჭირდებოდა. ავტომანქანაში გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლები ისხდნენ. ისინი ლიპარიძეს მიუხვდნენ და მაშინვე ანიშნეს, მანქანა გაეჩერებინა. პოლიციელებმა მიკროავტობუსს გზა გადაუკეტეს და შემოწმების მიზნით, სამარშრუტო ტაქსის კარისკენ წამოვიდნენ. კვანჭიანი და მისი თანმხლები პირები მიხვდნენ, რომ დაპატიმრების საშიშროება ემუქრებოდათ, ამიტომ მიკროავტობუსიდან სათითაოდ ჩახტნენ და სიბნელეში გაიქცნენ. პოლიციელები მათ მაშინვე უკან დაედევნნენ, რა დროსაც, როგორც თავად დასძენენ, გამაფრთხილებელ გასროლებს აწარმოებდნენ. მათივე თქმით, დანაშავე პირებმა ავტომატიდან ცეცხლი გახსნეს, მათგან გასროლილმა ტყვიებმა კი ერთ-ერთი თანამშრომელი – შალვა დეკანოიძე მოკლა. მიუხედავად დაღვენებისა და საპასუხო სროლებისა, ბოროტმოქმედებმა გაქცევა მაინც მოახერხეს. ასევე გაიქცა მიკროავტობუსში მყოფი ასაკოვანი მგზავრი, რომელიც შეშინებული, შემთხვევის ადგილს გაერიდა და მას შემდეგ, არც გამოჩენილა. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მისი ვინაობის დადგენა და დაკითხვა ვერ მოხერხდა.

რომან კვანჭიანი აღნიშნულ დანაშაულში თავის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს და ამ შემთხვევაშიც დასძენს, რომ 2001 წლის 12 და 13 აპრილს, ის თბილისში კი არა, ქუთაისში იმყოფებოდა.

პროკურატურა ბრალდებულის აღიბის არ იზიარებს. მის უარსაყოფად გამოძიებულს, კვანჭიანის მიერ 2001 წლის



2 მაისს მიცემული აღიარებითი ჩვენება მოჰყავს, სადაც კვანჭიანი დანაშაულის დადასტურებასთან ერთად, თანამონაწილეთა გვარებსაც კი ასახელებს. გარდა ამისა, პროკურატურა ირწმუნება, რომ სამივე ბრალდებული დაზარალებულმა და მოწმეებმა ამოიცნეს.

გურჩიანის, ლომთაძისა და კვანჭიანის ადვოკატები პროკურატურის მტკიცებულებებს არ ცნობენ და აცხადებენ, რომ საქმის მასალებში თითქმის ყველა ოქმი, განსაკუთრებით კი ამოცნობის ოქმები, გაყალბებულია.

რომან კვანჭიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი ლილი გელაშვილი წინასწარი გამოძიების მსვლელობის პერიოდში, კვანჭიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვდა, თუმცა პროკურატურამ მას ეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა. ადვოკატი აპირებს, იმავე თხოვნით სასამართლოს მიმართოს.

**ლილი გელაშვილი:**

„პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი არც ერთი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. არც ერთი მტკიცებულება რეალური არ გახლავთ, მიუხედავად ამისა, გამოძიებელი მათზე მაინც მიუთითებს – მაგალითად, დაპირისპირებები ბრალდებულსა და მოწმეებს თუ დაზარალებულებს შორის. რომან კვანჭიანი გახლავთ სრულიად უდანაშაულო პიროვნება, რომლის დაკავება

ოპერ-თანამშრომლების მიერ, უკანონობის ზენიტი იყო. დაკავების მომენტში მისთვის, ისევე, როგორც მისი ნათესავებისთვის, მიზეზი უცნობი იყო. არავინ იცოდა, რისთვის მიჰყავდათ ის სამმართველოში. სხვათა შორის, სამმართველოს თანამშრომლები თავად აღიარებენ ჩვენებებში, რომ ოპერატიულ სამსახურს კვანჭიანის დაკავების თაობაზე არც წერილობითი დავალება გააჩნდა და არც სასამართლოს ბრძანება ჰქონდა, თუმცა აღნიშნავენ: „... მაგრამ ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ვასრულებდით ყველა იმ მოვალეობას, რაც უნდა შეასრულოს თითოეულმა პოლიციელმა, რათა დადგენილ და წარმოდგენილ იქნას ყველა დამნაშავე პიროვნება“-ო. საქმეში რომან კვანჭიანის პიროვნების წარმოდგენის ოქმი არ არსებობს.

ცნობილია, რომ შემთხვევის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებმა გიორგი გურჩიანი და სამსონ ლომთაძე დააკავეს. გურჩიანი ღუმილის უფლებით სარგებლობდა, თან დაჭრილი იყო და საავადმყოფოში ჰყავდათ წაყვანილი. ამის გამო, პოლიციელთა მთელი რისხვა სამსონ ლომთაძეს დაატყდა თავს და მისგან აღიარებითი ჩვენება სასტიკი ფიზიკური ზეწოლის შედეგად მიიღეს. დაკითხვას, სახაზინო წესით მოწვეული ადვოკატი ესწრებოდა და როგორც ჩანს, მის ყოფნას პოლ-

იცელებისა და გამოძიებლის მიერ ძალადობისა და ზეწოლის განხორციელებაში ხელი არ შეუშლია. შემდეგ, ნორმალური პირობებით ოჯახის მიერ აყვანილი ადვოკატის თანდასწრებით ლომთაძემ განაცხადა (და ამას მთელი გამოძიების მანძილზე ამბობდა), რომ კვანჭიანის დასახელება მას იზოლატორში აიბუღეს. რაც შეეხება ამოცნობის ოქმებს, ყველა მათგანი გაყალბებულია, კანონის უხეში დარღვევითაა მოპოვებული და აუცილებელია, ისინი დაუშვებელ მტკიცებულებებზე იქნას ცნობილი. რომან კვანჭიანს რომ არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია, ამას ბევრი გარემოება ადასტურებს. მის უდანაშაულობაზე საქმეში ამ რაოდენობით დაშვებული კანონდარღვევებიც მეტყველებს“.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებულთაგან ადრე ნასამართლვეი მხოლოდ რომან კვანჭიანია. ზუგდიდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის განაჩენით, ის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარებისთვის იქნა ცნობილი დამნაშავედ და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2001 წლისთვის, როცა კვანჭიანმა საბრალდებო დასკვნის თანახმად, მორიგი დანაშაული ჩაიდინა, ციხიდან ის უკვე გათავისუფლებული გახლდათ. სასჯელი მას ვადამდე მოხდილად ჩაეთვალა.

**სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ხსენს სასროლი იარაღით მოკლული იპოვეს**

**30 მეტრში ნაპოვნი მომაკვდავი ახალგაზრდა მეორე დღეს გარდაიცვალა**

22 ოქტომბერს, თბილისში, საღამოს, თექვსმეტის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებმა ერთი გარდაცვლილი და ერთი მომაკვდავი ადამიანი იპოვეს. 32 წლის მამულა ქაჯაია მოკლული იყო,

მეორე კი — 22 წლის გია გველესიანი, რის შედეგადაც გარდაიცვალა, ჯერჯერობით დაუდგენელია. გამოძიების ვარაუდით, შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც განზრახ მკვლელობასთან გვეკონდეს საქმე.

ორივე ფაქტზე გლდან-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში საქმე 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიება ჯერ ეჭვმიტანილს ვერ ასახელებს. წინასწარი მონაცემებით, საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის, ჩარგლის ქუჩაზე, სანზონიდან თექვსმეტის დასახლებისკენ არსებულ გადასასვლელთან, ავტოგასამართ სადგურთან ახლოს, №60 სამარშრუტო ტაქსი ჯერ „ვაზ-2601“ მარკის ავტომანქანას, შემდეგ კი ელექტროგანათების ბოს შეეჯახა და გაჩერდა. სამარშრუტო



ტაქსიში მგზავრები არ ისხდნენ, არავინ იჯდა არც აღნიშნულ ავტომანქანაში, რადგან მისი მფლობელის თქმით, ის იმ მომენტისთვის მანქანიდან გადასული იყო. „...ბენზინი გამოთავდა. მანქანა იქვე შევაჩერე და საწვავის მოსატანად წავედი. ამ დროს, გზაარეულად მომავალი სამარშრუტო ტაქსი შევნიშნე, რომელიც ჩემს ავტომანქანას შეეჯახა“, — განუცხადა „ვაზ-2601“-ის მძღოლმა სამართალდამცავებს. შემთხვევის ადგილას მისულ პოლიციელებს სამარშრუტო ტაქ-



სის მძლოლი — მამუკა ქაჯაია ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული დახვდათ. ტყვია მას კისრის არეში, მარჯვენა მხარეს ჰქონდა მოხვედრილი. სამარშრუტო ტაქსიდან დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით კი, №41 საცხოვრებელი სახლის წინ, მიწაზე დავარდნილი მომაკვდავი ახალგაზრდა კაცი შენიშნეს. ის მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. ბიჭს სხეულზე რაიმე ჭრილობა არ აღმოაჩნდა, მაგრამ მეორე დღეს გარდაიცვალა. ექიმთა თქმით, მას თავის არეში დახურული ტრავმა ჰქონდა.

გარდაცვლილთა სხეულებზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ტარდება. ექსპერტები გაარკვევენ, თუ რის შედეგად მიიღო გველეხიანმა თავის არეში ტრავმა.

აღსანიშნავია, რომ პოლიციელებმა ვია გველეხიანის ტანსაცმლის ვიბეში სანადირო თოფის სამი ვაზნა აღმოაჩინეს, შორი-

ახლოს კი, დაგდებული უნომრო ცეცხლსასროლი იარაღიც იპოვეს. გამოძიება ვერჯერობით დაზუსტებით ვერ ამბობს, აქვს თუ არა ქაჯაიასა და გველეხიანის შემთხვევებს ერთმანეთთან რაიმე კავშირი, თუმცა, ვერსიის დონეზე, ამას არ გამორიცხავს. გლდან-ნაძალადევის რაიონის პროკურორის მოადგილის, ზურაბ საბავლიშვილის თქმით, გარდაცვლილთა სხეულებზე, ისევე, როგორც ამოღებულ მასრებზე, ექსპერტიზა ტარდება, რომლის პასუხებიც გამოძიებას ბევრ დეტალში გაარკვევს. ერთ-ერთი ვერსიით, სამარშრუტო ტაქსის მძღოლს დაყაჩაღების მიზნით დაესხნენ თავს, წინააღმდეგობის გაწევისას კი, მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაქსისმი ნავაჭრი თანხა არ უპოვიათ, საჭის გვერდით მხოლოდ ზურდა ფული ეყარა. ■

## „ნიკა ლომინაძის გველეხობას პროკურატურა არაოპიქტურად იძიებს“ — აცხადებენ ბრალდებულის ადვოკატები

„ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, 29 წლის ნიკა ლომინაძის გველეხობის ობიექტურად გამოძიების უკვე არ სწამთ. ეჭვს 28 წლის ბრალდებულის, ქუთაისელი დავით ჭელიძის ინტერესების დამცველი ადვოკატები — ზურაბ როსტიაშვილი და მინდია მალრაძე გამოთქვამენ. ისინი აცხადებენ, რომ ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე და ამ საქმის უშუალო გამომძიებელი — გიორგი ყაჯარიშვილი მათ საქმის მასალების გაცნობის საშუალებას არ აძლევს.

### ზურაბ როსტიაშვილი:

„ექვმიტანლისთვის ბრალის წყენების შემდეგ, მე, როგორც ადვოკატს, საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, სრული უფლება მაქვს, საქმის მასალებს დეტალურად გავეცნო. გამოძიებელმა არც მე და არც ჭელიძის მეორე ადვოკატს ამის საშუალება არ მოგვცა. ამით მან კანონი უხეშად დაარღვია და პროკურატურის ტენდენციურობასაც გაუსვა ხაზი“.

ყაჯარიშვილი ადვოკატთა ბრალდების საპასუხოდ აცხადებს, რომ კანონის თანახმად, ადვოკატებს მხოლოდ საქმის მასალების წაკითხვის უფლება აქვთ, მათ კი გადაწერა მიიწოდება.

### ზურაბ როსტიაშვილი:

„საქმის გაცნობა და სრულყოფილად შესწავლა იმას ნიშნავს, რომ რაც დამჭირდება, ის ამოვიწერო და ამოვინიშნო. მხოლოდ წაკითხვით, 500-გვერდიანი საქმის დეტალურად დამახსოვრებას ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ვერ შეძლებს“.

ადვოკატებმა გამოძიებლის მოქმედება ქალაქის პროკურორთან გაასაჩივრეს. მათი თქმით, ვიდრე მათ საქმის შესწავლის საშუალებას არ მისცემენ, მანამდე ბრალდებულის დაცვა მხოლოდ ფორმალური იქნება და დავით ჭელიძე ფაქტობრივად, დაუცველი რჩება.

ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, კომოდიდან და სიგარეტის საფერფლიდან ამოღებული თითის ორი ანაბეჭდი იდენტიფიკაციისთვის ვარგისი აღმოჩნდა და მათზე ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება.

### ზურაბ როსტიაშვილი:

„ამ თითის ანაბეჭდების გამოკვლევა ჩვენ ხელს გვაძლევს, რადგან ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს დავით ჭელიძის უდანაშაულობას. ამ გველეხობასთან ჭელიძეს არანაირი კავშირი არა აქვს და არც შემთხვევის ადგილას ყოფილა. ასე რომ, შეუძლებელია, თითის ანაბეჭდები მისი აღმოჩნდეს“.

## ქვენიუჩი კვლეობავს არ აღიარებს

დავით ძეგნიაურს, რომელსაც პროფესორ ნოდარ ბოხუას მკვლელობაში აცხადებენ ეჭვმიტანილად, სამართალდამცავები სხვა მკვლელობაშიც სდებენ ბრალს. პროკურატურის ინფორმაციით, 1993 წლის 19 დეკემბერს, თბილისში, მეტროს სადგურ „გოცირიძის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დავით ძეგნიაურმა ვაკის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომელს — მამუკა ბარამიძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვია ესროლა. ჭრილობა სასიცოცხლო აღმოჩნდა და ბარამიძე გარდაიცვალა.

თავად დავით ძეგნიაური ამ ბრალდებას, ისევე, როგორც ნოდარ ბოხუას მკვლელობას, კატეგორიულად უარყოფს, პროკურატურა კი აცხადებს, რომ დანაშაულების დასადასტურებლად საქმეში საკმარისი მტკიცებულება არსებობს. სამართალდამცავთა ამ არგუმენტს ძეგნიაურის ინტერესების დამცველი ადვოკატი — გულიკო გაბაიძე ეწინააღმდეგება. მისი თქმით, მთელი საქმე „განზრახ შეთითხნილია“ და არც ერთი მკვლელობის ეპიზოდში რეალური მტკიცებულება არ მოიპოვება. ადვოკატი აცხადებს, რომ დავით ძეგნიაურს არც ბოხუა და არც ბარამიძე არ მოუკლავს. „მისი სახელი, უბრალოდ, სამინელი ზეწოლის შედეგად, ერთ-ერთ პატიმარს დააფიქსირებინეს ჩვენებაში“, — ირწმუნება გაბაიძე. ■

**ნდობის ტელეფონი**  
**ქონსუტაცია**  
**ინტიმი (18 წლიდან)**  
**822 009 005**

„მეტი“ „ველსელი“  
 „მეგაკომი“ — 0,70 ლ.  
 თბილისი — 0,45 ლ.  
 რაიონები — 0,65 ლ.



თინეიჯერი მომღერალი ქრისტინე იმიდაძე საკუთარ უზარმაზარ სახლზე ოცნებობს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ თავისი გემოვნებით მოაწვობს. ამჟამად კი მშობლებთან ერთად ცხოვრობს და კიდევ — პატარა დეიდაშვილებთან, რომლებიც თურმე სულ მის ნივთებში იქექებიან და ბევრ რაღაცას უკარგავენ კიდევ... ეს ამბავი მშვიდი და მიმტვევებელი ხასიათის გამო, ქრისტინეს ნერვებს სულაც არ უშლის... მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი სულ 18 წლისაა, დახვეწილი გემოვნება აქვს. უყვარს შავი, წითელი, თეთრი და ვარდისფერი; ვარდები და მზესუმზირის ყვავილები, და კიდევ: ელოდება პრინცს — ოცნების მამაკაცს. გაინტერესებთ, როგორია ქრისტინეს ოცნების მამაკაცი? ეძებთ შანსს მისი გულის დასაპყრობად? მაშინ წაიკითხეთ ინტერვიუ — ოღონდ, თავიდანვე გაგიმხელთ: ახალგაზრდა მომღერალს „თავგამოცარიელებული“ მამაკაცები არ მოსწონს...



# ქრისტინე პრინცის გამორჩენამდე გულის ფორმის "გრეუკით" მშენება...

## ნინო ჯაპახიშვილი

— ქრისტინე, პირველად როდის გაჩნდა შენს ცნობიერებაში სიტყვა „გემოვნება“ და ვინ არის ის ადამიანი, ვის შენიშვნებსა თუ რჩევებს უყოყმანოდ ითვალისწინებ ხოლმე?

— დღეაქამდე გამზარდა და პირველ რიგში, ალბათ მისი დამსახურებაა, რომ გარკვეულწილად გემოვნება უკვე ჩამომიყალიბდა, დამეხვეწა. ვფიქრობ, რომ ვერ ისწავლი, სად, რა, როგორ უნდა ჩაიკვა, როგორ უნდა მოიქცე, რომელი წიგნი უნდა წაიკითხო და რომელი — არა, გემოვნება თანდაყოლილი თვისება. თუ ჩვევაა... რაც გინდათ, ის დაარქვით...

— ბევრი უქებს გემოვნებას

ია ფარულაფას. შენ თუ გირჩევს ხოლმე ია რამეს?

— ია ჩემთვის მართლ მაშიდა კი არა, ყველაზე ახლო მეგობარიცაა. ხშირად, როდესაც რაიმე არ მოსწონს, მეუბნება ხოლმე და მის ყველა რჩევას ვითვალისწინებ. საკმაოდ კომპეტენტურია გემოვნების საკითხში. იამ ერთადერთხელ გამიკეთა მაკიაჟი. მაშინ 14 წლის ვიყავი. საერთოდ, იშვიათად ხდება, რომ ვინმეს მაკიაჟი გააკეთებინო. თვითონ „ვითხუპნი“ ხოლმე სახეს.

— „ითხუპნი“? რატომ? მაკიაჟის გაკეთება სერიოზულ საქმედ არ მიგაჩნია?

— როგორ არა?! ვფიქრობ, რომ ჩემი თვალის ფორმა ჩემზე კარგად არავინ იცის და თვითონ უკეთესად „დავიხატ-

ავ“ თვალებს.

— კარგი. როგორია შენი ყოველდღიური ჩაცმულობის სტილი?

— იშვიათად ვიცვამ ქალურად, უფრო, სპორტული სტილი მომწონს. აი, ხომ ხედავთ, ახლაც როგორ მაცვია? მგონი, ჩემი ჩაცმულობით ზოია რუსაძეს უფრო ვგავარ (ქრისტინეს ჩაცმულობაში მართლაც სამხედრო აღკაზმულობის ელემენტები ჭარბობდა — ჯარისკაცული შარვალი, „ღრავუნა“ ჩექმა და ზურგჩანთა უყვარს. — ავტ.)... ყოველთვის იმას ვიცვამ, რაც მომწონს, ან რაც გაღვიძებისთანავე ხელში მომხვდება ხოლმე. არ ვფიქრობ იმაზე: ნეტავ, ეს ქვედაბოლო ამ მაისურზე თუ „წავა“ მეთქი.

— შენი გარდერობი ალბათ

**ძვირად ღირებული ტანსაცმლისგან შედგება...**

— მაქვს ძვირად ღირებული საღამოს კაბებიც და შედარებით იაფფასიანიც. ქარგვა და კერვაც მშვენიერად მეხერხება და ზოგჯერ, ქუჩაში გასვლის წინ, თუ გარდერობში არ მაქვს ის, რისი ჩაცმაც მინდა, გამოვიღებ სოლმე ბაბუაჩემის მაისურს, ღაჭკრი, გაკვეთილ-გამოკვეთილ და „ნარიადიც“ მზად არის...

**— ბალერინობასა და მომღერლობასთან ერთად, დიზაინერობასაც ხომ არ ცდიდი?**

— ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ თუ მოვინდომებ, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს საქმეც გამომივა.

**— სამკაულები თუ გიყვარს?**

— არა, ერთადერთ ბეჭედს ვატარებ, რომელიც მეგობარმა მანუქა, — ეს არის და ეს...

**— გასტროლებზე ყოფნისას, პირველ რიგში რას ყიდულობ ხოლმე?**

— (იცინის) რას და შოკოლადს — ძალიან მიყვარს...

**— ბარემ აქვე მითხარი, როგორია შენი გასტრონომიული გემოვნება? ბალერინა ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. ამის გამო, ხშირად ხომ არ გიწევს ხოლმე ქამაზე უარის თქმა?**

— ძალიან პრეტენზიული მჭამელი ვარ, ხორცს და ქართულ ცხარე-მწარე კერძებს საერთოდ არ მივირთმევ. უბრალო საჭმელი მიყვარს — სალათები, შემწვარი კარტოფილი, მაგრამ ტკბილეულიც ძალიან მიყვარს — საწოლ ოთახში ყოველთვის მიყრია კანფეტები და სულ მალულად ვჭამ ხოლმე, რადგან მიშლიან ბევრი ტკბილეულის მიღებას. ბავშვობაშიც, ან საწოლში ვჭამდი ჩუმად, ან ღამით ვძვრებოდი მაცივარში — რატომღაც მეგონა, თუ მათ დაუნახავდ შეგჭამდი, ძალიან არ გავსუქდებოდი.

**— შენი ოთახი როგორ გაქვს მოწყობილი?**

— ჩემს ოთახში თითქმის ყოველთვის არეულობაა, მაქვს ბევრი მაკრატელი. მკითხავთ, რად გინდაო? რა ვქნა, რატომღაც მიყვარს ეს ნივთი, ოთახში კი არა, მაკრატელს ჩანთითაც დავატარებ ცივი იარაღით. კიდევ — უამრავი თოჯინა მაქვს, საწოლშიც იმდენი „მიწევს“, რომ ჩემი ადგილი აღარ რჩება. საწოლთან გაკრული მაქვს ჩემი მეგობრის სურათები. აი, სულ ეს არის...

**— ამ მეგობრის ვინაობას არ გაგვიმხელ? ეს ის მეგობარი ხომ არ არის, ვისი გარდაცვალების ამბავიც იურმალაში შენი წარუმატებლობის მიზეზად დასახელდა?**

— უბრალოდ, მეგობრის ფოტოსურათები მაქვს, სხვას ვერაფერს გეტყვით...

**— როგორია შენი სამუშაო დღე?**

— ძალიან გადატვირთული ვარ. დღის 8 საათზე ვდგები, თეატრალურ ინსტიტუტში გავრბივარ (წელს სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავირიცხე), რეპეტიციების შემდეგ — სტუდია, სიმღერა და ა.შ...

**— ალბათ, თეატრალურ ინსტიტუტშიც ბევრი თაყვანისმცემელი გაგიჩნდა. შენი ჯგუფელები როგორ შეეგუნენ შენს პოპულარობას?**

— ძალიან კარგი ჯგუფელები მყავს და ყველა ძალიან მიყვარს. პირველად ერთ-ერთ მათგანს რომ მივესალმე, გაკვირვებულმა მითხრა: ვაიმე, არ მეგონა, თუ მომესალმებოდით... იმ დღიდან, ის ბიჭი სულ მელაპარაკება და მელაპარაკება — ვეღარ ვაჩუმებ ხოლმე...

**— როგორია შენი ოცნების მამაკაცი?**

— პრინცს ველოდები, მაგრამ რაღაც არა მგონია, პრინციები კიდევ არსებობდნენ... მგონია, რომ ისეთი მამაკაცი, როგორც ჩემს გემოვნებაში ჩაჯდებოდა, აღარ არის. რა ვითხრათ — არ ვზივარ და არ ვფიქრობ, მაინცდამაინც ასეთი და ასეთი ქმარი უნდა მყავდეს-მეთქი. უბრალოდ, პრინცს ველოდები...

**— მაინც, რა თვისებების გამო აირჩევდი მამაკაცს ცხოვრების მეგზურად?**

— პირველ რიგში, პატივი უნდა მცეს მე და ჩემს პროფესიას. ზოგს არც ჩემი ბალერინობა მოეწონება, არც მომღერლობა და არც ის, რომ დღეს თუ ხვალ, მსახიობი ვიქნები... თუ ვეყვარები, ჩემი საქმეც უნდა უყვარდეს, უზომოდ ერთგული უნდა იყოს. მართალია, ბევრი ისეთი თვისება მაქვს, რაც შეიძლება, სხვისთვის ძნელი ასახიბროს იყოს, მაგრამ თუ ვუყვარვარ, უნდა ამიტანოს, მაშ, როგორ? ჩემი ოცნების მამაკაცისგან, მე თვითონაც ბევრ რამეს ავიტან, მაგრამ უტყვინო, გამოშ-

ტერებულ და თავგამოცარიელებულ კაცებს — ვერასდროს...

**— ქრისტინე, ტელესერიალის — „ძილის წინ“ რამდენიმე სერიაში გამოჩნდი და შეასრულე აგენტის როლი, რომელიც მოლაპატივე ქმრის გამოაშკარაებაში ესმარებოდა სერიალის გმირს. შენ თუ შეგიძლია, მამაკაცს დალატი აპატიო?**

— დალატი? გააჩნია დალატსაც... სხვათა შორის, ერთხელ უკვე მჭინდა ასეთი შემთხვევა და ვაპატიე. წარმოიდგინეთ, რომ ეს ძალიან ადვილი აღმოჩნდა. არ მიჭირს აღმინებისთვის რაღაც-რაღაცების პატიება. მთავარია, თვითონ იყო ალალი და სხვას არ უღალატო... ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ...

**— ყველაზე ორიგინალური სამუშაო, რაც შენთვის მამაკაცს მოუძღვია, რა იყო?**

— ზამთარში ჩემმა მეგობარმა გულის ფორმის „გრელკა“ მანუქა და მითხრა: ამით კარგად გათბები. წითელი ფერისაა და ძალიან მიყვარს. ზამთარში კი მართლაც „გრელკას“ ვეხუტები და ისე ვთბები ხოლმე...





„დონ ჟუანი კოცნის თავის შეყვარებულს. მაყურებლები პარტერში ნერწყვებს ყლაპავენ, მე კი ეს კოცნა ხანგრძლივად მეჩვენება. ვნერვიულობ, ცუდად ვარ“. ეს სიტყვები პოეტმა მარამხ ამანათიძემ მაშინ წარმოთქვა, როცა კინოსახიობთა თეატრის სცენაზე მსახიობი ზურაბ ყიფშიძე იხილა დონ ჟუანის როლში. ამის შემდეგ დაწერილი მისი თითქმის ყველა ლექსი, ზურა ყიფშიძისადმი სიყვარულის ახსნად გადაიქცა. „მე ქვეყნად ყველა ჭაბუკი მიყვარს, ვისაც სახელი ზურაბი ჰქვია“ — წერს ქალბატონი მარეხი. ალბათ, პოეტისთვის ის უბრალოდ მუზაა — ვფიქრობდი მისი სახლისკენ მიმავალი. მაგრამ როდესაც მის მყუდრო ბინაში, კედელზე ზურა ყიფშიძის უამრავი ფოტო ვიხილე, მივხვდი, რომ ქალბატონი შეყვარებული იყო. მიუხედავად ამისა, ეჭვი თავიდანვე არ გავამჟღავნე. მაინც ვფიქრობდი, იქნებ უბრალო დამთხვევაა-მეთქი. ვარჩიე, ქალბატონ მარეხს თავად ეამბნა თავისი სიყვარულის ამბავი.

↔ — — — — — ↔

## ზურაბ ყიფშიძეზე შეყვარებული კინოში ქალი პასუხს ელოდება...

↔ — — — — — ↔

**მერი კობიაშვილი**

— ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი. სკოლაში ყველას მოსწონდა. მეცხრე კლასში ქართულის მასწავლებელმა გადაწყვიტა, ჩემი ლექსები გალაკტიონ ტაბიძისთვის გაეცნო. პოეტმა მეფეს სახლში ვესტუმრეთ. ძალიან კარგად მიგვილო, ღიმილით და საჭაპურით გავგიმასპინძლდა. მაშინ გალაკტიონი ჯერ წვერს არ ატარებდა. ვნერვიულობდი, როცა ჩემი ლექსების კითხვა დაიწყო. ერთი პატარა ლექსი მქონდა სიყვარულზე დაწერილი:

„ღე, ოვალენმა ასაუნრონ, შენ ნუ შეწყვიტ ნურც ეროი სიყვავას, ებ ოვალენი უხეი შეწყვიტ, რაც ჩვენს შორის უნდა იქვას“.

ეს ლექსი ხმამაღლა წაიკითხა და მითხრა, — წერეთ, გოგონი, თქვენ დიდი მომავალი გელოდებათო. გალაკტიონს კიდევ ერთხელ შევხვდი მის ერთ-ერთ იუბილეზე. დიდი სუფრა იყო გაშლილი რესტორან „თბილისში“. გალაკტიონმა გვერდით მომისვა. პირველი ჭიქა მე მომაწოდეს. მისი სადღეგრძელო შევსვი და „მერი“ წავიკითხე. გულში ჩამიხუტა, მისი ცრემლები გულზე დამდიოდა. ბოლოს

მითხრა — „ემადლობო, გოგონი, თქვენ დიდი ბედნიერება მომანიჭეთ. გალაკტიონი არ მოკვდება, ის უყვარს ახალგაზრდობას“.

— **ლექსი, რომელიც გალაკტიონს მოეწონა, ვის მიუძღვნით?**

— სკოლაში ჩემზე ერთი წლით უფროსი ბიჭი მომწონდა. კედლის გაზეთის რედაქტორი იყო — დათო გაბუნია. როდესაც ლექსები მიმქონდა, წითლდებოდა და იბნეოდა. ეს ლექსი მას მიუძღვნე. სამწუხაროდ, სკოლის პერიოდში დაწერილი ლექსებიდან ეს ერთი შემომრჩა. ზოგი დამეკარგა, ზოგიც გავაჩუქე.

— **ბავშვობის სიყვარული როგორ დამთავრდა?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. იმავე წელს დათოს მამა მოვიდა და მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვა. მამაჩემმა შეურაცხყოფა მიაყენა და სახლიდან გააგდო. სახლიდან გასული, კიბეზე დაგორდა. აღარ მახსოვს, რა დაუშავდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ დაიღუპა. ამის გამო მამაჩემზე გაებრაზდი და სახლიდან წავიდი.

— **მამათქვენმა უარი რატომ თქვა?**

— უარის მიზეზი რა იყო, დღემდე არ ვიცი. მამაჩემი „ყველ-კარაქის“ ღირექტორის მოადგილე იყო და კარგი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ სმა უყვარდა.

სწორედ ამიტომ მიატოვა დეამ, როცა მე და ჩემი და-მმა პატარები ვიყავით. სამწუხაროდ ჩვენ მაშინ მამასთან დავრჩით. მერე მივხვდი, რომ სიმდიდრეში არ ყოფილა ბედნიერება.

— **სახლიდან წასული სად ცხოვრობდით?**

— ქირით ცვხოვრობდი. ბიძაჩემი მეხმარებოდა. ის ვასილ მჭავანაძის ძმობლი იყო და მეკობრობდნენ კიდეც.

— **ვასილ მჭავანაძე თუ იცნობდა თქვენს ლექსებს?**

— მჭავანაძე არა, მაგრამ ელუარდ შე-



ვარდნაძე ჩემი ლექსების მკითხველია. ამის შესახებ შემთხვევით გავიგე, როცა გამოცემლობიდან ჩემი პირველი წიგნი „როცა აყვავდა ნუში“ წამოვიღე, მითხრეს, – რამდენიმე, ბიბლიოთეკაში გავაგზავნეთ, ერთი კი – პრეზიდენტთანო. თურმე, პრეზიდენტს უთხოვია, თუ გამოცემლობაში კარგი პოეზია დაიბეჭდებოდა, მისთვის გაეგზავნათ.

— პრეზიდენტის აზრი თუ იცით თქვენს პოეზიაზე?

— ნამდვილად არ ვიცი, ერთმანეთს არ შევხვედრივართ, მაგრამ ჯერ არავინ შემხვედრია, ჩემი პოეზია რომ არ მოსწონებოდა. ვფიქრობ, არც ის იქნება კრიტიკულად განწყობილი ჩემი ლექსების მიმართ.

— მოდიო, ისევ თქვენს ცხოვრებას დაფუძრუნდეთ. სახლიდან წასულმა, ალბათ, საყვარელ ადამიანს დაუკავშირეთ ბედი.

— არა. დათოსკენ აღარ გამიხედავს. მამამისის სიკვდილში თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. სულ სხვაზე ვაფიქსირდები, მაგრამ ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდება. ბავშვს ველოდებოდი, როცა მეუღლე ავარიაში დაძვლუპა. ამის შემდეგ შემახვედრა ბედმა ჩემს პირველ სიყვარულს, დათოს. ცოლად გაყოლა შემომთავაზა. გადავწყვიტეთ, ხელი მოგვეწერა, მაგრამ ბოლო წუთს მის წინადადებაზე უარი ვთქვი. ვიცოდი, დედამთელი ჩემს წარსულს ოდესმე მაინც წამომავყვდრება. ვარჩიე, ისევ მარტო ვყოფილიყავი. მერე, ბავშვი გავაჩინე, რომელიც მალევე დაძვლუპა. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ალბათ ამიტომ შეეძელი ამდენი უბედურებისთვის გამძლეო.

— მოგვიანებით, როცა ტკივილი მოგიშუშდათ გათხოვებაზე აღარ გიფიქრიათ?

— მთხოვნელები მყავდა, მაგრამ მე ნამდვილ სიყვარულს ვეძებდი. სამი წლის წინ, ერთ პოლონელ, ჩემზე ოცდახუთი წლით უმცროს მამაკაცს მოვეწონე. არ ვიცი, რამ მოხიბლა, მაგრამ მთელი გულისით და სულით უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა. უარი ვუთხარი, მე მას ვერ შევიყვარებდი, რადგან ჩემს გულში სამუდამოდ სხვასა აქვს ბინა დადებული.

— ვინ არის ეს პიროვნება? ვის გამო თქვით უარი ასეთ წინადადებაზე?

— არც ველოდებოდი, ისე მოვიდა ჩემთან ეს სიყვარული. ერთხელ, ცუდ ხასიათზე ვიყავი და კინოსახიობთა თეატრში შევედი. პარტურში მეთრე რიგში ვიჯექი. „დონ ჟუანი“ გადიოდა. ჩვეულებრივ ვუყურებდი მსახიობს, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა. თვალები ისეთი გრძობით ჰქონდა სავსე, რომ მაგნიტივით მიზიდავდა. საქართველოში



სკოლის მასწავლებელი მინა ხონელიძე, მარჯვ ამანათიძე, გალაკტიონი და მარჯვის მეგობარი ეთერ კიკნაძე

თვალების სილამაზის კონკურსი რომ ჩატარდეს, პირველ ადგილს მას მივაკუთვნებდი. ძალიან მომხიბლავი და ვნებიანი თვალები აქვს. დონ ჟუანის ტანსაცმელში და გრიმში ვერც ვიცანი, რომელი მსახიობი იყო. როცა ვიკითხე, გვერდით მჯდომმა მითხრა, ზურა ყიფშიძეაო.

— იქნებ ეს მხოლოდ მსახიობის მიმართ გამოვლენილი აღფრთოვანება იყო?

— დარწმუნებული ვარ, ეს ნამდვილი სიყვარულია. ადრე, მსახიობ მამაკაცზე ასე არასოდეს მიფიქრია. ეს ყველაფერი ოცდაწვიდი წლის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება.

— ზურა ყიფშიძის გაცნობა მოახერხეთ?

— კინოსახიობთა თეატრში ხშირად დავდიოდი. ყავავილების თაიგულს ვუგზავნიდი ხოლმე. ერთხელ ნობათიც მივართვი. ყველა მიხვდა, რომ ზურას თავგანსიძვენილი ვიყავი. მსახიობებმა გაგაცანეს ერთმანეთი. მის მეგობარს ჩემი ლექსების წიგნი გავატანე ზურასთან. როგორც შემდეგ მითხრა, მას ძალიან მოსწონებია ჩემი პოეზია. მე კი მისი ხელოვნება მომეწონა. იგი არა მარტო ბრწყინვალე გარეგნობით არის დაჯილდოებული, არამედ ძალიან კარგი მსახიობიცაა. გრძობა დღესაც მაქვს და სანამ ცოცხალი ვარ, ასე გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვხვდებით.

— ზურას თქვენ თვითონ გაუმხილეთ ამ გრძობის შესახებ?

— მე პირადად არაფერი მითქვამს მისთვის – შევეცადე, სიყვარული ლექსებში გამოემხატა. ჩემი გრძობის შესახებ, მან სწორედ ამ ლექსებიდან შეიტყო.

— ზურას მხრიდან თუ გი-

გრძნობათ რაიმე სიმპათია?

— ეს ძალიან პირადულია და ამაზე ვერ გიპასუხებთ.

— თქვენი აზრით, ეს ის სიყვარულია, რასაც ნატრობდით და რაზეც ოცნებობდით?

— ბოლომდე არა. თუ ჩემს ამდენი ხნის სიყვარულს დააფასებს და სიყვარულით უპასუხებს, ვიტყვი, რომ ღმერთმა სიყვარულში გამიმართლა. მისთვის ჩემი სახლის კარი, ყოველთვის ღიაა. თუ მას მოესურვება და მობრძანდება, ყოველთვის სიხარულით მივიღებ.

— როგორ წარმოგიდგენიათ ეს დღე? ალბათ ამაზე ოცნებობთ კიდევ.

— მას ჩემთვის ცუდი არასოდეს უკადრებია. მე კი – მის წინაშე, ჩემდა უნებურად რაღაც დავაშავე. ვფიქრობ, მან უნდა მაპატიოს.

— თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს ქალმა, რომ სიყვარულში გაუმართლოს?

— ეს მამაკაცზეა დამოკიდებული. ქალს შეიძლება მთელი გრძობით უყვარდეს, მაგრამ მთავარია, როგორ გაუგებენ.

„ჩემ ერთადერთმა ზღაპრულმა პრინცმა, სიყვარულით მომართვა უკლა, აღწავენაული ვეფერებოდა, დღეს ცრემლით ვნამავ“.

— ვკითხულობთ თქვენს ერთ-ერთ ლექსში. შემთხვევით ეს „პრინცი“ ზურა ყიფშიძე ხომ არ არის?

— დიახ, ზურაა. სამი წლის წინ, დაბადების დღეზე მომართვა ხელოვნური კალების თაიგული. დღესაც დიდი სიყვარულით ვინახავ.



# ჩაზე იცინის მსოფიო



ახალგაზრდა მსახიობი ქალი რეჟისორს გაჰყვა ცოლად. პირველ ღამეს ის ნერვულად ჩურჩულებს:

— რომ იცოდე, ძვირფასო, როგორ მეშინია!

— ნუ ლელავ, საყვარელო, ძალიან ნაზად მოგექცევი...

— მაინც ვლელავ. ხომ იცი — სიყვარული თეატრს ჰგავს: მკაცრად იმავებს განიცდი, რასაც პრემიერაზე...



ღირიქორი მთელი 25-წლიანი კარიერის მანძილზე, ყოველი კონცერტის წინ ამოიღებდა რაღაც ბარათს, ჩაიკითხავდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა კონცერტს. ერთხელ ორკესტრის „პირველმა ვოლინომ“ ბოლოს და ბოლოს, დაიკმაყოფილა დიდი ხნის ცნობისმოყვარეობა — ჩაიხედა იმ ბარათში და გაოგნდა, როცა წაიკითხა: „ვოლინოები ჩემგან მარცხნივანა, ჩელოები კი — მარჯვნივ“.



პატარა ბიჭი თავის პროგრამისტ მამას ეკითხება:

— მამიკო, რატომაა, რომ მზე ყოველ დღით აღმოსავლეთით ამოდის და დასავლეთით ჩადის?

— დარწმუნებული ხარ? — კითხვითვე პასუხობს მამა.

— ყოველდღე ვამოწმებ ხოლმე.

— ხელი არაფერს ახლო რა, არაფერი გააფუჭო! — ყველაფერი გამართულად მუშაობს.



„სამსახურში ხომ არ წავსულიყავი?“ — გაიფიქრა მან და... არ წავიდა.

— ქალბატონო მარეხ, თავიდან რომ დაგენწყოთ ცხოვრება, რაიმეს შეცვლიდით?

— ბევრ რამეს. ჩემდა უნებურად, ცხოვრებაში უამრავი შეცდომა დაუშვი. მეგონა, როგორი ალალიც მე ვარ, ყველა ასეთიამეთქი. თურმე არავის არ უნდა დაუჯერო.

ქალბატონი მარეხი, მიუხედავად იმისა, რომ სიმარტოვის ეშინია, დღეს მართო ცხოვრობს. შვებას ლექსების წერაში პოულობს. ოცდაშვიდწლიანი ცალმხრივი სიყვარულის შემდეგ ისევ წერს:

„ოუმც შიოს ხარი ჩემგან, სულ მენაცვრება, მაინც შენ ჩემი სიყვარული ხარ!“

ბუნებრივია, ქალბატონ მარეხთან საუბრის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, გამეგო ბატონი **ზურაბ ყიფშიძე** რას ფიქრობს ყოველივე ამის შესახებ. მსახიობს მარჯანიშვილის თეატრში ვესტუმრე. რეჟისორი თემურ ჩხეიძე მიხელო ბულგაკოვის „პილატეს“ დგამს, სადაც ბატონი ზურა ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს. „რეპეტიციის პირველი დღეა, რა გამოვა, არავინ იცის. ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.“ — მითხრა მსახიობმა.

ბატონ ზურას ვკითხე, თუ იყო მისთვის ნაცნობი მარეხ ამანათიძის სახელი და რა შეეძლო ეთქვა ამ ქალბატონის შესახებ.

— არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. როცა ადამიანი ასეთ ყურადღებას გამოხატავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სულერთი არა ხარ მისთვის.

— თუ გახსოვთ, როდის და



როგორ გაიცანით ეს ქალბატონი?

— დიდი ხნის წინ გავიცანი. ძალიან უხერხულ და გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ამხელა ყურადღება და სითბო დადებით ემოციას იწვევს. მაღლიერებას მეც ყურადღებით გამოვხატავდი. ჩვენი დამაკავშირებელი, თეატრი იყო.

— მისი ლექსების გაცნობისას რა გრძნობა დაგეუფლათ? თუ მოგწონთ მისი ლექსები?

— თუ ღმერთმა შენი გრძნობების ლექსად გამოხატვის საშუალება მოგცა, ამაზე კარგი არაფერია. უხერხულობის გრძნობა მეუფლება, როცა ამ ქალბატონის ლექსებს ვკითხულობ. მთავარია, რომ გულწრფელად არის დაწერილი.

— მისი ლექსებიდან რომელიმე ზეპირად თუ იცით?

— ლექსებს აღარ ვკითხულობ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, არ წავიკითხო. მით უმეტეს, ისეთი ლექსები, რომელიც ერთი კონკრეტული ადამიანის ქებათა ქებაა.

— ყვავილებს ყველა თქვენს თაყვანისმცემელს უძღვნით დაბადების დღეზე?

— შეიძლება ჩემს მინუსადაც ჩაითვალოს ის, რომ არ მიყვარს ყვავილების ჩუქება. უყურადღებო ვარ. ეს უფრო დაბნეულობით მომდის ხოლმე.

— ქალბატონ მარეხს კი თქვენი ნაჩუქარი კალები დღესაც შენახული აქვს.

— კი. ერთხელ მოხდა ასეთი რაღაც. მე და ჩემი მეგობრები მასთან სახლში მივედი და ყვავილები მივართვი. ეს ყურადღების ერთ-ერთი ფორმაა.

— თუ მასთან სახლში იყავით, თქვენს ფოტოებსაც ნახავდით...

— გავვიკიდი. ასეთ რამეს არ ველოდი.

— სიყვარულის ასეთ გამოსატყაზე რას ფიქრობთ?

— რა უნდა ვიფიქრო, ყველანაირი სიყვარული და გამოხატვის ფორმა უნდა იყოს გაგებული, მოფერებული და შეცნობილი, მაგრამ სხვა არის, თუ ვერ იზიარებ და მაღლიერებას ვერ გამოხატავ. ეს შენი უბედურებაა.

— ასეთი თაყვანისმცემელი ბევრი გყავთ?

— არა. ასეთი ფორმით და ასეთი დიდი ყურადღებით ნამდვილად არა.

— გაგებდავ და შეგეკითხებით: ქალბატონი მარეხი მოგწონდათ?

— ვინც მომწონს, ის ოცდახუთი წელია, სახლში მყავს.

— ქალბატონ მარეხს ამდენი წლის შემდეგ რას ეტყოდით?

— დიდ მაღლობას.

### ნათია თენიავილი

— აქვს თუ არა თმის ხარისხს მნიშვნელობა? ყველანაირ თმას თუ შეიძლება გაუკეთდეს თმის დაგრძელება და აფრიკული ნაწნავები?

— რა თქმა უნდა, დაზიანებულ თმაზე ამის გაკეთება არ შეიძლება. თმა ჯანსაღი უნდა იყოს. თუ კლიენტს თმის სტრუქტურა დარღვეული აქვს და სცვივა, მას სპეციალური ნიღბებით ჩაუტარდება მკურნალობა და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ თმის დაგრძელებას ან აფრიკულ ნაწნავებს. ვარცხნილობა კეთდება გარანტიით, 3-დან 6 თვემდე ვადით. აფრიკული ნაწნავები კეთდება თმის ჩამატებით ჩაწვნის დროს, თმის დაგრძელება კი — წებოთი.

— რა სიგრძის უნდა იყოს თმა, ეს ვარცხნილობები რომ გაკეთდეს?

— 7-8 სანტიმეტრი სიგრძის მაინც უნდა იყოს — რაღაცას ხომ უნდა მივაწებო.

— მერე, ეს თმისთვის საზიანო არ არის?

— არ არის საზიანო. წებო შეიცავს სამედიცინო კომპონენტებს და არ იწვევს თმის სტრუქტურის დაზიანებას. ის თმაც, რომელიც ემატება, ბუნებრივია.

— შემდეგ, თმის დაბანა ჩვეულებრივად ხდება?

— კი, დაბანის პროცესი ჩვეულებრივად ხდება, უბრალოდ — ცოტა მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. თუ კლიენტს ექნება ამის საშუალება — მობრძანდება სალონში და აქ დაიბანს, თუ არა და, შევასწავლით მეთოდს, თუ როგორ დაიბანოს თავი.

— ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ მიწებებულ ან ჩამატებულ თმა ზღვაზე ცურვისას, მაგალითად, დელვაში ჩამოგძვრეს?

— გამორიცხულია! თმაც რომ დაქაჩო, ის მაინც არ ჩამოსძვრება. ეს თმა არანაირ პრობლემას არ უქმნის ადამიანს — ჩვეულებრივად ივარცხნი, ისწორებ, იკეთებ ვარცხნილობას და ა.შ.

— მაშინ რატომ არის გარანტია მხოლოდ 6-თვიანი?

— დამატებაც და ჩაწვნაც ხდება ძირიდან 6 სანტიმეტრის დაშორებით. 6 თვის შემდეგ თმა იზრდება, ეს 6 სანტიმეტრი უკვე 12-მდე შეიძლება გაიზარდოს და ეს შექმნის გარკვეულ დისკომფორტს. ექვსი თვის შემდეგ, მობრძან-

ბოლო დროს, ქართველ ახალგაზრდებს შორის საგრძობლად მომრავლდნენ აფრიკული ნაწნავების მოყვარულები. მაგრამ თბილისში ნამდვილი აფრიკული ნაწნავების გაკეთება დღემდე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სტილისტი-დიზაინერმა ზუკა ტალაშვილმა სპეციალური კურსები გაიარა მოსკოვში — „ტონიგაის სკოლაში“, „დოლორესის აკადემიასა“ და „აფრიკული ნაწნავების სკოლაში“, სადაც ახალი სტილის ვარცხნილობები, მათ შორის, აფრიკული ნაწნავები და თმის დაგრძელება (ე.წ. *наращивание*) შეისწავლა. „ეს იქნება პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ვარცხნილობები, გარანტიით!“ — გვპირდება ზუკა.

## ეპირაკლდებს თუ არა თბილისში „აფრიკული თავეები“?

დებით და მოიხსნით ამ ყველაფერს. — იმ ჩამატებულ თმის მეორედ გამოყენება თუ არის



შესაძლებელი?

— არა, ის თმა აღარ ივარგებს.

— შესაძლებელია თუ არა დამატებული თმის შეღებვა?

— დაგრძელების შეღებვა შეიძლება, ნაწნავის — არა.

— რა ღირს მთელი ეს სიამოვნება?

— ფასი 350 ლოლარიდან 650 ლოლარამდე მერყეობს და თმის სისქის მიხედვით იზრდება: რაც უფრო სქელი აქვს თმა კლიენტს, მით უფრო მეტი თმის დამატება დასჭირდება, შესაბამისად, ფასიც მეტია. „ქართული თმა“ არა მგონია, 500 ლოლარზე ნაკლები დაჯდეს.

დაბოლოს, კიდევ ერთი სიახლე ზუკასგან, რომელიც ქართველ ქალებს ალბათ ძალიან გაახარებს. შენაღები თმის ფერის შეცვლა დაზიანების გარეშე ჩვენთან ყოველთვის დიდი პრობლემა იყო. ზუკა გვპირდება, რომ მას შეუძლია შეღებილი შავი ფერის თმაც კი შეცვალოს მაქსიმალურად ღია თეთრ ტონამდე, დაზიანების გარეშე.

ალბათ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ელენე თევდორაძეს ბევრი სხვა პარლამენტარისგან განსხვავებით, მართლაც სწვევია გულახდილი საუბარი და ამაში არც იმის გაცნობიერება უშლის ხელს, რომ პოლიტიკოსია, რომლისთვისაც გულახდილობა არცთუ ისე ტიპური თვისებაა.

მის საქმიანობაზე საუბრისას ისმება ბუნებრივი კითხვა: საინტერესოა, საქართველოში ასე აქტიურად რომ არ ირღვეოდეს პატიმართა უფლებები, იქნებოდა თუ არა ქალბატონი ელენეს კარიერა ასეთი წარმატებული, თუ მისთვის ეს ის „ბედნიერი“ შემთხვევაა, ქართველები რომ იტყვიან — ზოგი ქირი მარგებელიაო?..

თავად სხვისი უფლებების დამცველი, გამარჯვებისათვის თავდასხმის აუცილებლობას არ გამოირიცხავს და შესაბამისად, სავსებით ეთანხმება მოსაზრებას — საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო.

**ხათუნა მაღრაძე**

— არის ერთი რუსული გამოთქმა: **Наглый фраер хуже танка.** აქედან გამომდინარე, ადამიანს ხასიათში გარკვეული დოზით თავხედობაც უნდა ჰქონდეს და ტანკით შემტყვევც უნდა იყოს.

— თავდასხმაში რა ფორმას გულისხმობთ?

— ჩვენს შემთხვევაში — ფაქტებით ლაპარაკსა და სიმართლეს.

— ნაპოლეონი ამბობდა: **პოლიტიკა, მეძავი ქალიაო, ნოე ჟორდანია — აბდლობააო.** რას ფიქრობს ელენე თევდორაძე პოლიტიკაზე?

— სიმართლე გითხრათ, ჩემს თავს გარკვეული პერიოდი პოლიტიკოსად არ ვთვლიდი, ჩემი პოლიტიკური სარბიელი მხოლოდ ადამიანთა უფლებების დაცვა მეგონა. ერთხელ, საგამოძიებო საკითხთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურაში მომიხდა მისვლა. მაშინ გენპროკურორის მოადგილე, რეზო ყიფიანი იყო. მან საუბრისას მომხაროა: აი, თქვენ ხომ პოლიტიკოსი ხართო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ შემდეგ გააცნობიერე, რომ როცა დეპუტატი ხარ, გინდა, არ გინდა, პოლიტიკოსიც უნდა იყო. უნდა ვაღიარო: რასაც კულუარებში ვუყურებ, ამორალობაა. საქართველოში სუფთა პოლიტიკა არ მინახავს. მიკვირს, როცა პოლიტიკოსი იცვლის პოზიციას, არა თავისი იდეოლოგიის, არამედ მერკანტილური მოსაზრებების გამო. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა მეძაბაცაა და აბდლობაც.

— თქვენ თვითონ ახალი პარტიის



# ხომ იცხვება თანაცხადი იქნა თქვრია?

შექმნის სურვილი და ლიდერობის ამბიცია არ გქონათ?

— არანაირად. არჩევნების წინ ჩემთან ადამიანთა ჯგუფები მოდიოდნენ, რომლებიც პარტიის შექმნას მთავაზობდნენ, მაგრამ უარი განვუცხადე.

— რეინკარნაციის თუ გჯერათ და ვინ იქნებოდით ნინა ცხოვრებაში?

— ცხოვრების უმეტესი ნაწილი კომუნისტების პერიოდზე მოდის, ამიტომ ამგვარი რამეების ნაკლებად მჯერა. ვიცი, რა გავიარე დაბადებიდან დღემდე და რასაც გავივლი სიკვდილამდე.

— როგორც გავიგე, ათეისტი ბრძანდებით...

— მე დემოთისკენ მივბრუნდი, თუმცა, არც ისე დიდი ხნის წინ. ჩემთვის ეს, პოპულარულ ტაღლას აყოლა არ იყო. ყველაფერი უნებურად მოხდა. იყო პერიოდი, როცა ეკლესიაში მხოლოდ ტრადიციულ დღეებში შევიდიდი და სანთელს ვანთებდი, მაგრამ პირველის გადაწერა არ შემეძლო — უბრალოდ, იმ ხალხის მრცხვენოდა, ვინც ჩემ გვერდით, რწმენით ლოცულობდა და პირველს იწერდა. მე ვფიქრობდი, რომ მათთვის შეურაცხყოფა არ უნდა მიმეყენებინა...

— შემდეგ რა მოხდა?

— ოთხი წლის წინ ისრაელში ვიყავი. ბეთლემში ჩავედი და ის ადგილი მოვიხანულე, სადაც ქრისტე დაიბადა. უნებლიეთ ვიგრძენი, რომ დაჩოქილი ვიყავი, მუხლებზე ვიდექი და ვტიროდი. ეს საოცრება იყო. პირველად, მაშინ გადავიწყვერე პირველი და შემდეგ ამის გაკეთება აღარ გამჭირვებია.

— ბიბლიური 10 მცნებიდან რომელი არ დაგირღვევიათ?

— ალბათ ცხოვრების მანძილზე უმეტესობა დავარღვეე. ძნელია, იცხოვრო საერო ცხოვრებით და ყველა შენი ნაბიჯი გააკონტროლო. თუმცა, გადის დრო და ხვდება,

რომ ქრისტიანული მცნებები დაარღვეე და ეს განცდა უკვე კარგია, რადგან მონანიებაზე ფიქრობ.

— ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე. ვთქვათ, მოხდა ისე, რომ თქვენ ციხეში აღმოჩნდით. საკანში სად იქნება თქვენი ადგილი — ფანჯარასთან თუ ყრუ კუთხეში?

— გამორიცხული მართლაც არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ კანონის საწინააღმდეგო ქმედებას არ ჩავიდენ, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, დაზღვეული არა ვარ, რომ რეპრესიებში მოვყვე. ამიტომ, როგორც ბატონი ჯაბა იოსელიანი ამბობდა, ყოველთვის „ფორთოჩკასთან“ მექნება ადგილი. თუმცა, მე ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება ჩვენს ციხეებში, როგორ პირობებში უწევთ პატიმრებს ყოფნა, ამიტომ, ძალიანაც რომ მინდოდეს, ფანჯარას ვერ ვიპოვი...

— ალბათ ხშირად გთავაზობენ ქრთამს...

— კი, ძალიან ხშირად.

— ყველაზე მეტი, რამდენი შემოუთავაზებიათ?

— თანხა არ დაუსახელებიათ: როცა ვხვდები, რომ ამას აპირებენ, მაშინვე ვწყვეტ საუბარს. ყველაზე დიდი ქრთამი, რომელიც ავიღე, ხაჭო და თაფლი იყო.

— რატომ? გიყვართ?

— მიყვარს თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ იმდენად გულწრფელად იყო მორთმეული, უარი ვერ ვთქვი, ერთხელ ასეთი შემთხვევა მქონდა: აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა ადამიანი, რომლის ახლობელიც აქ იჯდა ციხეში. მე მას აუუსხენი, რომ დადგა ის დრო, როცა შეეძლო, მიემართა პრეზიდენტისათვის, რომ კომისიას ემსჯელა და შეწყალების აქტი განხორციელებულიყო. ძალიან გაუსარდა. მეორე დღეს მირეკავს და მეუბნება: „ბარამსკა“ მოვიყვანე და საშვი გამიკე-



თო. გამეცინა: შენ გაგიკეთო საშვი თუ „ბარაშკას“-მეთქი? — ვკითხე.

— რა ზედია ენია იმ „ბარაშკას“?

— არ ვიცი, აღარ დავინტერესებულვარ.

— **წარმოიდგინეთ, რომ დროის მანქანით რამდენიმე საუკუნის უკან დავბრუნდით. თქვენ თვალწინ ორი ხმალამოღებული ვაჟკაცი ერთმანეთს სასიკვდილოდ შერკინებია. მანდილი შინ დაგრჩათ. რას ეტყვიანთ, როგორ დაზავდებით?**

— აუცილებლად შუაში ჩავლავდები. მე მქონდა ამგვარი შეძობევა, როცა სკოლაში ვმუშაობდი. ერთხელ ეზოში შევედი, ვხედავ, მაღალკლასელები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილან და ჩხუბობენ. ორივე მხარის ლიდერებს ხელში დამტყვევული ბოთლები უჭირავთ და ერთმანეთისკენ მიიწვევენ. მომენტალურად მათ შუაში აღმოვჩნდი, ხელიც გავიქეიე გაუახრებლად და გავიჭერი.

— **მაშინვე დაიშალნენ?**

— უცებ არ დაშლილან, მაგრამ იმის სურვილი, რომ ერთმანეთისთვის დაერტყათ, რა თქმა უნდა, გაუქრათ.

— **მოკლედ, სულ ხელჩართულ ბრძოლაში ხართ ჩართული. როგორ შეაფასებდით ქალურობას თქვენში?**

— 10-ბაღიანი სისტემით, ალბათ 2 ბაღით. ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ოჯახში მამაკაცი არ გვყავდა. მე, დედა და ბებია ვცხოვრობდით. თხუთმეტი წლის ასაკიდან ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მე ვიყავი ოჯახის უფროსი. ერთხელ დედას ონკოლოგიურში ოპერაცია დასჭირდა. მაშინ ისეთი კანონი იყო, რომ თანხმობაზე ხელი ახლობელს უნდა მოეწერა და ეს ახლობელი მე ვიყავი. ამის შემდეგ მთელი ღამეები არ მეძინა, ვფიქრობდი — ხელი დედაჩემის სიკვდილს ზომ არ მოვაწერე-მეთქი? — რადგან შეიძლებოდა, ოპერაცია ცუდად დამთავრებულიყო... ცოტა მოგვიანებით, მატერიალური მხარეც, სამსახურიც და სხვა ოჯახური პრობლემებიც ჩემი მოსაგვარებელი გახდა, ამიტომ ვფიქრობ, ხასიათში უფრო, მამაკაცური თვისებები ჩამო-

მიყალიბდა.

— **იქნებ ასეთი დამოუკიდებლობა კარგიცაა მომავლისთვის?**

— ძალიან ძნელია ამის შეფასება, მაგრამ თუ ქალის პოზიციიდან ვიტყვით, მაინც ცუდია, რადგან იმედია, როცა შენ გვერდით მამაკაცი დგას და შენ მას ეყრდნობი, მაშინ შენს პირად პრობლემებსაც უფრო ადვილად წვევებ.

— **თქვენ თქვით, რომ მამა არ გახსოვთ. მუუღლესთანაც დიდი ხანია, აღარ ცხოვრობთ. ვერ მიეჩვიეთ დამოუკიდებლობას?**

— იცით, ქვეცნობიერად ვგრძნობ, რომ მაინც მაქვს ამის მოთხოვნილება. ძნელია, როცა ყველაფერზე შენ უნდა მიიღო გადაწყვეტილება.

— **ყველაზე მეტად რისი გადაწყვეტა გიჭირთ?**

— ოჯახური საკითხების, ბევრი პრობლემა დამიგროვდა.

— **მაგალითად, რა?**

— მაგალითად, ის, რომ ჩემი შვილი უშუშეგვარია და ვერ გადავლახე ის ბარიერი, რომ მივიღე ვინმესთან და ვთხოვო, შვილი სამსახურში მომიწვევო-მეთქი...

— **თქვენს შვილს პოლიტიკური მოღვაწეობა არ იზიდავს?**

— არანაირად. ის კი არა და, თავის დროზე, პიონერთა რიგებშიც არ უნდოდა შესვლა, ტირიდა — ლენინის ძეგლთან არ წამიყვანოთ და წითელი ყელსახვევი არ გამოკეთოთო. ბევრი იტირა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კომკავშირშიც ჩემი ძალდატანებით შევიდა... მისხარია, რომ პატიოსანი ადამიანი გავზარდე. იცით, როცა სუფრასთან მოხვდები და სადღეგრძელოში ჩემდამი პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავენ, მსიამოვნებს, მაგრამ ყველაზე მეტად მისხარია, როგორც კოტე თევდორაძის დედას რომ მადღეგრძელებენ სოლმე.

— **რძალი ხომ არ ექვიანობს, დედა-შვილს ძალიან რომ გიყვართ ერთმანეთი?**

— არა. კოტე ახერხებს იმას, რომ ორივეს ჩვენ-ჩვენი ადგილი მოგვიჩინოს და არც ერთს არ დაგვწყვიტოს გული უყურადღებობით. კოტეს ამ თვისების გამო, რომ რძალ-დედამთილს არასოდეს გვქონია პრობლემები ურთიერთობაში.

— **წარმოიდგინეთ, რომ დილით იღვიძებთ და თქვენს ოთახ-**

**ში მიცვალებულია. იქვე მკვლელობის იარაღიც დევს. იფიქრებთ, რომ ვინმემ შეიძლება შანტაჟი მოგიწყოთ და მასზე შეიძლება თქვენი ანაბეჭდებიც იყოს, თუ პირდაპირ პოლიციაში დარეკავთ?**

— არა მგონია, პირველმა ვერსიამ თავში გამიეღვოს. პირდაპირ პოლიციაში დარეკავ.

— **ქალბატონო ელენე, სიყვარულზე რას გვეტყვით? განიცდის თუ არა იგი განვითარებას? ანუ — იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება?**

— საერთოდ, სიყვარულზე ლაპარაკი არ მიყვარს. ვფიქრობ, რომ სიყვარული ის გრძნობაა, რომლის სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია. რაც შეეხება განვითარებას — თუ ადამიანმა შვილის მიმართ სიყვარულში ამგვარი რამ იგრძნო, ის ადამიანი აღარ არის...

— **ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარულის შემთხვევაში?**

— რა თქმა უნდა, ასეა. სწორედ ამიტომაც ხდება, ცოლ-ქმარი ან შეყვარებულები რომ იყრიან. როგორც წესი, რაღაც უცხო სხეული ჩნდება მათ ურთიერთობაში. ეს „უცხო სხეული“ უბირველესად, ღალატია, რომელიც დიდ განხეთქილებას შობს. მაგრამ მოდით, ნუ დავივიწყებთ ლოგინს, სექსს — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— **ეი. თუ სექსში ყველაფერი კარგადაა, იმ „პატარა“ შეცდომაზე თვალს დახუჭავდით?**

— შეიძლება გადაწონოს, მე ასე ვფიქრობ.

— **თქვენ ძალიან დატვირთული დღე გაქვთ. რას გრძნობთ სოლმე ძილის წინ?**

— გონებაში ვაფიქსირებ იმ საკვანძო საკითხებს, რომელიც მეორე დღეს უნდა მოვაგვარო.

— **განმუხტვა არ გჭირდებათ?**

— მე სულ იმაზე ვფიქრობ, რომ რა წუთიდანაც საქმე არ მექნება, არაფრის მაქნისი, მოხუცი ქალი გავხდები. ამიტომ ვცდილობ, სულ საქმეში ვიყო.

— **წარმოიდგინეთ — უცხოპლანეტელები დაგვეხსნენ, დაგვამარცხეს, დეპუტატები დააპატიმრეს და ორ-ორი კაცი მოათავსეს კამერებში. არავინ იცის, რამდენ ხანს მოგიწევთ იქ ყოფნა. ვის ისურვებდით თქვენს თანასაკნელად?**

— მე არავის დისკომფორტს არ შევეუქმნიდი.

— **მაგრამ თქვენთვის ხომ სულერთი არ იქნებოდა, ვისთან ერთად „იჯდებოდით“?**

— რა თქმა უნდა, არა. არიან პიროვნებები, ვისთანაც მისხარია ყოფნა... ალბათ, მიმა მატავარიანს ავირჩევდი.



ელენე თევდორაძე შვილიშვილებთან ერთად

ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ვაჟი საკრებულო მეჩეთია.
2. მეტიმეტად წერილ მივის ჭიჭმატა ჰქვია.
3. ჭიბონი და გუდასტვირი სინონიმებია.
4. ლევან ღვინჯილია ექვსი შვილის მამა.
5. ერთად თავმოყრილ ხალხს ვამათის ეძახიან.
6. მსოფლიო დღეში ერთ მილიონ გალონ ნავთობს სარჯავს.
7. ფილიპე მასარაძეს 1941 წლის დეკემბერში გაუსკდა გული.



8. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქაში“ ერთი მანჯგალაძე დათვის როლს თამაშობდა.
9. ნიკო მარი ქუთაისში დაიბადა. მას ქართველი დედა და შოტლანდიელი მამა ჰყავდა.
10. ელუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად 44 წლის ასაკში აირჩიეს.

11. გელა ჩარკვიანის ტაქსას ჯიშის ძაღლს ნატუქოლონოსორი ერქვა. P.S. ყველას ჰკებენდა(!).

12. ოსურ ღვეხელს, რომელსაც გულად ნიგოზი ან ყველიანი ხაჭო აქვს, ხაბიზინა ჰქვია.

13. დამბლადაცემულ სტალინთან შესვლისას, მისი პირადი დაცვის წევრი ნერვიულობისგან ერთბაშად გაჭვდარავდა.

14. ჟან-პოლ მარატის პირველი პოლიტიკური თხზულება – „მონობის ბორკილება“ 1774 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა.

15. რევაზ გაბრიძეს საკუთარი ნაწერებით სავსე 3 ტომარა, „ჩელუსკინელების“ ხიდიდან მტკვარში აქვს გადაგებული.

16. „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ,“ – ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტი.

17. თომას მანის მამა მდიდარი სოფლადარი იყო, დედის დედა – ბრაზილიელი კრეოლი (ესპანელი მამისა და ინდიელი დედის შვილი). მის პიროვნებაში ყოველთვის ერთმანეთს ებრძოდა ბიურგერულ ტრადიციებზე დამყარებული პედანტიზმი და ანარქისტული, ბოჰემური, არტისტული მიდრეკილებანი.

18. XVIII საუკუნეში, როდესაც მედიცინა აღმავლობის გზას დაადგა, შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი სამედიცინო განათლების ცენტრად იქცა. ამ სფეროში წინსვლამ შოტლანდიელებს ერთგვარი პრობლემები შეუქმნა: ცოდნის გასაღრმავებლად ექიმებს გასაკვეთ-შესასწავლად ღიდი რაოდენ

# ჭიჭმატი

## კი არ იზარავს – ფულს ჯიბიდან აცლის...

ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიაში მისული გაოცებული დაფრჩი, როცა იქ საკმაოდ ცნობილ „კარმანშივის“ გადაფეყარე. აქ რა გინდა-მეთქი? — გაოცებულმა ვკითხე. დაცვაში ვმუშაობ, გამოვსწორდი, იმ წრეს ჩამოვცილდიო, — მიპასუხა. ჩემი დანახვა, რა თქმა უნდა, არ ესიაზოვნა, მაგრამ ჩემთან ვალში იყო, ამიტომ ინტერვიუზე დამთანხმდა. წლების წინ, ჩანთიდან დიქტოფონი ამომაცალა. მაშინ იძულებული გავეხდი, ჯიბეებიდან კონტაქტზე გავესულიყავი. ვთხოვე, ჩემთვის კასეტა მაინც დაებრუნებინათ. ავთო (ცხადია, სახელი პირობითია) თავისი ფეხით მოვიდა და დიქტოფონი დამიბრუნა, თან მითხრა: ოდესმე რაიმე თუ დაგჭირდეს, მთხოვეო. წლების შემდეგ, მისგან აღსარება დამჭირდა. საოცრად სევდიანი წარსული აღმოაჩნდა.

### ლელა ჭანკოტაძე

– მეხუთეკლასელი ვიყავი, დედაჩემი ლოგინად რომ ჩავარდა. მამა ისედაც არ მყავდა. ერთხანს ჩვენთან ბუბია ცხოვრობდა, მაგრამ იმდენად მოხუცებული იყო, რომ მხოლოდ ზედმეტ პრობლემებს გვიქმნიდა... მეხუთეკლასელ ბიჭს, დედა დამწერდა ხოლმე, რა გვჭირდებოდა და ბაზარში მაგზავნიდა. საყიდლებზე პირველად რომ წავედი, ისეთი ცუდი ბოსტნეული ვიყიდე, რომ დედამ ძილიანად გადამყრევინა. ბაზარში ჩემი არავის ესმოდა. ვერავინ ხვდებოდა, რომ უბელური ვიყავი და ადამიანების სიბრაკული მჭირდებოდა. წონაშიც მატყუებდნენ და უვარვის პროლეტებსაც მტყუებდნენ... საჭმელსაც მე ვამზადებდი – დედა მეუბნებოდა, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა; მეგონა – რომ გავიზრდებოდი, მზარეული გავხდებოდი. მერე დიდხანს, ქვების დანახვაზეც კი მწარე ბავშვობა მაგონდებოდა.

— ფულს ვინ გაძლევდით?

– როგორ გვინათ, ვინ მომცემდა?! დედაჩემი რუსი იყო, აქ ნათესავები არ ჰყავდა.

— მამის ნათესავები არ გაბატონდნენ?

– მამა არც კი ვიცი, ვინ არის – დედაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ ჩემთვის არ უთქვამს. შეიძლება, არც მან იცოდა ან უბრალოდ, აღარ ახსოვდა.

— ე.ი. ბავშვობიდან გაიგე ფულის ფასი...

– დიახ. ბავშვები ფერად-ფერად სიზმრებს რომ ხედავდნენ, მე მესიზმრებოდა, როგორ მივდიოდი ქუჩაში და ვპოულობდი წითელ თუნძიანს, ზოგჯერ – მანეთიანსაც... ერთხელ, ბიჭებმა მომცეს ფული, მეორედაც, მერე მე თვითონ მივედი მათთან, ვთხოვე – თქვენ



გვერდით მაჩალიჩეთ-მეთქი. — მითხრეს: შენს დამრიგებელს ჩანთაში ფული ჩეჩქითი აქვს – გასწენი მისი ჩანთა და ამოიღეო. მეც, ბიოლოგიის გაკვეთილის შემდეგ, როცა ყველანი მასწავლებელს შემოეწვივებენ (მასწავლებლის დღე იყო და მას მისალოც ბარათებს აძლევდნენ), ჩუმად გავსწენი მისი ჩანთა, რომელიც რატომღაც ფანჯრის რაფაზე იდო და იქიდან სუთმანეთიანი ამოვადრე. ეს ამბავი არავის გაუგია. მე მგონი, ჩემი მსხვერპლიც ვერ მიხვდა, ფული რომ დააკლდა. მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი. ეს ფული ბიჭებმა შუაზე გავიყავით – ასეთი წესი იყო.

— შენი საქციელი არ იზანა?

– არა, პირიქით – მეორე დღესვე, სხვა მასწავლებელს გავუხსენი ჩანთა და ახლა მას ამოვაცალე ორმოცდასული მანეთი. ეს ჩემთვის ძალიან ღიდი ფული იყო.

— ეგ ფულიც ბიჭებთან მიიტანე?

— რა თქმა უნდა. ეს ფულიც ხუთ ბიჭში „გატყდა“. არ ვნანობ. ჩემი ავადმყოფი დედა ისე ვაცხოვრე, რომ არ მოვამიყვო ვიცოდი, დედას თბილისის შოკოლადი „ასორტი“ უყვარდა. სულ ვუღებდი ხოლმე თავით. ისიც ვიცოდი, რომ მალე უნდა მომკვდარიყო, ამიტომ მშვიდი რომ ვყოფილიყავი, ლუკმას პირიდან გამოვიღებდი და მას დავეუთობდი. ძალიან უცნაური სახელი ერქვა — ფლორენცია. ეს სახელი ჩემ ირგვლივ არავის რქმევია. ამ ორი წლის წინ, „ახმეტელის“ მეტროში ვიდაცას „ბუმაფიკი“ ამოვუღე. შიგ სტუდბილეთიც იყო. ეწერა: „ფლორენცია მენაბდე. 18 წლის...“ გაოგებული დავრჩი: ცხოვრებაში პირველად შევხვდი დედაჩემის მოსახელე ადამიანს. მოვებენე ის ინსტიტუტი. მითხრეს: ეგ გოგო იშვიათად მოდის ხოლმეო. ჩემი ტელეფონი დავუტოვე მის ჯგუფულს და ვთხოვე — თუ გამოჩნდება, გამაგებინეთ-მეთქი. ორი კვირის შემდეგ დამირეკეს. ფლორენციას მანქანამ დაარტყა, საავადმყოფოში წვეს, მძიმედ დამტვრეულიო. გულგანთქილი მივვარდი მერვე საავადმყოფოში. იმ გოგოს არც ვიცნობდი, მაგრამ მის გამო ძალიან ვღელავდი... სამი დღე ებრძოდა სიკვდილს. მის მშობლებს, ვგრძობდი, უჭირდათ. წამლებს მე ვყიდულობდი. თუ რამ დანაზოგი მქონდა, სულ მაშინ დავხარჯე. გადავარჩინე. უფრო სწორად — თავისმა იღბალმა გადაარჩინა.

— რა ბედი ენია იმ გოგოს? გაიცანით ერთმანეთი?

— საავადმყოფოდან როგორც კი გამოვჩერე, გათხოვდა. მისი გაცნობა ვერ მოვასწარი. ქორწილში დამპატიჟეს მისმა მშობლებმა, მაგრამ არ წავსულვარ. ჩემთვის მთავარია, რომ ამქვეყნად დედაჩემის მოსახელე ქალი დადის... შენ, მგონი, ეს არც გაინტერესებს, ჯიბეებზე გინდა ვიამბო, არა?.. გეტყვი, რომ „კარმანშიკობა“ ხელოვნებაა. ამ ნიჭით ადამიანს ბუნება ავიღოვებს. ზოგი, გრძელი პინცეტით იღებს ფულს ჯიბიდან, ზოგი — ორი თითით.

— მაგარი „კარმანშიკი“ როგორია?

— ვინც ყველა „ჩერდაკიდან“ (გულის ჯიბე) ამოიღებს ფულს, ის მაგარი „კარმანშიკია“. ყველაზე მაგარი მომპარავი, ვისაც ვიცნობდი, საქართველოდან წავიდა. პოლიციამ აღარ გააჩერა. ორმოცდაათ წელსაა გადაცილებული. მეხუთე „სროკზე“ რომ დაიჭირეს, აფხანის დროს პოლიციელს საათი შეხსნას... სულ ახლახან, მეათე „სროკი“ მოიხდა. ისეთი განათლებულია, მისი მსგავსი მეორე არ შემხვედრია... ერთი კაცი

იყო, ისიც რუსეთში წავიდა. პოლიციელებს ფულს აცლიდა. რამდენიმეს „ქსივაც“ (პირადობის მოწმობა) ამოუღო. შიში არ იცოდა, სუფთად მუშაობდა და ვერც ერთხელ ვერ „ჩაავლო“ პოლიციამ.

— მომპარავეებსაც აქვთ თავიანთი დაუნერვლი კანონები?

— კარგი მომპარავი დავრდომილსა და გაჭირვებულს ჯიბეში ხელს არ ჩაუყოფს. ნაღდი ჯიბეგირი არ ყაჩაღობს. ჩანთას ვინც ჭრის, ისინი „მოიკაწე“ მუშაობენ. ეგეთ ჯიბეგირებთან ძმაცვობა „გრენია“. როცა ჰპარავ, არაფერი არ უნდა დაუშავო — ჩანთა არ უნდა გაუფუჭო და ორმაგად არ დააზარალო. გოიმი (ვისაც ფულს უღებენ) ისედაც ცოდვია. მეტროში რომ ადამიანი ჩავა, მას, ცხადია, ზედმეტი ფული არა აქვს.

— ყველაზე დიდი თანხა, რაც შენ ამოგიღია, რამდენი იყო?

— ორას ლარზე მეტი ჯიბიდან არ ამოვიღია. თუმცა, ჩემთან ბიჭები ისეთი იღბლიანები იყვნენ, რომ ერთ ჩაყოფაზე ათასი ლარიც კი ამოუღიათ. ყველაზე დიდი ფული, რაც თბილისში ჯიბეგირს ვინმესთვის ამოუცლია, 5,000 ლლარია. ეს ფული ვაგზლის ტერიტორიაზე ქაღალდის ამოუღეს ჩანთიდან. საწყალი, მანსოვს, ძირს ეგდო და დამბლად ცემულივით იკლავებოდა.

— შენს სიბიჭოვს ჯიბეგირ ქაღალდს თუ „უმუშავიათ“?

— როგორ არა? ძალიან ბევრია ჯიბეგირი გოგო. არიან ბიჭები, რომლებიც ცოლებთან ერთად „მუშაობენ“. მთელ თბილისს ახსოვს ალბათ ის ამბავი, სადგურის ტერიტორიაზე ქაღალდს რომ იშობიარა. პირდაპირ მეტროს წინ დაეცა და ყვირილი მორთო. ხალხი ძალიან დაიბნა. ვისაც რა ჰქონდა, იმას აფარებდა საწყალ გოგოს. ამასობაში ჯიბეგირებმა ყველას ამოუსუფთავეს ჯიბეები.

— შენც იქ იყავი?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ვერ შევძელი მეყურებინა იმ ტანჯვისთვის, რასაც ის გოგო განიცდიდა, ჩვენთვის რომ საქმე მოეცა... სხვათა შორის, ბავშვი დაეღუპა. მე მალე წამოვედი. ბიჭებმა კი მაგრად „იმუშავეს“: ზოგმა ხუთასი ლარიც კი მოაგროვა. სულ ახლახან გავიგე, რომ ის გოგო დაუჭერიათ.

— პოლიცია ძალიან გავიწროვდა?

— ბოლო დროს ჟურნალისტებმა გაგვიფუჭეს საქმე: ყველა იმაზე წერდა — ჯიბეგირებს პოლიციელები მფარველობენო. გოიმები პირდაპირ პოლიციელებთან მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ: ფული ამოცალეს და დამბბუნეთო. რა თქმა უნდა, წილს ვაძლევდით. ზოგჯერ, გოიმების დასანახა-

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



ნობით გვამი ესაჭიროებოდათ. ისინი ახალდამარხულ გვამში საკმაოდ სოლიდური თანხას იხდიდნენ. ამ მიზეზით ბევრმა შოტლანდიელმა გვამების მოტაცება-გაყიდვა შემოსავლის წყაროდ გაიხდა. გამწარებულმა მოსახლეობამ სასაფლაოებზე ე.წ. „მიცვალებულის სახლები“ ააშენა, სადაც გვამებს ათავსებდნენ და მანამდე სდარავჯობნენ, სანამ ის ხრწნას არ დაიწყებდა. ამის შემდეგ, გვამი სამედიცინო გაკვეთა-შესწავლისათვის გამოუსადეგარი ხდებოდა და მას მარხავდნენ. P.S. ედინბურგის სასაფლაოზე დღესაც შეიძლება გალაში ჩასმული და ბოქლომდადებული საფლავების ნახვა.

19. დღეს ჩვენ არ გავაჩნია ნიკოლოზ ბარათაშვილის სარწმუნო პორტრეტი. ერთადერთი ფოტო ილია ჭავჭავაძეს მოუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიუმში და ისიც ხანძრის დროს დამწვარა.


20. XX საუკუნის 50-იან წლებში ბრაზილიის მესვეურებმა მოინდომეს ახალი დედაქალაქის აშენება. გადაწყდა, რომ დედაქალაქი აშენებინათ ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრში. ამისთვის ქალაქზე გააკეთეს ქვეყნის ტერიტორიის ზუსტი ნახაზი, ამოჭრეს იგი, დაამაგრეს ფარგლის წვერზე და დაატრიალეს. რამდენიმე ცდის შემდეგ, ცენტრი მოიძებნა და ცოტა ხანში, ჯუნგლების ადგილას აშენდა ქალაქი ბრაზილია, რომელიც დღეს ქვეყნის დედაქალაქია.

21. ერეკლე მეორის დროს, საქართველოს მოსახლეობა 750000 ადამიანს არ აღემატებოდა.

22. ვისკი პირველად ბერებმა დაამზადეს. ამ სასმელს ისინი სამედიცინო მიზნით იყენებდნენ.

23. „რომ არ ცდებოდეს ხანდახან ბრძენი, გულზე გასკდება სულელი წყენით;“ — ამბობს ესპანური ანდაზა.

24. 1942 წელს, ჩერჩილი სტალინს შეხვდა და სამწუხარო ამბავი აუწყა, კერძოდ ის, რომ იმ წელს მოკავშირეები მეორე ფრონტს ვერ გახსნიდნენ, რამაც სტალინი ცუდ გუნებაზე დააყენა. ჩერჩილმა მისი გამხნეება სცადა: „გამაგრდით, ღმერთი ჩვენს მხარეს არის“. სტალინმა ჩაიციხა: „რა თქმა უნდა, ღმერთი თქვენს მხარესაა, ეშმაკი კი — ჩემს მხარესაა და იმედია, მტერს ერთად დავამარცხებთ!“



ვად, გვიჭერდნენ კიდევ, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა, მაინც ვრიგდებოდი ხოლმე. ბოლოს კი, საქმე იმდენად გაფუჭდა, რომ დაგვერიგებინ და გვეცემეს. თუ ვაგზლის ტერიტორიაზე გამოვჩნდებოდი, „დუბინკა“ არ აგვცდებოდა. ამიტომ, მეტრო „მარჯანიშვილში“ გადავინაცვლეთ. მეტროში „მუშაობა“ სარისკოა, მაგრამ სარფიანი. ერთი მაგარი გოგო გვყავდა. პოლიცია ხან დაიჭერდა, ხან გაუშვებდა. საახალწლოდ, როცა დიდი ფული „იხსნებოდა“, მას ციხიდან გამოუშვებდნენ ხოლმე. ისეთი ჩაცმული დადიოდა, ვერავინ იტყოდა – ჯიბგირიო. ახლაც ციხეში ზის.

— უნინ უფრო კარგი დრო იყო ჯიბგირებისთვის?

— რა თქმა უნდა. ახალი წლის დღეებში ბაზრობას რომ შევესოდით, 200-300 ლარზე ნაკლებს არ ვიღებდით. საქმე რომ აირია და ბიჭების უმეტესობა რუსეთში გაიხიზნა, მეც დაუფიქრდი ჩემს ცხოვრებას. ცოლი შევირთე. სიმამრმა დაცვაში დამაწყებინა მუშაობა. უკვე ბიჭიც შემეძინა. აეწყო ჩემი საქმეც.



— ოჯახმაც იცის შენი წარსული?

— არა. ვერც გაიგებენ. სადგურის ტერიტორიას ახლოსაც არ ვეკარები. საბურთალოზე ვცხოვრობ. ბაზარშიც იქვე დავდივარ. სამასი ლარი მაქვს ხელფასი. ჩემი ცოლი ბუღალტერია. კარგად შოულობს. ყოველ დღით ეკლესიის წინ რომ გავივლი, პირველად გადავიწერ ხოლმე, და ღმერთს ვთხოვ, უმუშევარი არასდროს დამტოვოს.

— ეი. თუ დაგჭირდა, ისევ მოიპარავ?

— არა. კი არ მოვიპარავ — ჯიბიდან ფულს ამოვაცლი. ფულის მოპარვასა და ფულის ამოღებას შორის დიდი განსხვავებაა. მე მხოლოდ ფულს ვიღებ ჯიბიდან — სულ პატარა ფოტოსურათიც რომ ამოჭყვეს ფულს, ყველაფერს გავაკეთებ, პატრონს რომ დავუბრუნო: ხომ შეიძლება, ეს სურათი იმ გოიმისთვის ძვირფასი იყოს?! ერთხელ, მეც დავკარგე დედაჩემის ფოტო. ერთადერთი ფოტო მქონდა: მე დედას შევეურებდი, დედა კი მიდიმოდა... ეს სურათი ჯიბიდან ამომიღეს ფოტოში. კინაღამ გავვიყდი. მთელი ჯიბგირები ფეხზე დავაყენე. ვერ მიპოვეს. მაშინ დავიფიცე: ფულის გარდა, ჯიბიდან არაფერს ამოვიღებ-მეთქი. ამ პირობას ყოველთვის ვასრულებდი.

— ჯიბგირები ერთმანეთსაც უყოფთ ხოლმე ჯიბეში ხელს?

— ზოგჯერ ასეც ხდება. ხან — ჯიბრისთვის, ხანაც — ისე, ინტერესისთვის. ყვე-

ლაზე მაგარ ჯიბგირსაც შეიძლება ჯიბეში ორი თითი ჩაუცურო, რადგან ის ყოველთვის სხვის ჯიბეს უჭურებს და თავისი ჯიბე უმეთვალყურეოდ რჩება.

— ყველა ჯიბგირი მარტო იმიტომ მისდევს ამ საქმეს, რომ ფული სჭირდება?

— არა, ზოგი მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ფული „მოაქუჩოს“ და მერე თავის საყვარელ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ვაგზალზე ერთი კაცი „მუშაობდა“. გარეგნობით პროფესორს ჰგავდა. გახამებული პერანგი ეცვა და ხელში წიგნები ეჭირა. ის კაცი ჩვეულებრივი ჯიბგირი იყო. მასზე წარსულ დროში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ერთი წელია, აღარ მინახავს. მაგარი მომპარავი იყო, მაგრამ ზოგჯერ ოც ლარს მოიპარავდა და ეს თანხა პურის ფულად ჰყოფნიდა, — მეტი მას არ უნდოდა. ერჩივნა მთელი დანარჩენი დრო თავის კოლექციასთან გაეტარებინა.

— რას აგროვებდა?

— კაქტუსებს. თბილისში ცნობილი კოლექციონერია. რომ გაჩვენათ, როგორ უვლის ყვავილებს, არ დაიჯერებთ, რომ მას შეუძლია, რაიმე წყენა მიაყენოს ადამიანს... ზოგჯერ გვეტყოდა ხოლმე: ამდენი და ამდენი მჭირდება, ჩემთვის „იბუშავეთ“. ფულს მაშინვე „შევეტუქებდით“; ვიცოდით — კაქტუსებისთვის წამალი ექნებოდა საყიდელი ან რომელიმე ახალ ჯიშს ნახავდა და იმისთვის სჭირდებოდა ფული. ზუსტად არ ვიცი, რამდენი სასეობის კაქტუსი ჰქონდა, — მგონი, ათასამდე.

— თუ ყოველა ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე ჯიბგირი მოუკლავთ?

— იყო შემთხვევა. ფოტოში ვიყავით. ერთმა კაცმა ჯიბგირი ცემაში მოკლა. იქვე ვიღეპით და ვერ მივეშველეთ... სამწუხაროდ, ასეთი რაღაცები, თუმცა ხშირი არ არის, მაგრამ მაინც ხდება.

— ასეთ სევდიან ნოტაზე ნუ დავასრულებთ. კიდევ მიაშვებ რაიმე შენი ცხოვრებიდან?

— მასოვს, ბათუმში ვიყავით. ლელა წურწუშია, მერაბ სეფაშვილი, კახა ცისკარიძე და სხვები, კონცერტს ატარებდნენ. შევესიეთ აზარტში შესულ თინეიჯერებს. იმდენი მობილური ტელეფონი ამოვიღეთ, დიდი პარკი გაივსო... ფული ბევრი ვერ ვიშოვეთ, მაგრამ რომ გენახათ, როგორ ვიცინეთ, სამოცი მობილური ერთდროულად რომ წკრიალებდა, ვერ წარმოიდგენთ. ის მობილურები გავაჩუქეთ. პატრონები ალბათ დღემდე ეძებენ...

**გაიოვილა ნუმო გაუელის მოთხრობათა კრებული**

ნუმო გაუელი

**ტარაკანა**

**შეიქიანეთ ნიგნაგის პალაზიგუი**

37 წლის ირაკლი მელაშვილი და 27 წლის მამდა ჰოპიაშვილი ახლახან დაქორწინდნენ და ეს ამბავი შინდისში გრანდიოზული ქორწილით დააგვირგვინეს. „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტის ახლობლები თურმე წუხდნენ: „ასაკშეპარული“ ირაკლი უცოლოდ არ დაგვიბერდესო, მაგრამ სულ ტყუილად — „იმედი“ არ გაუმართლდათ... იმის თაობაზე, თუ ვინ დაათმობინა ირაკლის მრავალი მამაკაცისთვის ესოდენ სანუკვარი თავისუფლება, როდის და როგორ გადაწყვიტა, რომ „ეი-ი-ეს თელასისა“ და მისი შვიცის — იგნასიო ირიბარენის ინტერესებს გადაყოლილს, პირად ცხოვრებაზეც ეზრუნა, — ყოველივე ამის შესახებ წყვილი თვითონ მოგვითხრობს.

**6060 ჩაპახიშვილი**

— როგორ და როდის გაიცანით ერთმანეთი?

მამდა: — ეს იყო დაახლოებით 1994 წელს. ირაკლი პარლამენტარი იყო, მე გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ ჟურნალისტად ვმუშაობდი და პარლამენტში ყოფნა ხშირად მიწევდა. რატომღაც ირაკლის, თვალის დასანახავად ვერ ვიტანდი. ყოველთვის წიოკობდა — ან ჩხუბობდა, ან იცინოდა და ვფიქრობდი — ეს კაცი რაღაც „კარგად ვერ არის მეთქი“...

ირაკლი: — წარმოიდგინეთ, მაგდა ერთადერთი ჟურნალისტი იყო, რომელიც არასდროს არანაირ საკითხზე კომენტარს არ მკეთებინებდა. მაშინ პარლამენტში მართლაც სულ ყვირილი და ჩხუბი მიწევდა და ეტყობა, ჩემი აგრესიულობის ემინოდა...

მამდა: — მართლა ასე იყო... პრინციპულად არ ვთხოვდი ხოლმე ინტერვიუს. ახალ არჩევნებამდე წინასაარჩევნო პერიოდში ირაკლი „აღორძინების“ პრესმდივანი გახდა და აი, მაშინ კი იძულებული გავხდი, საქმეზე დავლაპარაკებოდი. 1998 წლიდან უკვე დავმეგობრდით. მაშინ ჯერ კიდევ გათხოვილი ვიყავი და ჩემი გოგონა სულ პატარა იყო. იმ პერიოდში გაზეთის რედაქციიდან წამოვედი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი და მსხნელად ირაკლი მომეკვლინა: პარლამენტის ბუფეტში გადაწყდა, რომ „პირველ ლობში“ ოფისში პრესმდივნად დავი-



**ირაკლისა და მამდას უფუფრების უფე ეტრნოლაგდე შეტრნიათ**

წყებდი მუშაობას. ის პერიოდი ყველაზე რთული იყო ჩემს ცხოვრებაში და ირაკლის, როგორც მეგობრის გვერდით ყოფნა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის... მაშინ ვინმეს რომ ეთქვა — 2-3 წელიწადში ირაკლის ცოლი გახდებიო, — ბევრს ვიცინებდი...

— ირაკლი, როგორც ჩანს, თქვენ მაშინდელი წინადადება მაგდას მხოლოდ მეგობრულ შესტად ჩათვლია... ახლა თქვენ მაინც გამოტყდით — მაგდა უკვე მოგწონდათ და პრესმდივანობაც ამიტომ შესთავაზეთ, არა?

— (იცინის) როგორ ვითხრათ... „პირველი ლობი“ ახალშექმნილი ორგანიზაცია იყო, ფეხზე მაშინ დგებოდა... თუმცა, უკვე იმდენი საქმე იყრიდა თავს, რომ მართლაც ვეღარ ვასწრებდი ყველაფრის მოგვარებას. პრესმდივანი მართლა ძალიან გვჭირდებოდა. ვიცოდი, მაგდა გაზეთში უკვე აღარ მუშაობდა და შევთავაზე ჩემთან გადმოსვლა.

— მაგდა, პრესმდივანობაზე ძალიან ადვილად კი დათანხმებულხართ ირაკლის. ცოლობაზეც ასე უწყომანოდ დათანხმდით?

— სხვათა შორის, პრესმდივანობაზე იმწუთასვე არ მიმიღია გადაწყვეტილება. სხვა გადაწყვეტილება მქონდა მიღებული და კიდევ კარგი, ირაკლიმ აზრი შემაცვლევინა, თორემ ახლა ალბათ ერთ-ერთ ძალოვან უწყებაში, „პაგონების“ პრესმდივანი ვიქნებოდი. ალბათ გახსოვთ, შარშან, რომელიღაც ბლოკი რომ აფეთქ-

და და შუქი რომ არ გვექონდა... ლამის მთელი ზამთარი აქ, პირველი ლობისტის ოფისში გავატარეთ და უფრო დაუახლოვდით ერთმანეთს. ასე რომ, ენერგომემებს ჩვენი დაახლოება-დამეგობრებისთვის დიდ მადლობას მოვასხენებთ... განსაკუთრებულად რომანტიკული რომანი არ გვექონია. ირაკლის ისიც კი არ უთქვამს: მაგდა, მიხდა, რომ ჩემი ცოლი გახდეთ, — ან რაღაც ამგვარი სიტყვები — უბრალოდ, ორივე მივხვდით, რომ ერთად უნდა ვყოფილიყავით და მორჩა...

— გინდათ თქვათ, რომ ირაკლის სიყვარულიც კი არ აუხსნიათ თქვენთვის?

— არა, არ აუხსნია... ერთხელ, ერთი კვირის გაცნობილმა ბიჭმა მთხოვა ცოლობა. სამსახურში მივედი და ირაკლის მოუყვები ეს ამბავი. — მერე, მერეო? — მკითხა, — მერე, არაფერი, მივხვდი, რომ სხვა მიყვარს-მეთქი, — გულწრფელად ვუპასუხე. ირაკლიმ გადმომხედა და სიცოლით მითხრა: კარგი, მოდი, ახლა ორივე სახლში წავიდეთო... აი, სულ ეს იყო. პირველად მაშინ მივხვდი, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. მერე ვამბობდი: კიდევ კარგი, ის ბიჭი გავიცანი, თორემ მე კახელი ვარ, ირაკლი — რაჭველი და იქნებ ვერც ვერასდროს მივმხვდარიყავით, ერთმანეთი რომ გვიყვარდა-მეთქი...

— გულახდილად მითხარით — რით მოხიზლეთ ერთმანეთი? მამდა:

— ალბათ ირაკლის უზომო სითბო და ერთგულებამ მომიხიზლა...

ირბალი:

— რა გითხრათ... საერთოდ ლამაზი და ჭკვიანი ქალები მომწონს. ვერ გეტყვით, მაგდა რომელიმე კონკრეტული თვისების გამო მომეწონა და ამის გამო მიყვარს-მეთქი. არ მომწონს ქალები, რომელთაც უაზრო, არაფრის მთქმელი გამოხედვა აქვთ. რაც არ უნდა „ორმეტრიანი“ ფეხები და მაგარი მკერდი ჰქონდეს ქალს, ჩემზე არანაირ შთაბეჭდილებას არ ახდენს... მაგდასგან უზომო სითბო და სიყვარული ვიგრძენი და ალბათ ამითაც მოვიხიბლე...

— მაგდა, ეს ქორწინება, ირაკლისგან განსხვავებით, თქვენთვის პირველი არ ყოფილა. გამოცდილებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებისას ალბათ ძალიან ფრთხილობდით...

— არ ვფიქრობდი: ვაიმე, ნეტავი ირაკლი როგორ გამომართლებს-მეთქი?... ვინც ირაკლის კარგად იცნობს, მასში ეჭვი არავის შეეპარება. შემიძლია, მთელი ცხოვრება დანდობილად დავეყრდნო მას... თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, რაღაც შიშის გრძნობა მაინც მქონდა. უფრო, იმაზე ვნერვიულობდი ბავშვი როგორ აღიქვამდა ამ ყველაფერს და ირაკლის როგორ შეეწყობოდა. მაღლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა...

ირბალი:

— რას ამბობ, რა დამთავრებაზე ლაპარაკობ? — ყველაფერი ახლა იწყება... საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, საკმაოდ ბევრი რამ ვიცით ერთმანეთზე და ვფიქრობ, ჩვენი გრძნობების გაუფერულება არაფერს შეუძლია...

მაგდა:

— ოჯახი იმხელა გულწრფელობაზე ავაგეთ, რომ ვფიქრობ, მას დანგრევა არას-

უფრო, იმაზე ვნერვიულობდი ბავშვი როგორ აღიქვამდა ამ ყველაფერს



არც კი დამჭირვებია იმის ახსნა, თუ რა მოხდა წარსულში, რაგომ დამენგრა ოჯახი

დროს დაემუქრება. მაშინ, როდესაც სულიერად ძალიან მიჭირდა, ირაკლი ჩემ გვერდით იყო. საკუთარი თვალთ ხედავდა, რასაც ვგრძნობდი; ხედავდა, როგორ იზრდებოდა ჩემი შვილი, ცხოვრების როგორი წესი მქონდა და ამიტომ, არც კი დამჭირვებია იმის ახსნა, თუ რა მოხდა წარსულში, რატომ დამენგრა ოჯახი და ა.შ. არც ერთს არ გვაქვს იმის პრობლემა, რომ ადრე ჩემს ცხოვრებაში სხვა ადამიანი არსებობდა. იყო და მორჩა — აღარ არის... ირაკლიმ მასწავლა, რომ არ შეიძლება წარსულით ცხოვრება...

ირბალი:

— როდესაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, რა საჭიროა წარსულზე ფიქრი? რაც იყო, იმას აღარაფერი ეშველება და ნერვები რატომ უნდა დაიგლიჯოს კაცმა? ამან შეიძლება თავიც მოგაკვლიეონოს. შეიძლება იმაზე იფიქრო, რომ რაღაც შეგეშალა და მეორედ აღარ შეგეშალოს, მაგრამ ვაი და უი არ უნდა იმახო. მაგდას ჰქონდა ეს მონენტი — ძალიან განიცდიდა ოჯახის დანგრევას, მე კი ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ წარსულზე ტირილი არ ღირ-

და... აი, ახლა ხომ ყველაფერი კარგად არის?! ვინმეს თუ რაიმე პრობლემა აქვს ამასთან დაკავშირებით, არ მაინტერესებს... ყოველ შემთხვევაში, არც ჩემს ახლობლებისა და არც მაგდას ახლობლებისგან ამის გამო პრობლემა არ შეგეჭმნია და სხვა ვინ რას იტყვის, რაში მაინტერესებს?!  
მაგდა:

— ძალიან ბედნიერი ვარ. მყავს ქმარი, რომელსაც ვუყვარვარ! ჩემს გოგონას ჰყავს მამა, რომელსაც ძალიან უყვარს და ყველაფერს გააკეთებს მის საკეთილდღეოდ... ბავშვი დილით როგორც კი იღვიძებს, საწოლში ჩემთან კი არა, ირაკლისთან გადადის და მას ჩაენსუტება ხოლმე.

— ირაკლი, როგორი პრესმ-დივანი იყო მაგდა, კარგად იცოდით, მაგრამ ცოლის ამბულუ-აში როგორი აღმოჩნდა?

— (იცინის) რა გითხრათ, სამსახურშიც და სახლშიც ჯერჯერობით მისით კმაყოფილი ვარ და მერე, ვნახოთ...

მაგდა:

— არა, ახლაც თქვი, როგორ ჩაქაფულსა და ხინკალს ვაკეთებ. უკმაყოფილო რატომ უნდა იყო?

ირბალი:

— ოო, მართლაც გემრიელ ჩაქაფულს აკეთებს, ვერ დაუწუნებ. ისე, კულინარიაში დიდი მიღწევები აქვს, თუმცა, ნამცხვრისა და საჭაპურის გამოცნობა არ იცის — თვითონ არ უყვარს და იმიტომ.

სამსახურში უფრო კარგად ეწყობით ერთმანეთს თუ შინ?

ირბალი:

— შინ უფრო ვერ ვრიგდებით — იმაზეც კი ვჩხუბობთ, ნაგავი ვინ უნდა გადაყაროს — მე თუ მაგდამ? კიდევ კარგი, რომ ოფისში დამლაგებელი გვყავს და ამის გამო სამსახურშიც არ გვიწვეს ხოლმე კამათი. ვცდილობთ, სამსახურში ოფიციალური ურთიერთობა გვქონდეს და ოჯახური პრობლემები არ გამოვიყოლოთ.

მაგდა:

— არადა, ჟურნალისტები რომ რეკავენ, უკვე ირაკლის კი არ კითხულობენ, მეუბნებიან, — შენი ქმარი გვინდა, სად არის, დაგვალაპარაკო. ყველას გასაგონად ვამბობ: მე და ირაკლი სამსახურში ცოლ-ქმარი არ ვართ და ვინც საქმეზე დარეკავს, იკითხოს ლობისტი ირაკლი მელაშვილი და არა — ჩემი ქმარი.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?



ამაზე თუ შეთანხმდით?

მაგდა:

— ვაიმე! ეგ ირაკლის უნდა ჰკითხოთ...

ირაკლი:

— დას — და სჭირდება, ძმას — ძმაო. ასე რომ, მაგდას სამი შეილის გაჩენა მაინც მოუწევს...

— მაგდა, რას იტყვით ამ პერსპექტივაზე?

— ირაკლი მეუბნება: ეგ შენი გადასაწყვეტი არ არისო, — და რა ვქნა? გმირი დედა ვიქნები და ეგ არის...

— ვიცი, რომ თაფლობის თვე ქორწილამდე გქონდათ და ზღვაზე გაატარეთ. იქნებ ის დღეებიც გაისვენოთ...

ირაკლი:

— ურეკში წავედით, მაგრამ მაგდას ყვიანახველა შეეყარა და თაფლობის თვე ჩაგვშამდა. 5 დღეში უკან გამოვიქეციით. ისე ცუდად იყო, დილის 6 სათიდან რომ წამოხტებოდა და ხველას დაიწყებდა, ნახევარი ურეკი ფენზე დგებოდა. აი, ქორწილში კი, მართლა კარგად მოვიღვინეთ ჩვენც და ჩვენმა სტუმრებმაც.

მაგდა:

— მე იმდენს ვცეკვაავდი, იმდენს, რომ... ამ დღეებში გია ბარამიძე შემხვდა და „შემარცხვინა“: რა იყო, გოგო, ყველა სიმღერაზე რომ ცეკვაავდი, პატარამალი მე ვიყავი თუ შენო? ცოტა არ იყოს, შემარცხვა...

— როგორც გავიგე, პოლიტიკოსებსაც არანაკლებ მოუღვინიათ თქვენს ქორწილში. ვინ იყვნენ თქვენი სტუმრები, ვინ მოგილოცათ გაბედნიერება?

— ვინ აღარ იყვნენ?! — დათო ბერძენიშვილი, ილიკო ხაინდრავა, ვახო ხმალაძე, კაკო ასათიანი, მაია ნადირაძე, ზურაბ ქუთელია (გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე), ინგა გრიგოლია... გვიან იგნასიოც (ირიბარენი — „ი-ი-ეს თელასის“ მენეჯერი. — ავტ.) მოვიდა და მანაც მოგვილოცა გაბედნიერება. ვახო (ვახტანგ ხმალაძე. — ავტ.) და ზურა (ქუთელია. — ავტ.) ისე ცეკვაავდნენ, ლამის ჭერი დაიმხეს თავზე. ილიკომაც კარგად მოიღვინა. კაკო და გია ქორწილშიც პოლიტიკურ „წვკაში“ იყვნენ და სულ რაღაცაზე ბჭობდნენ. რეზო შავიშვილიც ჟურნალისტებს ხელში თუ ჩაიგდებდა, ისევ და ისევ, პოლიტიკაზე ესაუბრებოდა... ქორწილი გვიანობამდე გაგრძელდა — ღამის პირველ საათზე დავიმალეთ...



არც ირაკლიმ და არც ჩემმა მეჯვარეებმა ცეკვა არ იცოდნენ და ატყდა ერთი ამბავი: აბა, დედოფალთან „ქართულს“ ვინ იცეკვებსო?..

— ყველაზე ორიგინალური საჩუქარი რა მოგართვეს?

— ყველაზე მეტად დათო ბერძენიშვილისა და ილიკო ხაინდრავას საჩუქარი მომეწონა. ეს არის განსხვავებული სასმისი, რომელსაც ძალიან მაღალი ფენი აქვს, ზემოთ კი ორი ჭიქა მიტყუპებული — ერთი ძალიან პუტკუნა და განიერი (ამიტომ დათოს მივამსგავსეთ), მეორე კი — ილიკოსავით გამხდარი და სუსტი... ძალიან უცხო რამეა და ძალიან მომეწონა.

— საქორწილოდ მეუღლემ რაიმე სიურპრიზი ხომ არ მოგიმზადდა?

— არც ირაკლიმ და არც ჩემმა მეჯვარეებმა ცეკვა არ იცოდნენ და ატყდა ერთი ამბავი: აბა, დედოფალთან „ქართულს“ ვინ იცეკვებსო?.. ქორწილის დღეს ირაკლის მეჯვარეებმა მითხრეს: შენ მაგაზე არ ინერვიულო, მაგ მომენტი სთავის კარგად მოვემზადეთ, საგანგებოდ გავიარეთ რეპეტიციებიო... გამიხარდა. დაიწყო

ქორწილი და მესამე-მეოთხე საღვთობის შემდეგ, უნდა მაცეკვონ „ქართული“. გაისმა მუსიკა, მე საცეკვაოდ გამიყვანეს, მაგრამ გავიხედე და გია და ირაკლი (მეჯვარეები) ისევ თავ-თავიანთ ადგილებზე სხედან. გამიკვირდა: რას შერებიო, რატომ არ მოდიხართ, მარტო ხომ არ ვიცეკვებ-მეთქი? დარბაზის შუაგულისკენ გამახედეს და დავინახე ჩონა-ახალუხში გამოწყობილი მოცეკვავე: თურმე პროფესიონალი მოცეკვავე დაუქირავებიათ. კინალამ გავიკოფდი. ცეკვა კი მეხერხება, მაგრამ... ისე არა, რომ პროფესიონალთან ვიცეკვო. მოკლე, მთელი ცეკვა სულ იმას ვეკითხებოდი: ახლა რა ვქნა? ახლა საით წავიდე? რა მოძრაობა გავაკეთო? და ა.შ. ჯვარი ანჩისხატში დავიწერეთ, მერე მცხეთაში — ჯვარზე ავედით... მოკლე, კარგი დრო გავატარეთ და ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი და არაჩვეულებრივი

**ჩვენ ვაპყობთ ჩვენი შედეგით!**  
**საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!**  
 ახალი სისტემა ნამდვილად ეფექტურია ზედმეტი წონის ბრძოლაში და ჯანმრთელობის გაუმჯობესების საკითხში!

დაიბრუნეთ თქვენი სასურველი წონა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ჯანდაცმცხელმცხელის კვათ.

დაგვირეკეთ: 95-70-67 (10-17 სთ-მდე); 38-23-74 (საღამოს) ალა, ანდრო

### ლეა ჩიყაშვილი

მისი დედ-მამა უბრალო ადამიანები იყვნენ. არადა, მამამისს, ლოლობერიძეს, თავადური გვარი ჰქონდა. ოჯახში არასოდეს ამბობდნენ, მაღალი წარმოშობისანი ვართო. ბასას მამა, ნიკოლოზი კომუნისტური მმართველობის დროს, სოხუმში, ბაზარში თევზის მაღაზიის გამგე იყო, დედა, მატრონა კი — დიასახლისი. პატარა სახლში, ორ ოთახში ერთადერთი შეილთან ერთად ცხოვრობდნენ. ლოლობერიძეებში ეს, თითქოს ტრადიცია იყო: მამამისიც დედისერთა გახლდათ. ირგვლივ ბებები, ბიცოლები, ბიძები სულ მეგრელები ჰყავდა. შემდეგ ში ბასა ლოლობერიძესაც ერთადერთი ვაჟი შეეძინება — თენგიზი, რომელიც შემდგომ, დაარღვევს დედისერთობის ტრადიციას და ორი შეილის მამა გახდება.



ხელმოკლე ცხოვრობდა ბასა ლოლობერიძის ოჯახში. ასეთი შემთხვევაც კი ყოფილა: ახალი ფეხსაცმელი უყიდათ მისთვის მშობლებს. საღამოს კინოში წასულა. კინოთეატრიდან რომ გამოსულან, შხაპუნა წვიმს მოდიოდა თურმე. ბასას გაუხვდა ფეხსაცმელი, გულში ჩაუხუტებია და ფეხშიშველი წასულა შინ — მეტს ვინღა მიყიდის, არ გამიფუჭდესო...

სოხუმში დღე და ღამე მინდორში ფეხბურთის თამაშობდა. სკოლაში არ წავიდიოდა და იქ მიდიოდა. უზომოდ უყვარდა ფეხბურთი, მაგრამ თურმე არასოდეს ამბობდა — ფეხბურთელი გამოვალო.

ბევრს არც ეცოდინება, რომ ლევენდარულ ფეხბურთელს ბავშვობაში მშობლები ხუტუს ეძახდნენ, ბასა კი სოხუმელს მეგობრებმა შეარქვეს. მისი ბავშვობის მეგობარი, დავით ფონჩუა იხსენებდა: „როცა 8-9 წლის ბიჭები ვიყავით, ერთმანეთს ვევიბრებოდით



დღეს სიყვავა „ბასა“ თითქოს ფეხბურთის სიყვარულის სიმბოლოდ იქცა

# ბასა — ფეხბურთის სიყვარული

## ანუ სოხუმელი ბიჭის ბატაცევა

რუსულად კითხვაში. აბა, ვინ წაიკითხავს, აქ რა წერიაო? — ОВОЩНАЯ база ეწერა. ბასამ ყველას დაასწრო და სიტყვაში „ბაზა“ ზ-ს მაგივრად ს წაიკითხა. თურმე წინა დღეებში გაუკეთეს გლანდების ოპერაცია, ზ-ს გამოთქმაც ამიტომ უჭირდა. „ბასა, ბასა!“ — აიტაცეს ბიჭებმა და, როგორც ბავშვობაში ხდება ხოლმე, შერჩა მეტსახელად და გაჰყვა მთელი ცხოვრების მანძილზე“.

დღეს სიტყვა „ბასა“ თითქოს ფეხბურთის სიყვარულის სიმბოლოდ იქცა. ბევრს ისევ ეძახიან ამ სახელს.

### უთქმელობა და თავმდაბლობა

ბასა ლოლობერიძე „დინამოში“ 1943 წელს მივიდა და 1961 წელს დაინება თამაშს თავი. მან საოცრად შეაყვარა თავი გულშემატკივრებს, თვითონ წარმოუდგენლად მოკრძალებული ადამიანი იყო. აი, ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. საღამო ხანს საშინელი წვიმა წამოვიდა. დაგვიანებული მეზავრი, მთლად გალუმბული, ტაქსის გაჩერებას ცდილობდა (მამინ ტაქსიც ჰქონდა, სხვა დღეები იტის მსგავსად). უცებ, კრძო მანქანა — ძველი „ვოლგა“ გაჩერდა. მძღოლმა კარი გააღო და დაბრძანდითო, — უთხრა უცნობს. ისიც ჩავდა და თავი საბურთალოზე მაყვანინა. როცა ფულის გადახდა დააპირა, საჭესთან მჯდომმა კატეგორიული უარი განუცხადა გასამრჯელოს აღებაზე. მოგესწენათ, ქართული ბუნების ამბავი: პატივისცემის ნიშნად, მეზავრმა შეიპატჟა: პურმარილზე მიდივარ, შენი ჰორიძე, ამომყვეო, — არ მიუშვა. გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩენილი მძღოლი აჰყვა. ისხდნენ სუფრასთან. რამდენჯერაც უცნობი წამოიწვედა — წავალ, მეჩქარებაო — შეზარხოშებული თანამეინახენი არ უშვებდნენ. შემოვიდა ახალი სტუმარი, დაინახა თუ არა „მძღოლი“; წამოიძახა: თქვენ არ იცით, ეს ვინ არის? ეს ხომ ბასა ლოლობერიძეო! ის კი იძენი ხანი სუფრასთან იჯდა და ისიც კი არ უთქვამს ვინ იყო. აღბათ,

როცა სახელი ჰკითხეს, უპასუხა — ავთანდილი მქვიაო.

### „რას შვრებით, ბასას ცოლია!..“

იხსენებდა ბასა ლოლობერიძის მეუღლე — **ანი ბავაქაძე**. „ბასა რომ გავიცანი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. დილიდან საღამომდე ლექციებზე დავრბოდი და ვერაფრისთვის ვიცლიდი. ერთხელ ჩემი ბიძაშვილები მესტუმრნენ, მთხოვეს, გავყოლოდი სტადიონზე, სადაც მეგობრები უნდა ენახათ. ჯერ უარი ვუთხარი, მაგრამ როგორც იქნა, დამითანხმეს.

მიველით სტადიონზე. ბასა სოხუმელი იყო და ჩემი ბიძაშვილებიც, როგორც ჩანს, იქიდან იცნობდნენ. ერთ-ერთ მთვანს, სამა სანაიას, საცოლე ახლდა. საღამოს ერთად წავიდეთ სადმე და ესეც წამოიყვანეთ, — უთხრა სამამ საცოლეს. ვუთხარი: ლალა, არ მცალია, ვერ წამოგვყვები-მეთქი. მერე როგორც გავიგე, ბასას უთხოვია ჩემიანებისთვის, დამახლოვებო...“

ორი წელიწადი გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მხოლოდ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვაწყრეთ ხელი.

ჩემი მეუღლე არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მისი მსგავსი არასოდეს შემხვედრია. ქალთან არაჩვეულებრივად სათნო დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. გულს არასოდეს გატკენდა, საწყენს არაფერს ვეტყოდა. მხოლოდ იმას ფიქრობდა, რით გაეხარებინე და ესამოვნებინე. ყოველთვის მიველიდი მისი თამაშის საყურებლად. ერთხელ, მახსოვს, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“ თამაშობდნენ. ცოლად დამავვიანდა. უამრავი ადამიანი იდგა კიბეზე და როგორღაც წავიქეცი. მთელი ტრიბუნა კიოდა: ბასას ცოლია, ბასას, ცოლია, რას შვრებითო!

უცხოეთში, ხომ იცით, მამინ რა იშვიათი იყო წასვლა. მოსკოვის „დინამო“ თუ წავიდოდა საზღვარგარეთ სათამაშოდ, ბასაც მიჰყავდათ ხოლმე. მაშინდელი „ცე-ეს-კა“ (არმ-



ის სპორტული კლუბი. — ავტ.) და ბევრი სხვა გუნდი ითხოვდა, მოსკოვში გადასულიყო, მაგრამ ბასამ უთხრა — ქართველი ვარ და ჩემს სამშობლოს უნდა ვემსახურო...

გვათავაზობდნენ ოთხ თუ ხუთოთახიან ბინას, მანქანას. ვკითხე: რატომ არ მიდინარებოქი? — შენ რა, გინდა, წავიდეთ? — რატომაც არა-მეთქი!.. — უყურე შენ ამას!.. არა, მე არსად არ წავალო! — მიპასუხა.

ბასა მაღალი კლასის პროფესიონალი იყო. მოწინააღმდეგის მიერ დარტყმულ ბურთს, რომელიც ბაღესაც გააგლეჯდა, მიიღებდა მკერდით, ჩამოასრიალებდა და მარჯვენა ან მარცხენა ტერფზე დაისვამდა, ერთი შემთხვევა აქვთ მოყოლილი: ტაშკენტში იყვნენ. მამინ ბასა უკვე მწვრთნელი იყო. ბაზარში საზამთროს ყიდულობდნენ. დახლიდან გადმოგორდა საზამთრო. ბასამ ფეხი დასხვევრა, აიღო და შემდეგ გამყიდველს დაუღო წინ...

**ტრაგიკული შემთხვევა და მწარე დასასრული**

*შვილი — თინათინ ლოლოზარიძე:*

„ძალიან მინდოდა მამის გვერდში ყოფნა, არ მინდოდა არც სკოლა, არც ეზო — ოღონდ კი, „ზბორები“ რომ ჰქონდათ დილოშში, იქ წავეყვანე. ვცდილობდი, კარგად მესწავლა, გამეხარებინა მამა, რომ წავეყვანე. დილოშში მამინ ბორნით გადადიოდნენ. „დინამოს“ ბაზა იყო და ირგვლივ — სულ ხეხილის ბაღები. ვეხვეწებოდი, წამიყვანე სადმე — ფეხბურთი მინდა ვისწავლო-მეთქი. არ გჭირდება, შვილო, მწვრთნელი, — მეუბნებოდა, — ჯერ ეზოში ითამაშე, თუკი მონაცემები გაქვს, იქ გამოჩნდებო. ცოტა ხანს ვუჯერებდი, მერე, სპორტული სკოლის ფილიალი იყო ჩვენთან ახლოს და იქ მივედი. მამა ჩუმად მოდიოდა, მიყურებდა, შინ დაბრუნებულს კი თამაშს გამიჩვენებდა ხოლმე.

დილოშში ფეხბურთელების ძირითადი გასართობი, მაგდის ჩოგბურთი, ბილიარდი იყო და სადამოლობით ფილმს უჩვენებდნენ. ფილმი კი განსაკუთრებული მოჰქონდათ — ისეთი, რაც არ გადიოდა ქალაქში ან თუ გადიოდა, თავ-პირის მტკრევა იყო. კინომექანიკოსი ხან ერთი, ხან მეორე ფეხბურთელი იყო ხოლმე.

28-დან 39 წლამდე ზენიტში იყო. ამ დროს უკვე ვეტერანი გახლდათ. ოთხი წელიწადი ზედიზედ, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელებში პირველ ნომრად ითვლებოდა.

ბორია პაიჭაძემ — ჭეშმარიტმა ლიდერმა — ბასა თავისი საქმის გამგრძელებლად აირჩია გუნდში. მათ ბოლომდე საოცარი სიყვარული აკავშირებდათ“.

... 1967 წლის 22 ივნისს ავარიამი მოჰყვა. მეგობრის, რეზო არველიაძის „ვოლგას“ საშხედრო მანქანა დაეჯახა. შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა მუხრანელი ალექო ბიჭიაშვილი. უცნა ბასა და სასწრაფოდ მცხეთის საავადმყოფოში წაუყვანია. საავადმყოფოში ძალიან კარგი ექიმი დახვედრიათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბასა მამინე დაიღუპებოდა. ეს ახალგაზრდა, ოთარ გოგუაძე ყოფილა. თავად ექიმი, ბასას მეუღლე იხსენებდა:

„რაც მან მოიფიქრა, შეიძლება, გამოცდილ ექიმსაც არ მოსვლიდა აზრად. იმწუთას გაუჭრა ტრაქიოსტომი, რადგან ვერ სუნთქავდა. კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. არაფერი ესინჯებოდა. ხერხემალი არ დაზიანებია, მოგრძო ტვინში მოხდა წერტილოვანი სისხლჩაქცევები — ასე ამბობდნენ ნეიროქირურგები და ქირურგები. მარჯვენა მხრის ლავიწი, მენჯი, ნეკნები მოტეხილი ჰქონდა. ბასა წლების მანძილზე გაკაყებულმა სხეულმა იხსნა. ცამეტ წელს ვუვლიდი ისე, რომ ერთხელაც არ მითქვამს — არ შემიძლია, დავილაღე-მეთქი. განა არ დავილაღე? ცამეტწელიწად-ნახევარი არ დამისვენია და არ მიძინია... ბასას ნახვისას, ყველა ტიროდა. ასეთი სიცოცხლით სავსე კაცი სარეცელს იყო მიჯავჭვეული; არა — ხელი, არა — ფეხი, არა — მეტყველება. აზროვნება შერჩა მხოლოდ. ყველაფერს ისმენდა. თვითონ ვერ მეტყველებდა, გაზეთებს კითხულობდა: ლოგინის თავზე ჰქონდა დაკიდებული გაზეთები“...

**ბატონი თინათინ ლოლოზარიძე იხსენებს:**

„ვერ მეტყველებდა, მაგრამ ყოველთვის გვანიშნებდა, რაც უნდოდა. ეროსი მანჯავალიაძის



ხსენებაზე აფორიაქებოდა ხოლმე. მამა, ეროსის ნახვა გინდა-მეთქი? — ვეკითხებოდი. ხელის ოღნავი მოძრაობით მეუბნებოდა — კიო. ერთხელ ქუჩაში, პირისპირ შეგვხვდი დიდ მსახიობს. მანქანიდან გადმოვიდა. ვთხოვე: ეროსი ბიძია, მამა გნატრულობთ, იქნებ მოხვიდეთ, ნახოთ-მეთქი. — რა ვქნა, უნდა მოვიდე, მაგრამ რომ მოვალ და ვნახავ ლოგინად ჩავარდნილ ბასას, ხომ ვიცი, რომ გული გამისკვებაო... რამდენადაც მასსოვს, ეროსი მანჯავალიძე ჩვენთან არ მოსულა. მითხრეს, რომ კარამდე მოვიდა თურმე, მერე მიბრუნებულა და წასულა, — რა ვქნა, ამ მდგომარეობაში ბასას ვერ ვნახავო. სხვათა შორის, ასე განიცდიდა ბევრი. ყველას არ შეეძლო ამ ტკივილის გაძიება“.

ლოგინად ჩავარდნილმა გაიფიქრა შვილი-იშვილების შეხებით გამოწვეული სისარული... შოთა იამანიძის ტრაგიკული დაღუპვის ამბავიც მძიმე ავადმყოფმა შეიტყუა და კინაღამ გაგიჟდა თურმე. შოთა იამანიძის სიკვდილი თავის დროზე დაუმალავეთ მისთვის. მერე, შემთხვევით, ძველი გაზეთი ჩამოუკიდიათ მის საწოლთან, სადაც იამანიძის სიკვდილზე იყო საუბარი. გამწარებული ღმუჯდა თურმე ბასა...

ასე ტრაგიკულად იცოცხლა ბოლო წლები. გარდაიცვალა ფილტვების შეშუპებით, 1980 წლის 20 ნოემბერს. წლეულს მას 80 წელი შეუსრულდებოდა. ეს თარიღი აღნიშნა ქართველმა საზოგადოებამ და „დინამოს“ სტადიონთან ძველი დაუდგა საყვარელ ფეხბურთელს. მეტსახელი ბასა კი, ხალხში ფეხბურთის სიყვარულის სინონიმად დარჩა.





# ქონი რეჟი რაჭკეიანცა

ღებები ჰქონდა, სადაც პიტერ ჰენის შესახებ ზღაპრული სიუჟეტის ფილმში – „ოცნებების მიწა“ იღებდა მონაწილეობას. იგი ოჯახს ვერ შეეღია და

გახლდათ. წყვილი ორი წლის მანძილზე ცხოვრობდა ერთად, სწორედ იმ ხანებში ცოლმა დებს ნიკოლას კეიჯი გააცნო. მან, თავის მხრივ, საკუთარ აგენტს შეახვედრა. ასე მიიღო ჯონმა თავისი პირველი როლი, ფილმში – „თელბის ქუჩის კომპარი“.

პირველი სურათი, რომელმაც დებს სახელი მოუხვეჭა, გახლდათ სერიალი – 21 Jump Street, სადაც მან დეტექტივის როლი შეასრულა. ამას მოჰყვა ფილმები „ხელმკრატელა ელუარდი“, „მტირალა“, „არიზონის სიზმრები“, „ედ კული“, „ღონ უუან დე მარკო“, „მიცვალებული“, „შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში“ და „მძინარე ღარტაფი“.

„ხელმკრატელა ელუარდის“ გადაღებებზე დემა უაინონა რაიდერი გაიცნო, მათი ურთიერთობა სამი წელი გრძელდებოდა, რის შემდეგაც ჯონს თავისი ტატუირების – Winona Forever, Wine Forever-ად გადაკეთება მოუხდა. შემდეგი კეიტ მოსი გახლდათ, ისინი ერთმანეთს სამი წლის მანძილზე ხვდებოდნენ.



სულ ცოტა ხნის წინ, სახელგანთქმული მსახიობი საოცრად თავაშვებული ცხოვრების წესით გამოირჩეოდა. იგი უზომო სმითა და ღებობებით იყო ცნობილი. მის მიერ გამართული ყოველი წვეულების შემდეგ, სასტუმროების ნომრები ისეთი მინგრეულ-მონგრეული იყო, რომ ადმინისტრაცია აღშფოთებდას ვერ ფარავდა ხოლმე.

ჯონის სასიყვარულო თავგადასავლებიც არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. მას ჯერ მსახიობი უაინონა რაიდერი მიატოვა, შემდეგ კი ტობ-მოდელ კეიტ მოსს ატკინა გული.

თუმცა, ვანესა პარადიზე დაქორწინების შემდეგ დები ისე გამოიყვალა, რომ მისი ცნობა ახლობლებსაც უჭირთ. „მე ვალდებულ ვარ ჩემს ოჯახს, ეს ალბათ უფრო იმიტომ, რომ მანამდე ოჯახი ფაქტობრივად არასოდეს მქონია. ჩემი მშობლები ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში გაიყარნენ“, – ამბობს დები.

ჯონს და ვანესას ორი შვილი ჰყავთ: გოგონა – ლილი-როუზ მელიოდი სამი წლისაა, ვაჟიშვილი ჯეკი, კი ჯერ წლისაც არ არის. ოჯახის დარბაისელი მამა ხშირად ასეირნებს ჯეკს საბავშვო ეტლით, გვერდს კი დედის მხრებზე მოკალათებულ ლილი-როუზი უმშვენებს ხოლმე.

ამას წინათ, დებს ლონდონში გადა-

ვანესაც და ბავშვებიც ბრიტანეთში თან წაიყვანა.

ამჟამად ჯონი 39 წლისაა, როგორც მასზე ამბობენ, ოცდახუთი წლის ჭაბუკით გამოიყურება. იგი 1963 წლის 9 ივნისს ამერიკის პატარა ქალაქ ოვენსბოროში, ინჟინრისა და ოფიციალის ოჯახში დაიბადა. მათ ოჯახს ბენდიერს ნამდვილად ვერ უწოდებდი. ბიჭუნა დროის დიდ ნაწილს ბაბუასთან ატარებდა. მათი ოჯახი საცხოვრებლად ხშირად ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა ხოლმე. მალე ბაბუაც გარდაიცვალა და ყველაფერმა ამან, დების საკმაოდ პირქუშ მოზარდად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მას სწავლა საერთოდ არ აინტერესებდა. 12 წლისამ მოწვევა და სმა დაიწყო, ცამეტისამ კი პირველი სექსუალური გამოცდილებაც მიიღო. როცა მშობლები გაიყარნენ (ჯონი იმჟამად 15 წლის იყო), იგი ნარკოტიკებს მიეძალა და ამის გამო, სკოლასაც გამოემშვიდობა.

მის ერთადერთ გატაცებას მუსიკა წარმოადგენდა. დედამ დებს ელექტროგიტარა უყიდა და მან თავადვე ისწავლა ინსტრუმენტზე დაკრა. ამის შემდეგ, მოყვარულთა მუსიკალურ ჯგუფს მიეკედლა. თუმცა, ჯგუფმა პოპულარობა ვერ მოიპოვა და მალევე დაიშალა. ჯონის პირველი ცოლი, ვინმე ლორი ელისონი

რა უდრის 10 მილიმეტრს	შინაური მგაცნეველი ცხოველი	ცხვრის საზამთრო საღვამო	ტროპიკული ხეიარა მცენარე	თოფის ხის ნაწილი	უქარღ მზღვე
საქარაღი	დაბადების მოწმობა	სამშარველოს ხელიანი ჭურჭელი	გაზის ნაჭი	„შენ ... ჭამე, მე გადავს რას კითხულობ“	მასწობებელ გველი
თოფზე წაშოსაველი					



## მანჩესტერში ახალი სანდალი მნიფდება

„მანჩესტერ იუნაიტედს“ თავისი ამჟამინდელი თუ ყოფილი მოთამაშეების მიერ სამწერლო ნიჭის გამოვლენის გამო, კვლავ პრობლემები ექმნება. მართალია, რომ კინის მიერ გამოშვებული ავტობიოგრაფიული წიგნის გამო ავორებული სკანდალი ჩაწყნარდა, მაგრამ ახლა „საფეხბურთო პროზაულ ასპარეზზე“, 60-იანი წლების „მანჩესტერ იუნაიტედელი“ ჰარი გრევი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ გრევი სწორედ იმ ავიაკატასტროფის დროს გადაურჩა სიკვდილს, რომელმაც 1958 წელს მიუნხენში 23 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. „ნეტავ, არ გადარჩენილიყო“, – გაიფიქრებდნენ ალბათ კლუბის მესვეურები გრევეზე, რომლის წიგნმაც, კინის მსგავსად, სერიოზული თავსატეხი გაუჩინა მათ. „ჰარის თამაში“ – ასე ეწოდება გრევის ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომელშიც იგი იუწყება, რომ სამოციან წლებში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ რამდენიმე „ჩაწყობილი“ შესვედრა ჩაატარა. „დაიხ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლუბი „ჩაწყობილი“ თამაშებს ატარებდა. ვფიქრობ, ამის მოთავეებს სიცოცხლის ბოლომდე სირცხვილის გრძნობა უნდა აწუხებდეთ“, – თუმცა თავს იკავებს კონკრეტული პირების დასახელებისაგან და მხოლოდ იმას დასძენს, რომ გარბეების თაობაზე ინფორმირებული იყო კლუბის მაშინდელი მწვრთნელი, მეტ ბასბი. „მას რომ პროტესტი გამოეთქვა, ეს არ მოხდებოდა“, – დაასკვნის ჰარი გრევი.



## მოლინა მძიმა სენით ყოფილს დაავადებული

ლა-კორუნიას „დეპორტივოს“ მეკარეს, ხოსე მოლინას, ფეხბურთისათვის თავის დანებება მოუწევს, რადგან მას ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. როგორც 32 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, მალე იგი მშობლიურ ვალენსიაში გაემგზავრება, სადაც მკურნალობის კურსს ჩაატარებს. დაავადება მოლინას ცოტა ხნის წინ ჩატარებული გეგმური სამედიცინო გამოკვლევისას აღმოუჩინეს. მკითხველს შევასხენებთ, რომ „დეპორტივოს“ მეკარე, ადრე მადრიდის „ატლეტიკოსა“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრების ღირსებასაც იცავდა.



## როი კინი დიდ რისხვას გადაურჩა



როგორც იქნა, წერტილი დაესვა როი კინის მიერ გამოშვებული ავტობიოგრაფიული წიგნის თაობაზე ავორებულ სკანდალს. მკითხველს კიდევ ერთხელ შევასხენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ირლანდიელ კაპიტანს, გასულ საფეხბურთო სეზონში, „მანჩესტერ სიტის“ მოთამაშის, ალფ ინგე სალანდისათვის ტრავმის განზრახ

მიყენებაში სდებდნენ ბრალს, რასაც თავად კინი უტიფრად აღწერდა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ირლანდიელი ფეხბურთელი სპორტული ეთიკის დარღვევისათვის 150 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯარიმა და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა. დისკვალიფიკაცია 2002 წლის 4 ნოემბერს შევა ძალაში და როი კინს „არსენალთან“, „ლივერპულთან“, „ნოკასლითან“, „ვესტ ჰემთან“ და თავად „მანჩესტერ სიტისთან“ დაგეგმილი მატჩების გამოტოვება მოუწევს. კინს აპელაციის უფლება აქვს, თუმცა საეჭვოა, რომ მან წარმატებას მიაღწიოს, რადგან მის საქციელს არავითარი შემამსუბუქებელი გარემოება არ ახლავს. ამასთან ერთად, ბოლო დროს, ირლანდიელმა ფეხბურთელმა საკმაოდ უხეში და გაუწონასწორებელი ფეხბურთელის სახელი დაიმკვიდრა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ, იგი ირლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან და მოთამაშებთან კონფლიქტის გამო, დააბრუნეს სამშობლოში კორუა-იპონიდან. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში კი, კინი პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ მატჩში, ჯეისონ მაკეიტირისათვის სახეში იდაყვით განზრახ მიყენებული დარტყმის გამო, გააძევეს მოედნიდან. ამრიგად, ფეხბურთელისთვის საძულადო დისკვალიფიკაცია შეიძლებოდა მიესაჯათ, მაგრამ როგორც ჩანს, ინგლისური ფეხბურთის თავკაცებმა მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ როი კინი, წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ევროპული კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა და მხოლოდ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა აკმარეს.

# აგბიციური ხარლოსი და...

ფეხბურთის გულშემატკივართათვის კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი წლის ბოლოს, ყოველკვირეული ფრანგული გამოცემის, „ფრანს ფუტბოლის“ მიერ სპორტულ ჟურნალისტთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოვლენილ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, სპეციალურ პრიზს – „ოქროს ბურთს“ – გადასცემენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგულარული საფეხბურთო ღონისძიების ჩატარებამდე სრული ორი თვეა დარჩენილი, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები – რობერტო კარლოსი და ფრანკესკო ტოტი – უკვე ალაპარაკდნენ ამის თაობაზე. აი, მაგალითად, მადრიდელთა „სამეფო კლუბის“ მცველის აზრით, წელს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისათვის განკუთვნილ „ოქროს ბურთს“, ყველაზე მეტად თავად იმსახურებს, რის უმთავრეს წინაპირობადაც ბრაზილიელი ოსტატი იმას მიიჩნევს, რომ იგი წელს ევროპის ჩემპიონთა თასსა და მსოფლიო თასს დაეუფლა. „მსოფლიოში ერთადერთი მოთამაშე ვარ, რომელმაც ორმოცდარვა დღის ინტერვალით ორი უმთავრესი ჯილდოს მოგება შეძლო, – ამბობს რობერტო კარლოსი, – კიდევ რა მანქნებლებია საჭირო?.. თუ „ოქროს ბურთის“ მფლობელი გავხდები, ეს ჩემი საფეხბურთო კარიერის ფინალურ აკორდად იქცევა. ბევრი მეუბნება, რომ შესანიშნავი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ ჩემთვის ეს საკმარისი არ არის. მსურს, რომ ფეხბურთის გულშემატკივრებს არა მხოლოდ „შესანიშნავ ფეხბურთელად“, არამედ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიონალად დავამახსოვრო თავი. ამისთვის კი, აუცილებელია, რომ ეს საპატიო ჯილდო მოვიპოვო“.



# ... პენისტი ბობი

რობერტო კარლოსთან ერთად, „ოქროს ბურთის“ მოპოვების მთავარ პრეტენდენტებად ასევე მადრიდის „რეალის“ მოთამაშეები – რონალდო, ზინედინ ზიდანი და რაული – ითვლებიან. კარლოსისაგან განსხვავებით კი, საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი „სკუადრა ატურასა“ და „რომას“ თავდამსხმელი, ფრანკესკო ტოტი, რომელიც უკვე ორჯერ მოხვდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდების პრეტენდენტთა შორის, თუმცა „ოქროს ბურთის“ მოპოვება ვერც ერთხელ ვერ შეძლო, რის მიზეზადაც ფეხბურთის გულშემატკივრები, მიმოხილველები და სპეციალისტები იმას ასახელებენ, რომ იტალიელი ფორვარდი თავისი მონაცემებით რივალდოს, ფიგუს, ზიდანსა და ოუენს ჩამოუვარდება. თავად ტოტი ამ ფაქტს სხვა ინტერპრეტაციით ხსნის და მიიჩნევს, რომ იგი „ოქროს ბურთს“ ვერასოდეს დაეუფლება. „სანამ ნაკლებად მოღურ „რომაში“ ვითამაშობ, „ოქროს ბურთს“ ვერ მოვიპოვებ, თუმცა ეს სულაც არ მალეღებებს და არც ჩემი კლუბის დატოვებას ვაპირებ“, – განაცხადა ტოტიმ, რომელიც ამჟამად ტრავმას იმუშებს და ჟურნალისტებთან საურთიეროდ უფრო მეტი დრო აქვს.

# იგიბა ხოჯაინის მოხმარებაში ახილეს

კოლუმბიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე, საფეხბურთო სამყაროში თავისი არაორდინარული ხასიათით ცნობილი რენე იგიბა ნარკოტიკების მოხმარებაში ახილეს. ლოპინგ-ტესტის გავლისას მას სისხლში კოკაინი აღმოუჩინეს. ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, „შესადლებელია, იგიბამ კოკაინი დაბადების დღეზე, 26 აგვისტოს მიიღო, რათა ამგვარად აღენიშნა თავისი 36 წლისთავი“. ბოლო დროს რენე იგიბა კოლუმბიის ქალაქ პერიერას კლუბის, „დეპორტივოს“ ღირსებას იცავდა და მას სწორედ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ჩაუტარეს ლოპინგ-ტესტი. ფეხბურთის გულშემატკივრებს შევასენებთ, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კოლუმბიელთა მეკარემ საფეხბურთო სამყაროს თავი დაამახსოვრა, როგორც ექსცენტრიკულმა „გოლკიპერ-დრიბლიორმა“. კამერუნთან გამართულ მერვედფინალურ მატჩში კი, რენეს ოინბაზობა კოლუმბიის ნაკრებს წაგების ფასად დაუჯდა. ერთ-ერთ მომენტში, როდესაც იგიბა თავისი საჯარიმოს გარეთ, მოწინააღმდეგეთათვის გვერდის ავლით ცდილობდა წინსვლას, კამერუნელი ფეხბურთის ლეგენდამ, როჟე მილამ მას ბურთი აართვა და კოლუმბიელთა ცარიელ კარში გაგზავნა. გარდა ამისა, იგიბა საფეხბურთო სამყაროში ცნობილია, როგორც ურთულესი და უღამაზესი ილეით – ე.წ. „მორიელის დატყმით“ ბურთის მოგერიების დიდოსტატი. სწორედ ამ ილეითს დემონსტრირებით მან კიდევ ერთხელ გაამხიარულა ფეხბურთის გულშემატკივრები შარშან, დიდი დიეგოს გაცილების მატჩზე.





ამერიკელი როკ-ვარსკვლავი კორტნი ტავი (ნამდვილი სახელი – ტავ მიშელ ჰარისონი) სან ფრანცისკოში 1965 წლის 9 ივლისს დაიბადა. კორტნის ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. „მე არასოდეს მქონია ნორმალური ოჯახი, ნორმალური სახლი და ნორმალური ბავშვობა – ამბობდა მომღერალი, – მაგრამ ამაში არავის ვადანაშაულებ. ალბათ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მე თავად ვიყავი ბევრ რამეში დამნაშავე“.

ლინში სწავლობდა კიდეც). მოგვიანებით, თავი ახალ ზელანდიაშიც ამოყო. როგორც ამბობენ, იაპონიაში იგი სტრიპტიზის მოცეკვავედაც მუშაობდა, შემდეგ ლოს-ანჯელესში დაბრუნდა, სადაც სანაპიროზე მდებარე რესტორნებში სხვადასხვა ჯგუფთან ერთად მღეროდა. შემდგომში ამ ჯგუფებმა პოპულარობაც მოიპოვეს. 1990 წელს კორტნიმ გიტარისტ ერიკ ერლანდსონის გაცნობის შემდეგ, ჯგუფი – Hole ჩამოაყალიბა. ჯგუფმა პანკ-მუსიკის მსმენელთა ყურადღება მიიპყრო და სულ მალე, უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. კორტნიმ მთელი თავისი მარცხითა და ზიფათით აღსავსე ცხოვრება სცენაზე გადმონათხია და 90-იან წლებში უნიკალური შემსრულებლის – პანკ-პრინციპის სახელი დაიმკვიდრა. მის შემოქმედებაში არც მუსიკას, არც სიმღერის ტექსტებსა და მით უმეტეს, არც მომღერლის გარეგნობას წამყვანი ადგილი არ ეკავა. არსებითი მისი მეამბოხე სული და ტკივილამდ მისული გაშიშვლებული ემოციები გახლდათ. სწორედ ასეთი შეიყვარა იგი მთელი თაობის კერძა – კურტ კობეინმა, რადგან მასში საკუთარი სულის მეორე „ნახევარი“ დაინახა.

# გააგონა სულის მომღერალი

## ახი მხიარული ჯგუფი

მშობლები ჩვილ გოგონას კარადაში კეტავდნენ და თავად გასართობად მიდიოდნენ. კორტნი სულ რამდენიმე თვის იყო, როცა მამამისმა ოჯახი მიატოვა. მამინაცვლების საკმაოდ შთაბეჭდავ სიაში, გოგონა უპირატესობას ფრენკს ანიჭებდა, რომელიც მას წლინახევრიდან შეიდი წლის ასაკამდე ზრდიდა. თერთმეტი წლის კორტნიმ დედა მიატოვა და ორეგონის შტატის ქალაქ პორტლანდში ფრენკთან გადავიდა საცხოვრებლად, რომელიც მასწავლებლად მუშაობდა. 13 წლის ასაკში იქაურობაც დატოვა და ბავშვობის უმეტესი ნაწილი ჰიპების კომუნებში გაატარა. 13 წლის კორტნიმ მალაზიაში ქურდობის გამო, მცირეწლოვან დამნაშავეთა ცენტრში ამოყო თავი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, პატარა გოგონას საკმაოდ მყარი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. მას მემკვიდრეობით ბებიამ 100 ათასი დოლარი დაუტოვა. მცირეწლოვან დამნაშავეთა ცენტრიდან გათავისუფლებული გოგონა ბებიის დანატოვარი თანხით ირჩენდა თავს. 16 წლისამ კი, თავი ემანსიპირებულ არასრულწლოვან მოზარდად გამოაცხადა და ქვეყანაზე ხეტიალს შეუდგა: მთელი ამერიკა მოიარა, შემდეგ ევროპაში გადავიდა (ევროპაში ყოფნისას ერთი ხანობა დუბ-



მან საკუთარ თავში ძალი იპოვა და მართლაც შეუძლებელი შექმლო

კობეინის გაცნობამდე, კორტნი გათხოვილი იყო საკულტო ამერიკული ჯგუფის Leaving Trains-ის ტრანსვესტიტ მომღერალზე – ჯემს მორელენ-ლომზე. ისინი ძალზე ცოტა ხანს იყვნენ ერთად. შემდეგ კორტნი ზვებოდა Faith No More-ს მუსიკოსს – როდი ბოტამს და Smashing Pumpkins-ის ლიდერს – ბილი კორგანს.

მათი შეხვედრის მომენტისათვის კობეინი უკვე ჰერონის აქტიური მომხმარებელი იყო, ბევრს ეწეოდა და საოცრად ფერმკრთალი იყო. თავის დროზე, ერთ-ერთ ინტერვიუში ლავმა განაცხადა, რომ თავდაპირველად, მათი დამაკავშირებელი, „წამალი“ იყო (ნარკოტიკებზე უარს არც ლავი ამბობდა). ექვს თვეში ისინი დაქორწინდნენ. ახალგაშობილს ცოლი ბედნიერად იღიმებოდა – მან უკვე იცოდა, რომ ორსულად იყო. წვეილი დიდ სახლზე ოცნებობდა, რომლის ყიდვასაც ბავშვის დაბადების შემდეგ აპირებდა. მათ სახლი მართლაც შეიძინეს, მაგრამ სულ რამდენიმე თვეში იქ კანალიზაციის მილი გასკდა და სიბინძურემ კურტის საყვარელი გიტარა წაბილწა; ვერც სიმღერების ჩანაწერებით სავსე რეკულები გადარჩა. კობეინს ღრმა დეპრესია დაეუფლა: მას



**სადამღვევო კომპანიამ მათ ყველას და ყველაფრის დაზღვევა შესთავაზა, გარდა კორტნი ლავისა**

არავის ნახვა არ სურდა და თვითმკვლევლობით იმუქრებოდა. კორტნი მიხვდა, რომ ქმარი ამ მუქარას ოდესმე სისრულეში მოიყვანდა... საავადმყოფოში ცოლ-ქმარი ერთდროულად დაწვა, კურტი – ნარკოლოგიურ ცენტრში, კორტნი – სამშობიაროში. ღვთის წყალობით, მათ აბსოლუტურად ჯანმრთელი გოგონა შეეძინათ; მას ფრენსისი დაარქვეს. ბედნიერი და ჯანმრთელი ოჯახის ფოტოები არაერთი ცნობილი ჟურნალის ყდას ამშვენებდა. თუმცა, სულ რაღაც ერთ თვეში, კურტი კვლავ ნარკოტიკებს მიეძღა. ლავი თავს არ ზოგავდა თავისი სიყვარულის გადასარჩენად: იგი ქმარს უსაიმოვნებებს არიდებდა; მაგიდაზე ფანატების წერილებს უწყობდა, სადაც ისინი თავიანთ კერპს ნარკოტიკებისთვის თავის დანებებას სთხოვდნენ; კურტის მეგობრებს ოჯახში ხშირად იწვევდა, რათა მათი დახმარებით ქმარი ნორმალური ცხოვრებისათვის დაებრუნებინა.

კობეინს აღარაფერი შველოდა, კორტნისაც იმედი გადაეწურა... ბოლოს და ბოლოს, მან მაინც მოახერხა ლოს-ანჯელესის ნარკოლოგიურ კლინიკაში დაწოლაზე ქმრის დაყოლიება. კურტმა იქ დიდხანს ვერ გაძლო და სიეტლში გაიქცა. ლავმა ყველა მეგობარს ჩამოურეკა და მისი მოძებნა სცადა, მაგრამ ამაოდ... სწორედ იმ დროს კურტმა მათი საკუ-

თარი სახლის ორანჟერეაში სასხლეტს გამოჰკრა ხელი და თავი მოიკლა.

მისი გვამის აღმოჩენიდან რამდენიმე საათში, კორტნი სიეტლში ჩაფრინდა და მთელი დღე-ღამის მანძილზე გონმისდილი იყო. ექვსი თვის განმავლობაში კი შვებულებას მხოლოდ ნარკოტიკებში პოულობდა. კობეინის დედა – უენდი ო'კონერი იხსენებს: „იგი სრულიად სასოწარკვეთილი იყო, დალაი-ლამასაგან ნიუ-იორკელ ფსიქოთერაპევტთან გარბოდა და ყველგან ტკივილისაგან თავის დაღწევას ლამობდა. თუმცა, ზოგჯერ ერთადერთი, რასაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია – დროა. მე მჯეროდა, რომ თუ იგი პირველ ექვს თვეს გადაიტანდა, ცხოვრების გაგრძელებასაც შეძლებდა. კორტნის აქვს ყველაფერი ის, რაც კურტს აკლდა და პირიქით, კურტს ჰქონდა ის, რასაც კორტნი ასე ძლიერ ელტვოდა – დიდი მუსიკალური ტალანტი. სწორედ ამიტომ უყვარდათ მათ ერთმანეთი ასე ძლიერ. ჩემი შვილი ამქვეყნიური არ იყო, შვებულებას სხვა სამყაროში ეძებდა, კორტნის კი მხოლოდ ამ ქვეყნის დაპყრობა სურდა. კარგია, რომ კორტნიმ თავი დააღწია ამ ვოჯოხეთს (ნარკოტიკებს). მის სიძლიერეში ეჭვი არასოდეს შემპარვია და ყოველთვის ვიცოდი, რომ ხასიათის სიმტკიცის წყალობით, ამ ცხოვრებაში აუცილებლად გამარჯვებული გამოვიდოდა“.

მან საკუთარ თავში ძალა იპოვა და მართლაც შეუძლებელი შეძლო. ქმრის სიკვდილის შემდეგ, მის ცხოვრებაში უამრავი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მან ნარკოტიკების ტყვეობას თავი დააღწია, შესანიშნავი დეილა გაუწია თავის გოგონას, პრემია „გრემი“ მიიღო, კინოსასპარეზოზე უდიდესი წარმატებები მოიპოვა, ჰოლივუდში ადგილი დაიმ-


კვირა და მადონას უახლოესი მეგობარიც გახდა.

კინო, ეს მისი მოღვაწეობის ცალკე სფეროა. ამ ასპარეზზე კორტნი ლავს ყოველთვის რთული როლების თამაში უწევდა. ძირითადად, იგი ცნობილი ადამიანების მეგობრებისა და ცოლების სახეებს ქმნიდა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეების უკან, ფრიალ უჩვეულო პიროვნებები იდგნენ. მისი პირველი ფილმი – „სიდი და ნენსი“ იყო. ამ სურათში ცნობილი როკ-ჯგუფის, „სექს-პისტოლზის“ ბას-გიტარისტის – სიდ ვიშესისა და მისი მეგობარი გოგონას ტრაგიკული ამბავია აღწერილი. კორტნის დიდი სურვილი ჰქონდა, მთავარი გმირი ეთამაშა, მაგრამ მან მხოლოდ ნენსის მეგობარი გოგონას როლი შეასრულა ამ ფილმში. სამაგიეროდ, სურათში – „კურტი და კორტნი“, მან მთავარი გმირი, თანაც საკუთარი თავი განასახიერა. მოგვიანებით, იყო როლები რეჟისურის მეტრთან – მილოშ ფორმანთან. კორტნი, ფორმანს მამად მოიხსენიებს. „მე მამაკაცებთან ურთიერთობისას უამრავი პრობლემა მქონდა, მაგრამ ცხოვრების გზაზე ისეთ მამაკაცებსაც შევხვდი, როგორებიც მილოში, ედ ნორტონი (მისი პარტნიორი ფორმანის ფილმში და შემდგომ მისი რჩეული), მაიკლ სტაიპი და კემერონ ქროუ არიან. ისინი არაჩვეულებრივად მექცეოდნენ და ახლა მამაკაცებთან პრობლემები აღარ მაქვს. ამისთვის კი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, მილოშს უნდა გადავუხადო“.

ფორმანმა ფილმში – „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“, პორნომაგნატის ცოლის როლზე, კორტნის კანდიდატურას დაუჭირა მხარი (პროდიუსერები ლავის არასახარბიელო რეპუტაციის გამო, სას-



**კორტნი სიეტლში ჩაფრინდა და მთელი დღე-ღამის მანძილზე გონმისდილი იყო**



**კურტი კობეინი**



ტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მას) და აიძულა იგი, მისთვის პატიოსანი სიტყვა მიეცა, რომ გადაღებების პროცესში ნარკოტიკს

არ გაეკარებოდა. პროდიუსერი ჰაუსმანი ინსენებდა, რომ სადაზღვევო კომპანიამ მათ ყველას და ყველაფრის დაზღვევა შესთავაზა, გარდა კორტნი ლაისა, მაგრამ პროექტის ყველა კომპონენტის დაზღვევის გარეშე, არც ერთი სტუდია ასეთ მსხვილობიუჯვტიან ფილმს წარმოებაში არ ჩაუშვებდა. სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკებები გაიწვლა, მაგრამ არავინ თანხმდებოდა „ამ ქალის“ დაზღვევას. ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარე კომპრომისზე წავიდა: კორტნის ცალკე დაზღვევდნენ 750 ათასად და ამ თანხას სტუდია კომპანიას წინასწარ გადაუხდიდა, რადგან Columbia Pictures-მა ამ ხარჯის გაღებაზე უარი განაცხადა. მაშინ, თავად რეჟისორმა, ოლივერ სტოუნმა, ვუდი პარელსონმა და მაიკ სტაიპმა საკუთარი ფულით დააზღვიეს კორტნი. თავის მხრივ, პროდიუსერებმაც პირობა წაუყენეს ლავს: მას ყოველდღე შარდის ანალიზი უნდა გაეკეთებინა, რათა გაეკონტროლებინათ მისი მდგომარეობა და გადაღებებზე არ უნდა დაეგვიანა. კორტნი ამ პირობებს და-

თანხმდა, გადაღებების დაწყებამდე სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობის კურსი ჩაიტარა და მას შემდეგ, ერთხელაც არ გაჰკარებია ნარკოტიკს. მოგვიანებით, ერთმანეთისადმი გამოჩენილი დიდი ნდობის გამო, მსახიობიც და რეჟისორიც ძალზედ კმაყოფილნი დარჩნენ. მილოშ ფორმანმა მადლიერება იმით გამოხატა, რომ კორტნი კვლავ მიიწვია თავის ახალ ფილმში – „ადამიანი მთვარეზე“, სადაც მან კომიკოს ენდი კაუფმანის მეგობარი ქალის როლი შეასრულა და ამ შემთხვევაშიც, ურთიერთთანამშრომლობით ორივე მხარე კმაყოფილი იყო.

ამჟამად კორტნი კვლავ მუსიკას დაუბრუნდა. „მე ვცდილობ, თავიდან აღმოვაჩინო კალიფორნიული მუსიკის სტილი“, – ამბობს მომღერალი. მას წინ კონცერტები, გასტროლები და ახალ კომპოზიციებზე მუშაობა ელის. თუმცა ადამიანები, რომლებიც მას კარგად იცნობენ, ამბობენ, რომ კორტნი სულით უფრო კინოვარსკვლავია, ვიდრე პრიმადონა. ■



## მეთიუ პერი: ალკოჰოლიზმი განკურნებადი!

საკუთარი პრობლემების საკვებოდ აღიარება არცთუ ისე იოლი საქმეა, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრებაში სხვა არჩევანი აღარ გვრჩება და ასეთ გადაწყვეტილებას ვიღებთ ხოლმე. სწორედ მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა შარშან მეთიუ პერი, როცა მისი გადაღება ახალი კომედიის – „თაღლითების“ მხოლოდ ნახევარში მოხერხდა.

„ცნობილია, რომ ამ ფილმის გადაღება ჩემი ცხოვრების ურთულეს პერიოდს დამთხვავდა“, – ინსენებს იმ მომენტს პერი, როცა მან მისთვის ჩვეული მყუდრო გარემო მიატოვა და მალიბუუს კერძო, სარეაბილიტაციო კლინიკაში ამოყო თავი. ჩვენი ცხოვრების ასეთ გადამწყვეტ მომენტში უნდა მოახერხოს ადამიანმა მნიშვნელოვანი პრიორიტეტების განსაზღვრა და უბრალოდ განაცხადოს: „დაივიწყეთ ფილმი. მე ჩემი უმთავრესი პრობლემა უნდა გადავწყვიტო“.

საბედნიეროდ, სარეაბილიტაციო კლინიკაში მეთიუ პერის ეს ვიზიტი (ამის მიზეზი, მსახიობის ალკოჰოლიზმი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისადმი, მათ შორის ვიკოდინისადმი მისწრაფება გახდა) ბევრად უფრო შედეგანი აღმოჩნდა, ვიდრე 1997 წელს გავლილი სამკურნალო კურსი. მსახიობი ამბობს, რომ განიკურნა და ამან ცხოვრების წესის რადიკალურად შეცვლის საშუალება მისცა.

„ამიერიდან, საშუალოდ ასე ვიქნები... ეს ისეთი საზარელი დაავადებაა, როცა ადამიანი კარგავს საკუთარ ნებას და მთლიანად მავნე ჩვევებზე ხდება დამოკიდებული. ამ სიტუაციაში მთავარია, არ დაივიწყოთ, რამდენად ცუდად გრძნობდით თავს“, – ამბობს იგი. „ახლა ცხოვრების ძალზე მხიარული და

ბედნიერი ჟამი მიდგას და ჩემთვის ადვილი იქნებოდა წარსული უსიამოვნებების დავიწყება, მაგრამ ასე არავითარ შემთხვევაში არ მოვიქცევი, რადგან ამის დავიწყება ჩემს მომავალს ისევ საფრთხეს შეუქმნის“.

ამჟამად მეთიუ პერი მართლაც ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს, რადგან მისი კარიერა იმაზე წარმატებული ველარაფრით იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ფილმმა – „თაღლითები“ კიდევ უფრო პოპულარული გახადა მსახიობი; ტელესერიალი – „მეგობრები“, რომლის ჩვენებაც (მისი მონაწილეობით) NBC-ს არხზე მიმდინარეობს, მთელი ამერიკის მოსახლეობის ყურადღებას იპყრობს; კომედიურ ტელესერიალში საუკეთესო მთავარი როლის (ჩენდლერი) შესრულებისათვის, იგი „ემის“ პრიზზეა წარდგენილი; ემზადება ფილმ – „ცხრა იარდი-2“-ში მონაწილეობის მისაღებად (2000 წლის განმარტებულმა ფილმმა „ცხრა იარდი“ მსახიობს უდიდესი წარმატება მოუტანა). დამეთანხმებით, ფრიად შთაბეჭდავი მიღწევებია 34 წლის კაცი-სათვის, მით უმეტეს, რომ მისი კარიერის დღევანდელი მდგომარეობა, მომავალში კიდევ უფრო დიდი გამარჯვებების საფუძველს იძლევა.

„კარგია, რომ ანონიმურად არ ვიმკურნალე და ჩემი პრობლემები არ დავმალე, რადგან ვფიქრობ, რომ ასეთი ნაბიჯით, ჩემს მდგომარეობაში მყოფ სხვა ადამიანებსაც დავეხმარე. დაახლოებით, წელიწად-ნახევარია, აღარ ვსვამ და მშვენივრად ვგრძნობ თავს. ჩემი ამჟამინდელი ყოველდღიური ცხოვრებით საოცრად კმაყოფილი ვარ“. ■





**მს**

სისხლიანი ინციდენტი 1864 წელს მოხდა, მაშინ, როცა ამერიკის სამოქალაქო ომში სამხრეთის არმია თითქმის დამარცხებული იყო. სამხრეთის შტატების პარტიზანული რაზმის მეთაურის — ანდერსონის თავგანწირულმა მანევრმა, თავად მას სიცოცხლე კიდევ ერთი თვით, ამ ბრძოლაში მონაწილე ყმაწვილს კი — თითქმის თვრამეტი წლით გაუსანგრძლივა. სწორედ ეს ახალგაზრდა იქცა შემდგომში ველური დასავლეთის რომანტიკული განგსტერული ეპოსის გმირად, მისი სახელი — ჯესი ჯეიმსი იყო.

იმავე საღამოს, მძიმე ბრძოლით დაქანცულ ჯესის რეკოლვერის წმენდისას შემთხვევით ტყვია გაუვარდა და მარცხენა ხელის შუა თითის ფალანგა წააწყვიტა. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე მას სწორედ ამ ნიშნით ცნობდნენ და ეძებდნენ.

სისხლიან ბილს სამხრეთელები გმირად მიიჩნევდნენ, მაგრამ იგი გულგრილი მკვლელი-მანიაკი გახლდათ. ომის დროს ქალაქ ლოუერენსში მომხდარი სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა, სწორედ მის სახელს უკავშირდებოდა. ამ ბრძოლაში 150 უიარაღო მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა.

პარტიზანული რაზმი სამხრეთის რეგულარული არმიის ნაწილებში არ ირიცხებოდა, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე, რეგულარული არმიის მებრძოლებთან ერთად, ამნისტია პარტიზანებსაც შეეხო. ჯესი ჯეიმსი, მეგობრებთან ერთად, ცოდვების შესანდობად თეთრი დროებით გაემგზავრა. მაგრამ ამნისტია შორეულ ვაშინგტონში იყო მიღებული, ჩრდილოეთის არმიის ჯარისკაცებს კი ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება ჰქონდათ. ისინი სისხლიანი ბილის რაზმს ჩაუსაფრდნენ... ჯესი გულში დაიჭრა, მაგრამ ბუნებრივად მიხიზება მაინც მოახერხა. მეორე დღეს უცნობმა გლეხმა სწორედ იქ იპოვა სისხლისგან დაცლილი და მომაკვდავი ჯესი. მან დაჭრილს მოუარა და იანკების მიერ ნებრასკაში გადასახლებულ ოჯახთან დაბრუნებაშიც დაეხმარა.

ჯეიმსების ოჯახი გარკვეული დროის მანძილზე ძველებურად ფერმაში მუშაობდა. მაგრამ ფერმერული წესები მათთვის უკვე მიუღებელი იყო, ვინაიდან გარშემო ყველაფერი საოცრად შეიცვალა. მათ იგივე დაემართათ, რაც ადრე, ომის არაერთ სხვა ვეტერანს დამართათ: ისინი შარავზაზე გავიდნენ.

ჯეიმსების მთავარ სამიზნეს ბანკები

როცა სისხლიანი ბილის მეტსახელით ცნობილი უილიამ ანდერსონი მიხვდა, რომ მღევარს თავს ველარ დააღწევდა, გადანწყობა მტერს პირისპირ შეჰბმოდა. მის ნიშანზე მთელმა რაზმმა ცხენები მოატრიალა და ჭენებით მღევართა რიგების შუაგულში შეიჭრა. ბილს ცხენდაცხენ ჩვიდმეტი წლის ყმანვილი მიჰყვებოდა, რომელსაც აღვირი ებილებით ეჭირა და ორივე ხელში მომარჯვებული რეკოლვერების ერთდროული გასროლით, ზედიზედ რამდენიმე მონინატმდევე გამოასაღმა სიცოცხლეს. მას არც დანარჩენები ჩამორჩნენ და რამდენიმე წუთში ყველაფერი დამთავრებული იყო.



**ჯესი ჯეიმსი**

**ამერიის სათაყვანელები ბანდები**

წარმოადგენდა. სათარეშოდ მისურის შტატი აირჩიეს. ბანკები ძირითადად ჩრდილოელებს ან მათ მომხრეებს ეკუთვნოდათ. ასე რომ, მათი მარცვა მართალი საქმისათვის ბრძოლად იყო მიჩნეული. ბანდის უცვლელი წევრები იყვნენ: ძმები — ჯესი და ფრენკ ჯეიმსები და მათი ბიძაშვილები — კოული, ჯიმი და ჯონ იანგერები (მოგვიანებით მათ ბობ იანგერიც შეუერთდა), რომლებთან ერთადაც ჯერ

**ძმები ჯეიმსები**



კიდევ ბავშვობაში, მეზობლის ბაღებსა და ბოსტნებს მარცვავენდნენ. დანარჩენი წევრები მხოლოდ დროებით უკავშირდებოდნენ ბანდას და შემდეგ კვლავ თავიანთ გზას პოულობდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე ილბლიანი მარცვა ბანდამ 1871 წელს განახორციელა. ისინი ქალაქ კორიდონის (აიოვას შტატი) ბანკს დაესხნენ თავს, სადაც ერთი კლერკის გარდა, არავინ დახვდათ (დანარჩენები ეკლესიაში წირვას ესწრებოდნენ). ნადავლმა 45 ათასი დოლარი შეადგინა (ამ თანხის დღევანდელი ეკვივალენტი რომ მივიღოთ, ეს ციფრი 40-ზე უნდა გავამრავლოთ). ის იყო, ძვირფასი ტვირთი ცხენებს აჰკიდეს და იქაურობას უნდა გასცლოდნენ, რომ ჯესიმ ცხენი შეატრიალა და ეკლესიისკენ გაემართა. იგი ტაძარში შევიდა, მრავალმნიშვნელოვნად ასწია მარჯვენა ხელი და მღვდლის შეკითხვას — თუ რაში იყო საქმე, ასეთი პასუხი გასცა: „სერ, აქ ვილაც ბიჭებმა ბანკი გაძარცვეს. მე მგონი, უმჯობესი იქნება, თუ თქვენ იქ წახვალთ“.

ჯესი ჯეიმსის ნაციონალურ გმირად აღიარება უამრავმა ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი, ჯეიმსის თანდაყოლილი არტისტიზმი გახლდათ. ეკლესიის ინციდენტის მსგავსი გამოხდომები და თუნდაც ის, რომ იგი და ბანდის დანარჩენი წევრები ბანკებზე



დგანან: კოულ იანგერი და ბობ იანგერი  
სხედან: ჯესი ჯეიმსი და ფრენკ ჯეიმსი

თავდასხმისას საგულდაგულოდ გამოიწყობილნი მიდიოდნენ, მის წისქვილზე ასხამდა წყალს და მისდამი სიმპათიებს აღძრავდა.

მთავარი ფაქტორი კი ის იყო, რომ ომის შემდგომ, ქვეყანა ორ ბანაკად გახლეჩილი დარჩა: გამარჯვებულ ჩრდილოეთად და დამარცხებულ სამხრეთად, რომელიც თავის მარცხს დღემდე ვერ ინელებს. იმ დროისათვის კი, ამ ფაქტთან შეგუებას უბრალოდ არც აპირებდა. ამ სიტუაციაში ნებისმიერი სამხრეთელი, რომელიც თავს შურისმაძიებლად გამოაცხადებდა, საერთო სახალხო მხარდაჭერით სარგებლობდა. სწორედ ასე მოიქცა ჯესი. იგი ქედუხრელი სამხრეთის სიმბოლოდ იქცა და ამერიკელი რობინ ჰუდის მითიც შეიქმნა.

ბანკების მარცხის პარალელურად, ბანდა არც დილიჟანსებისა და მატარებლების დაყარალებაზე ამბობდა უარს. ერთხელ დილიჟანსის გამარცხისას, ერთ-ერთმა მგზავრმა პროტესტი გამოთქვა. კოულ იანგერს მისი აქცენტი ეცნაურა და ჰკითხა:

- სამხრეთელი ხართ?
- ღიას, სერ.
- კონფედერატების არმიაში მსახურობდით?
- მქონდა პატივი, სერ.
- დამისახელეთ თქვენი წოდება, პოლკი

და მეთაური, – განკარგულება გასცა იანგერმა და პასუხმაც არ დააყოვნა.

– ჩვენ სამხრეთელებს არ ვმარცხავთ, მით უმეტეს – კონფედერაციის ჯარისკაცებს, – უპასუხა კოულმა და ნამარცვი ნივთები მგზავრს დაუბრუნა, – მაგრამ ეს იანკებს არ ეხებათ.

მიუხედავად იმისა, რომ მატარებლის გამარცხის პირველი მცდელობა კრახით დამთავრდა, ჯესის თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია და არაერთი წარმატებული რეიდიც განახორციელა. ერთ-ერთი მატარებლის დაყარალებისას მოპოვებულმა თანხამ 22 ათასი შეადგინა. მატარებლის „გასუფთავების“ შემდეგ, ჯესიმ მემანქანეს მიაკითხა და

პრესისათვის წერილი გადასცა. წერილის შინაარსი ასეთი იყო: „ყველაზე თავხედური მარცვა მატარებლების არსებობის მანძილზე: სამხრეთის მიმართულებით მიმავალი მატარებელი რკინის კლდეისთან იქნა გაჩერებული ხუთი (სინამდვილეში ათნი იყვნენ) კარგად შეიარაღებული კაცის მიერ, რომლებმაც ... დოლარი გაიტაცეს (ცარიელ ადგილას ზუსტი ციფრის მითითებას გამარცხულ მგზავრებს სთხოვდა). მმარცველები ახოვანი მამაკაცები იყვნენ, ექვს ფუტზე ოდნავ ნაკლები სიმაღლისანი. მატარებლის გამარცხის შემდეგ ისინი სამხრეთისაკენ გაემართნენ. ყველანი ლამაზ ცხენებზე ისხდნენ.

P.S. ამ მხარეში ძალზე მხიარული ცხოვრებაა“.

1874 წლის 16 მარტს ბანდამ დიდი დანაკლისი განიცადა: ჯონ იანგერი ერთ-ერთი შეტაკებისას დაიღუპა. ჯესი და დანარჩენი ბანდის წევრები იმ პერიოდში საკმაოდ სოლიდური კაპიტალის მფლობელები იყვნენ, ამიტომ გადაწყდა – ყარაღობაზე ხელი აეღოთ და მშვიდობიანი ცხოვრება დაეწყოთ. განზრახვა სისრულეშიც მოიყვანეს. იმ ხანებში ჯესი დაქორწინდა კიდევ, ძალი მისმა ძმამ, ფრენკმაც მოიყვანა ცოლი.

ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ძმები მართლაც მშვიდობიანი

ცხოვრების გზას დაადგინენ. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 1874 წლის 12 დეკემბერს, ბანდა ისევ გამოჩნდა და ტეხასის ქალაქ მანსიში მატარებელი დააყარა. ნამარცვმა ამჯერად 25 ათასი შეადგინა.

1875 წლის 26 იანვარს პინკერტონის რამდენიმე აგენტი და ადგილობრივი წესრიგის დამცველები მალულად მივიდნენ ჯეიმსების სახლთან. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჯესი და ფრენკი შინ იყვნენ. დეტექტივები საფრთხეში თავის ჩაგდებას მოერიდნენ და სახლში ხელყუმბარა შეაგდეს. სინამდვილეში ძმები შინ არ აღმოჩნდნენ, ყუმბარამ სასიკვდილოდ დაჭრა მათი 8 წლის ნახევარძმა, დედას კი მარჯვენა ხელი მოაწყვია. ჯესი შურის საძიებლად ჩიკაგოში გაემგზავრა, სადაც პინკერტონის სააგენტო მდებარეობდა. მას სურდა, რომ პირისპირ შეხვედროდა მტერს და ისე მოეკლა, მაგრამ შესაფერი შემთხვევა არ მიეცა.

ერთხელ ჯესიმ და მისმა ბანდამ ნორფოლდის ბანკის გამარცხვა გადაწყვიტეს. ბანკში შესვლისას ბანდის ერთ-ერთი წევრი ვიღაც ობივატელს ქეჩოში სწვდა და ჩუმად ყოფნა უბრძანა. ობივატელის შემინება არც ისე იოლი აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ კრინტი არ გაეღო, მან მთელი ხმით შესძახა: „იარაღი აისხით, ბიჭებო! ბანკს მარცვავენ!“ მისურის შტატისაგან განსხვავებით, რომლის მოსახლეობაც ომში მარცხისაგან დაბეჩავებული და შემინებული იყო, ნორფოლდის მცხოვრებთა დიდ ნაწილს ამერიკის პირველმოსახლეები შეადგენდნენ, რომლებიც ინდიელთან ბრძოლებში გამოწვრილობილნი იყვნენ. ერთი მოწოდება საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთელ ქალაქს იარაღი აესხა და ქუჩაში გამოფენილიყო. ორმხრივი უშეღავათო სროლის შემდეგ, მმარცველებმა ძლივს გამოასწრეს ქალაქიდან ცოცხლებმა. ილბლიანი ჯეიმსების გარდა, ბანდის ექვსივე წევრი დაჭრილი იყო. ბობ იანგერი სისხლისაგან იცლებოდა. ჯესიმ მას ჭრილობა გაუსინჯა და კოულს მისი დატოვება ან მოკვლა შესთავაზა. კოული აღშფოთდა და ჯესის მოკვლით დაემუქრა. შემდეგ კი უთხრა, რომ ძმას არ მიატოვებდა და მშვიდობიანად დაშორება შესთავაზა. ჯეიმსები მაშინვე გაემგზავრნენ, დანარჩენები კი სხვა გზით წავიდნენ.

სამართალდამცავები ჯეიმსებს კვალში ჩაუდგნენ და უფრო და უფრო ავიწროებდნენ. მათ მისურიდან გამგზავრება გადაწყვიტეს, რადგან უკანასკნელი ძალიც კი სახეზე ცნობდა ორივე ძმას.

ოჯახის წევრების დახმარებით, ტენესიში გადავიდნენ და პატარა ფერმაში დასახლდნენ. ჯესიმ თავისი ცხენიც კი გაყიდა. იქ იცხოვრეს სამი წლის მანძილზე.

1879 წლის ოქტომბერში, ჯესიმ ცდუნებას ველარ გაუძლო და ახალი ბანდა ჩამოაყალიბა. 7 ოქტომბერს მათ ქალაქ გლენდელითან მატარებელი გააჩერეს და გაძარცვეს. ნაალაფარი 35 ათასი იყო. ეს ჯესის ბანდის ბოლო იბლანდიანი ოპერაცია აღმოჩნდა.

1881 წელს ჯესიმ მატარებლის მარცვისას შემანქანე და მეზავრი მოკლა. ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა – მისურის შტატის გუბერნატორს მოთმინების ფიალა აეგსო და მან ჯესი და ფრენკ ჯეიმსების თავებისათვის 10 ათასი დოლარი ჯილდო დააწესა. გუბერნატორის გულუხვობამ ძმებს საფრთხე შეუქმნა. მართალია, ადრე საზღაურად მილიონიც რომ დაეწესებინათ, მას მაინც არავინ გასცემდა, მაგრამ ამჯერად ბანდის თითქმის ყველა წევრი შემთხვევითი ადამიანი იყო.

ერთ-ერთმა მათგანმა – ჩარლი ფორდმა, ბანდაში თავისი ძმა, ბობიც მიიყვანა. მალე ყაჩაღებს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. ამის მიზეზი ერთ-ერთი ბანდიტის სიკვდილი გახდა. როგორც ამბობდნენ, იგი თავად ჯესის მოკლა, რადგან მას ხელისუფლებასთან შერიგების სურვილი გამოეთქვა. შემდეგ დიკ ლიდელმა და ბობ ფორდმა, ვუდ ჰაითი რაღაც ასილდე დოლარის გამო მოკლეს. არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც დაწესებული ჯილდოს მისაღებად, ბანდის წევრები თავად იშორებდნენ გზიდან მათ, ვისაც მათთვის ხელის შეშლა შეეძლო. მალე დიკ ლიდელი ხელისუფლებას ჩაჰპარდა.

1882 წლის 3 აპრილს ჯეიმსების მშობლიურ სახლში ჯესი და ძმები ფორდები ბანკის გაძარცვის გეგმას ადგენდნენ. ჯესიმ, სასხვათაშორისოდ, გაზეთში დიკ ლიდელის აღიარება წაიკითხა, სადაც იგი ძმებ ჯეიმსებს არაერთ დანაშაულში სდებდა ბრალს. ამის შემხედვარე ბობი კინალამ სკამიდან გადმოვარდა, რადგან ის და ჩარლი, უკვე ნამყოფები იყვნენ გუბერნატორ კრიტენდენტთან, რომელიც თუკი ფორდები ხელისუფლებას ჩააბარებდნენ ან მოკლავდნენ ჯესის, მათ ამნისტიას და ჯილდოს ჰპირდებოდა. ბობს მოეჩვენა, რომ ჯესიმ მისი გეგმების შესახებ ყველაფერი იცოდა. უცებ ჯესიმ გაზეთი მოისროლა, ეზოში მოთამაშე ბავშვებს ფანჯრიდან გახედა, შემობრუნდა და შენიშნა, რომ სურათი კედელზე ირიბ-

ად ეკიდა. ამის შემდეგ იგი ძალზე უცნაურად მოიქცა: მან ორივე იარაღიანი ქმარი, რომელიც წელზე და მხარზე ეკიდა და შინაც კი არ იშორებდა, მოიხსნა და სკამზე ჩამოვიდა, მერე კი სურათის გასწორება სცადა. მოგვიანებით, ბობ ფორდი იხსენებდა, რომ ჯესის ამ გზით მისი ყურადღების მოღუნება სურდა, რადგან უეჭველია, რომ მისი დალატის შესახებ ყველაფერი იცოდა. თუ ეს ასეა, მან ფორდის სიმხალე სათანადოდ ვერ შეაფასა. შიშისაგან გონდაბინდულმა ბობმა უეცრად რევოლვერი ამოიღო და ჯესის ზურგში ესროლა.

თითქმის იმავე მომენტში, ოთახში ჯესის ცოლი შეეკარდა და დაჭრილს თავი წამოუწია. „ეს შემთხვევითი გასროლა იყო“, – თავი იმართლა ბობმა. – „არა – უპასუხა ქალმა – შენ მას შეგნებულად ესროლე“.

ბობმა დაინახა, რომ ჯესი მას ველარაფერს დააკლებდა, გახარებული გარეთ გავარდა და მთელი ხმით ყვიროდა: „მე ჯესი ჯეიმსი მოკალი! მე ჯესი ჯეიმსი მოკალი!!!“ – ისე რომ, ეზოში მოთამაშე ბავშვებსაც არ მორიდებია.

ფრენკ ჯეიმსი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო. იგი ნახევარი წლის განმავლობაში ყოყმანობდა, შემდეგ კი გუბერნატორ კრიტენდენტს ჩაჰპარდა. იმ მომენტში იქ მყოფმა რეპორტიორმა ჰკითხა: „რატომ ჩაჰპარდი ხელისუფლებას? თქვენი სამეოფელი ხომ არავისთვის იყო ცნობილი!“ – „კანონგარეშე ცხოვრებამ დამძალა. ოცდაერთი წელია, ჩემზე ნადირობაა გამოცხადებული. მთელი ამ ხნის მან-

ძილზე, ერთი მშვიდი დღეც არ მახსოვს. ჩემი ცხოვრება მძიმე, დაუსრულებელი ვახტი იყო. უბრალო გაფაჩუნებაზეც კი იარაღს დავავლებდი ხოლმე ხელს. თქვენ წარმოგიდგენიათ, რას განიცდის ადამიანი, რომელსაც ასეთი ცხოვრება აქვს? ამას ვერავინ წარმოიდგენს თუ თავად არ უცხოვრია ასეთი ცხოვრებით“.

კრიტენდენტმა ფრენკს მხარდაჭერა და სამართლიანი სასამართლო აღუთქვა. ჯესი ჯეიმსის სახელის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო კი, ეს სასამართლო სამართლიანი ვერაფრით იქნებოდა. ბანდიტსა და მკვლელს მთელი ქვეყანა ისე დასტიროდა, თითქოს მამულს საუკეთესო შვილი დაღუპოდა. შექმნილი სიტუაციის გავლენით გამოტანილმა „განაჩენმა“ ცოტა ვინმე თუ გააკვირვა: ფრენკი გაამართლეს. კარგია, როცა შენი ძმა ნაციონალური გმირია.

ჩარლი ფორდს ჯესის ნათესავების შურისძიების ისე ემზინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უგონოდ გამოთვრა და შურისგების აღსრულება თავადვე იკისრა: საფეთქელში ტყვია დაინახა. ბობი ათი წლის მანძილზე სხვადასხვა შოუში გამოდიოდა და გაუთავებლად ჰყვებოდა ჯესის მოკვლის ამბავს. მკვლელობის ინსცენირებაც კი დადგა. მაყურებელი თავიდან დიდი ინტერესით უყურებდა წარმოდგენას, ბოლოს კი, როგორც ყოველთვის, ფორდს დამპალ ჰამიდვრებს ესროდა. მოგვიანებით, მან ქალაქ კრიდეში სალუნი გახსნა. 1892 წლის 24 ივნისს ფორდი იანგერების ნათესავმა ედ. ორ. კელიმ გამოასალმა სიცოცხლეს.

ბობ ანგერი ციხეში ტუბერკულოზით დაავადდა და 1889 წელს, 32 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჯიმი და კოული 25-წლიანი პატიმრობის შემდეგ, 1901 წელს გაათავისუფლეს.

რკინის გიგანტმა კოულ იანგერმა ყველაზე დიდხანს იცოცხლა. იგი 1916 წელს გარდაიცვალა. მასზე ერთი წლით ადრე, ფრენკ ჯეიმსის ცხედარი მიაბარეს მიწას.

ჯესის საფლავს ასეთი წარწერა აქვს:

**„ჯესი ვუდსონ ჯეიმსი გარდაიცვალა 1882 წლის 3 აპრილს 34 წლის 6 თვის და 28 დღის მოკლულ იქნა მშინშარა მოლაღატის მიერ, ვინც ხსენების ღირსიც კი არ არის.“**



დასაწყისი ის. „გზა“, №40-43

შალვა ბიძიას შიში არ გამართლდება: შეფ-მზარეული გრიშა, გაგდების ნაცვლად, ნინის დანიშნულებას და დასუთული სამრეცხაოდან სამზარეულოში, ბოსტნეულის მჭრელად გადაყვანას გადაწყვეტს. თუმცა, მანამდე, დასატუქსად საკუთარ კაბინეტში გამოიძახებს.

ქვეშევრდომების უსიტყვო მორჩილებას მიჩვეულ შეფ-მზარეულს, ნინისთან საუბარი არაფრით გამოუვა, მეტიც: ამ „თითისხელა გოგოს“ თავხედობა იმდენადაც კი დააბნევს, რომ ჯერ საკუთარი ხელით ჩაის მიაერთმევს, შემდეგ კი ლამის ბავშვივით სთხოვს — თუ კიდევ სადმე წახვლას გადაწყვეტ, იქნებ, წინასწარ გამაფრთხილოო. ნინი შევს პირობას მისცემს, მაგრამ დიტოსთან შესახვედრად, მაინც გაუფრთხილებლად წავა.

დათქმულ დროს, დიტო სასტუმროს ეზოში არ გამოჩნდება. ნინი მის ამბავს ვერც სასტუმროს მორიგისგან შეიტყობს. თუმცა, მეორე მორიგე, სასტუმროს ჩანაწერების წიგნში დიტოს გვარს მაინც აღმოაჩენს. ამ დროს მათ თავზე რეჟისორი გოგი გორგილაძე წამოადგება. მანამდე, სასტუმროს მორიგისგან ნინი იმასაც შეიტყობს, რომ ეს სასტუმრო გოგი გორგილაძის საკუთრება ყოფილა.

ბატონი გოგი მისი მოულოდნელი გამოჩენით შემცბარ ნინის სასტუმროს კაფეში, ყავასა და ნამცხვარზე დაპატიჟებს, სადაც, ვითომ სხვათა შორის, იმასაც ეტყვის — ახალი ფილმის გადაღებას ვინც და ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალის როლის შენთვის შემოთავაზებას ვაპირებო. შემდეგ, ამ ახალი ინფორმაციით აშკარად დაბნეულს, სასტუმროს დათვალიერებასაც შესთავაზებს, საკუთარ ნომერში შეიტყუებს და საბოლოოდ დამფრთხალ და გაოგნებულ გოგონაზე მოულოდნელ იერიშსაც მიიტანს.

ნინი მოვლენების ასეთი განვითარების მზად არ აღმოჩნდება, ამიტომ თავიდან, ერთს კი გაიბრძოლებს, მაგრამ შემდეგ, საკუთარი გამოუვალი მდგომარეობის შემხედვარე, მასზე ქშენით წამოსულ მოძალადეს უსიტყვოდ დანებდება...

ასე ცუდად ნინი ცხოვრებაში არ ყოფილა. ის უკვე კარგა ხანია, კედლისკენ შებრუნებული, გაუნძრევლად იწვა და თავში მხოლოდ საშინელი აზრები მოსდიოდა. ტირილი უნდოდა, მაგრამ სასოწარკვეთილებსგან ცრემლიც გამრობოდა.

— შეგიძლია, დილაზე დარჩე... აქ დეიდა მაროს გარდა, არავინ შეგაწუხებს... ჩვენი დაძაგებულა... მგონი, უკვე იცნობ კიდევ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა ნინის ბატონი გოგის სიტყვები.

ნინი უცბად ფეხზე ფეთიანივით წამოხტა.

— რა იყო? რა გეცა? სად მიდინარ? — ჰკითხა ბატონმა გოგამ.



რუსუდან ბერიძე

# ქალური ინსუიქია ანუ ჭიამჯიას თვითობი

— სამსახურში.  
— ს-ა-ა-დ?  
— სამსახურში.  
— შენ რა? ყველა „სიკეთესთან“ ერთად, მუშაობ კიდევ? — ბატონ გოგის ხმაში აშკარა ირონია გაერია. — საინტერესოა, მაინც, რას აკეთებ?  
— ბოსტნეულს ვჭრი.  
— რას მეუბნები?! — ჩაიქირქილა ბატონმა გოგამ. — მაგარი სამუშაო გქონია. იცი, რას გეტყვი, ჩიტუნე?...  
— ვიცი.  
— არაფერიც არ იცი. მოდი, შეეშვი ბოსტნეულის ჭრას. მაგას ყოველთვის მოასწრებ. სამი დღის შემდეგ, კინოსინჯები მაქვს. არ გინდა, კინოში მართლა გადავიყო?  
— არა.  
— არა? — გაოცება ვერ დამალა ბატონმა გოგამ, რომლის პრაქტიკაშიც მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. უკლებლივ ყველა ქალი, ვისაც კი მისი ლოგინი გამოუვლია, კინოვარსკვლავობაზე ოცნებობდა. ამ სოფელმა გომბიომ კი, იმის ნაცვლად, რომ მადლობის ნიშნად, ხელები დაეკოცნა, უარის თქმაც კი გაუბედა...  
— რა გაეწვობა... არ გინდა — ნუ გინდა!.. შენი ნებაა... — ჩაბურტყუნა ბატონმა გოგამ და თავადაც ფეხზე წამოდგა.  
ახლა ის უკვე მხოლოდ საკუთარ თავზე ბრაზობდა: „ამხელა კაცი ასე რამ გამომაშტერა? ეს ვისთან დავიჭირე საქმე?! მესიამოვნა მაინც... ასეთი ცივი და უსიცოცხ-

ლო ვერ არავინ შემხვედრია... თან, ხომ შეიძლება, თავის ბიძისთანაც დამაბეზლოს... ასეთებისგან ყველაფერია მოსალოდნელი... არადა, ახლა სკანდალი ნამდვილად არ მწყობს...  
ნინიმ უხმოვ ჩაიცვა.  
— გაგაცილო? — რამდენადაც შეეძლო, ხმა დაიტკბო ბატონმა გოგამ.  
ნინიმ, უარის ნიშნად, მხოლოდ თავი გაიქნია და ოთახიდან გავიდა...  
სასტუმროს კიბეზე მთვარეულივით ჩამოდიოდა. „დღეს შენ დიტო სამუდამოდ დაკარგე!“ — გამოუცხადა მან გულში საკუთარ თავს და უცბად მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები მის გვერდით ვილაცამ ხმამაღლად გაიმეორა. ამით საბოლოოდ გაოგნებული, ერთ ადგილს მიყენა, შემდეგ კი, კიბე ლამის კისრისტეხით ჩაირბინა და ქუჩაში გაეკარდა. უცბად, ზედ მის ფეხებთან მანქანამაც დაამუხრუჭა. საჭესთან ბატონი გოგი იჯდა:  
— დაჯექი, — უთხრა მან ნინის. — სახლამდე მიგიყვან.  
ნინი უხმოვ ჩაჯდა მანქანაში. ბატონმა გოგამ მანქანა ადგილიდან დაძრა.  
— არ მეხმის, მაინც რას იბერები? — ჰკითხა მან მანქანის ფანჯრის მიწაზე ერთ წერტილს მიშტერებულ ნინის. — მე ხომ პირველი არა ვარ. თუ ჩემამდე უკეთესები გაყავა?...  
ნინის პასუხი არ გაუცია. მხოლოდ გვერდულად გამოხედა და ისევ ერთ წერტილს მიაშტერდა.

— ხვალ შემოვივლი. ერთად ვივასშმოთ რესტორანში... — დაიწყო ისევ ბატონმა გოგომ, რომელსაც ხმაზე ეტყობოდა, ნინის დუმილის წონასწორობიდან გამოჰყავდა, მაგრამ მაინც, ყველანაირად თავს იკავებდა:

— კარგი, კარგი, ნუღარ ბრაზობ... ბიძაშენის სახლის კუთხეში რომ ზომამდახია, ხვალ საღამოს, 9 საათისთვის, იქ დაგელოდები... თუ შეგაგვიანდება, შენს მოსვლამდე ჩემი ფისოსთვის საკვებს მოვიმარაგებ...

— ვეცდები, შენზე ადრე მოვიდე და შენი ფისო მშვიერ-მწყურვალად დავტოვო... — ჩაიბუტბუტა ნინიმ.

ბატონ გოგის ნინის ხმის ამოღების იმედი, ეტყობა, უკვე აღარც ჰქონდა, რადგან ისეთი გაოცებული მიაშტერდა, თითქოს პირველად ხელდაესო.

— ფისოს არა უშავს, — ამოღერდა მან ბოლოს, — მეზინა, მალე მეც მშვიერ-მწყურვალად არ დამტოვო...

ამასობაში შალვა ბიძას სახლიც გამოჩნდა. ბატონმა გოგომ მანქანა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გააჩერა, იქიდან ზღაზენით გადასულ ნინის ჰაეროვანი კოცნა დაადგენა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

შალვა ბიძა თავისი ბინის ვიწრო შესასვლელში იდგა და ყავას იღუღებდა. ის ძმისშვილის გამოჩენას გარეგნულად სრულიად მშვიდად შეხვდა.

— ყავას დალეე? — ჰკითხა მან ასეთი დახვედრით ამკარად შემცბარ ნინის.

— დალეე.  
— გშა?

ნინის ყავისა და ნამცხვრის გარდა, რომელითაც ბატონი გოგი გაუმასპინძლდა, მთელი დღე პირში არაფერი ჩასვლოდა, მაგრამ მაინც იუარა:

— არა, ნაჭამი ვარ... ყავასაც მერე დალეე... ვერ წყალს გადავივლებ...

საბაზანოში განმარტოებული ნინი შხაპის ქვეშ თითქმის მთელი საათი იდგა და ტანს ისე გულმოდგინედ იბანდა, თითქოს ამით გოგი ვორგელადის შეხების ყველანაირი „კვალის“ წაშლას ცდილობს... ბოლოს საკუთარი საქციელის უაზრობას თავადვე მიხვდა და გულამოსკვნილი ატირდა. თან, შალვა ბიძას რომ მისი სლოკუნე არ გაეგო, ონკანი ბოლომდე მოუშვა, ხოლო თუ რამეს დაწითლებულ თვალებზე ჰკითხავდა, საპირი ჩამივიდაო, ეტყობა...

მაგრამ შალვა ბიძა არაფერს ეკითხებოდა. ის ისედაც კარგად ხვდებოდა, რომ ნინის სასიყვარულო პაემანი სრული კრახით დამთავრდა. ვინმეს რომ ეკითხა — რა იცი, რომ ეს სასიყვარულო პაემანი იყო, — ალბათ, დაბნეული, მხოლოდ მხრებს თუ აჩქრდა: მე ასე მგონიაო. მაგრამ არც შალვა

ბიძას ეკითხებოდა ვინმე რაიმეს... თუმცა, თავად, გულში უკვე მერამდენედ ნანობდა, რომ მხრებზე ასეთი ტვირთი წამოიკიდა. „არა, ნინი ცუდი გოგო ნამდვილად არ არის, — ეკამათებოდა ის თავის უხილავ და უტყვე ოპონენტს, — მაგრამ მაინც ვკობდა, სოფელში, თავის შშობლებთან დარჩენილიყო...“

აბაზანიდან გამოსულ ნინის შალვა ბიძამ ქაფქაფა ყავა დაუსხა და თან დააყოლა:

— კარგი ქენი, რომ ნუცას სთხოვე, შენ მაგივრად ემუშავა...

ნინის ყავა გადასცდა და ხველა აუტყვდა, ფიქრებში წასულმა შალვა ბიძამ კი თავის ნათქვამს ბეჭვდი დაუსვა:

— ნუცა მართლა ძალიან კარგი ადამიანია.

— მე თუ მკითხავ, ნუცა ხელიდან არ უნდა გაუშვა, — მოძინებით ისარგებლა ნინიმაც.

— რჩევისთვის დიდი მადლობა.

— არ დაუთმო იმ ლოტოს კოჭ მათეს! ხომ იცი, რომ ნუცას მარტო შენ უყვარხარ — განაგრძო ნინიმ.

— სულ დამავიწყდა — დედ-მამისგან წერილი ჩამოვივიდა. შაქროსთვის გამოუტანებათ, — სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა შალვა ბიძამ და კონვერტი გაუწოდა.

— რაო, რას იწერებინ?

— მე რა ვიცი?! — არ წამიკითხავს.

— წაგეკითხა მერე, ვინ დაგიშალა?

ნინიმ კონვერტი გაგლიჯა, მამის ნაწერი იცნო და სტრიქონებს უცხად გადაურბინა: „ჭრელიმ მშვენიერი ხბო მოიგო, თანაც საძროხე, ცქმუნა დავარქვით... დედაშენს შაკიკმა შემოუტია და ძლივს დააჩუნდეს... შაქროს ეზოში მდგარი ძველი ვაშლის ხე ქარმა მოტეხა და კინაღამ მისი ცოლი თინა დაიტანა“ და ა.შ. და ა.შ... წერილის ბოლოს მამა ნინის ანამუსებდა: „იმედი მაქვს, კარგად იქცევი და ბიძაშენს გულს არაფრით სტკენ“...

— მამაჩემი მოკითხვას გითვლის, — გადაულაპარაკა ნინიმ შალვა ბიძას, რაზეც ამ უკანასკნელმა, მადლობის ნიშნად, თავი უხმოდ დაუქნია.

ამის შემდეგ, ბევრი აღარ ულაპარაკათ. ნინიმ დაღლა მოიმიზეზა და სასწრაფოდ დაწვა, თუმცა ძილი არაფრით მიეკარა. თვალწინ სულ დიბო და მასთან გატარებული ერთადერთი ბედნიერი დღე ედგა, ხოლო ყველაფერი, რაც ამ დღის შემდეგ მის ცხოვრებაში მოხდა, ახლა ჭირივით სძულდა...

ნინის განსაკუთრებული ზიზღისა და სიძულვილის ობიექტი, ცხადია, გოგი ვორგილაძე იყო. თუმცა, მასზე ნაკლებად არც შეუშარეული გრიშა და მისი ნდომამდ-

გარი გამოხედვა ეჯავრებოდა. რესტორნის მაგიდებს შორის თეძობის რხევით „მოცქრაილე“ აჩიკოს გახსენებაზე კი, უბრალოდ, გული ერიოდა.

„მაგრამ არა უშავს, ხვალ ყველას სეირს გიჩვენებთ!“ — გულში დაექანა მათ ნინი და ბატონ გოგისთან ერთად რესტორანში წასვლაც საბოლოოდ გადაწყვიტა...

მეორე დილით სამზარეულოში მისულ ნინის ადგილზე მხოლოდ ნუცა დახვდა.

— დაბრუნდი? — ჰკითხა მან. — ძალიანაც კარგი.

მის მაგივრად რომ იმუშავა, ამაზე ნუცას ნინისთან სიტყვაც კი არ დასცდენია. „შალვა ბიძას რომ არ ეთქვა, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგებდი...“ — გაიფიქრა ნინიმ და ის იყო, ნუცასთვის რაღაც მადლობის-მაგვარი უნდა ეთქვა, რომ სამზარეულოში შეფი გამოჩნდა:

— ოჰო, ჩვენი დელოფალიც დაბრუნებულა, — ჩაიბუტყუნა მან. — ძალიანაც კარგი, აბა, სწრაფად, საქმეს შეუდექ!

სამზარეულოს მაგიდაზე მდგარი პლასტმასის მოზრდილი ჯვამი საგულდაგულოდ გაწმენდილ-გარეცხილი ბოსტნეულით იყო სავსე. ნინის მოვალეობაში, მათი „ვარდუბად“, „სპირალებად“, „ჩხირებად“ დაჭრა და მსგავსი „ბიჟუტერიით“ საღათებისა და გარნირების უზრუნველყოფა შედიოდა.

ნინიმ მანქანა ჩართო და ბოსტნეულის ჭრას ისეთი გამოიმეტყველებით შეუდგა, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ ამის კეთებაზე ოცნებობდა. ნუცამ მას ცოტა ხანს სევდიანად უცქირა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და სამზარეულოდან გავიდა.

საღამოს რვა საათისთვის, როგორც იქნა, ნინის ცვლა დასრულდა და ისიც მაშინვე შინისკენ გამოქანდა. ბატონ გოგისთან შეხვედრამდე ერთი საათილა რჩებოდა და ამ დროში მორთვა-მოკაზმვა ხომ უნდა მოესწრო.

შხაპის მიღებისა და საგულდაგულოდ შეღებვის შემდეგ, ნინიმ კომოდის ყველა უჯრა გულმოდგინედ გადააქოთა, მაგრამ რესტორანში ჩასაცემლად მაინც ვერაფერი იპოვა. ან კი, რაც არ ჰქონდა, რას იპოვიდა?! „რაც არის, არის — ისევ ჩემს საფირმო „შმოტკებს“ ჩაიცვამ!“ — გადაწყვიტა ნინიმ და არჩევანი იმ მინიბოლოკაბასა და გამჭვირვალე „ბლუზკაზე“ შეაჩერა, რომლის „მიზიდულობის ძალაც“, ასე თუ ისე, უკვე გამოცდილი ჰქონდა...

რესტორნის შესასვლელში შალვა ბიძა უწინდელივით საფირმო ნიშანივით იყო „გამოდგმული“. თუმცა, ნინიმ მოძინებით მაინც შეურჩია და სანამ ის რესტორნის მორიგ კლიენტს თავს უკრავდა, ქუჩის კუთხეში შეუმჩნევლად გაუჩინარდა.

ბატონი გოგის მანქანა უკვე ადგილზე

იყო, თუმცა, თავად რეჟისორი არსად ჩანდა. „ეტიყობა, კატისთვის ჩასახეთქს ყიღულობს“, – ბოლმინად გაიფიქრა ნინიმ და მალაზიის გამოდებულ კარში ბატონი გოგიც დაინახა. მას, მართლაც, კატების საკვებით სავსე რამდენიმე მოზრდილი პარკი ამოვიღლიავენბინა.

ბატონმა გოგომ პარკები საბარგულში დააბინავა, შემდეგ სივარეტი ამოიღო, მოუკიდა და აქეთ-იქით ყურადღებით მიმოიხედა. ნინი მამინვე კვლავს აკრა: „ამ ბებერ ხრონცს ცოტას კიდევ ვაცდევინებ; მაინტერესებს, რას იხამს...“

ამასობაში „ხრონცმა“ სივარეტი ბოლომდე მოსწია, ნამწვი პირდაპირ ტროტუარზე დააგდო, მოღური ფესსაცმლის წვერით გულმოღვინედ დააჭყლიტა და მანქანაში ჩავსდა.

„ერიკა! მგონი, ეს იდიოტი წასვლას აპირებს!“ – გაიფიქრა ნინიმ და სასწრაფოდ მანქანის წინ დაერჭო, თანაც, ისე აქოშინდა, თითქოს ეს-ესაა მოერბინა და სულს ძლივსდა ითქვამდა.

ბატონმა გოგომ ნინი თავიდან ბოლომდე ათვალიერ-ჩათვალიერა და უცბად გიჟივით ახარხარდა:

– არა, ეს უკვე მეტისმეტია! ამას მართლა ვეღარ გავუძლებ... – სულს ვეღარ ითქვამდა იგი.

– მორჩით სიცილს, თორემ აქედანვე სახლში წავალ! – კბილებში გამოცრა ნინიმ და რეჟისორს თვალი თვალში გაუყარა.

– კარგი, კარგი, მასატივი... – ბატონმა გოგომ სასწრაფოდ სერიოზული გამოუმეტყველება მიიღო, მანქანიდან გადმოხტა და ნინის წინა კარი გამოუღო: „დაბრძანდით, ქალბატონო!“

ნინი მანქანაში ჩავსდა, გვერდში მკვირცხელი ბიჭივით სწრაფად მოსკუბებულ ბატონ გოგის გვერდულად გახედა და გულში კიდევ ერთხელ დაეჭანა: „იციან ის, ვინც ბოლოს იციან, ბებერო! ასე რომ, ახლა ჩემი სიცილის დრო მოდის. ვერ აზრზეც არა ხარ, რა სპექტაკლი ველი...“

სპექტაკლის მოახლოებას ბატონი გოგიც აშკარად გრძობდა, თუმცა, მას ის სულ სხვანაირად წარმოედგინა და წინასწარვე ტკებებოდა. „არა, ისე, ამ ტუტუტს პატარა როლი იქნებ, მართლა მიეცე... – გაიფიქრა მან უცბად. – გავერთობი მაინც...“

ამასობაში რესტორნის შესასვლელს გაუსწორდნენ და ბატონმა გოგიც მანქანა მამინვე დაამუხრუჭა. შემდეგ მანქანიდან ისევ მკვირცხლად გადმოხტა და ნინის კარი გამოუღო: „გადმობრძანდით, ქალბატონო!“

ნინი რესტორნის კბეს ტაატით აუყვავა, თუმცა სულ მალე, აღელვებისგან გული ლამის, მაინც ყელში მოეზვიანა: ხუმრობა

საქმე ხომ არ იყო!? – როგორც იქნა, მისი სანუკუარი ოცნება ახდა და რესტორან „მირაჟში“ სავანშმოლ მართლა მიდიოდა. ოღონდ, სამწუხაროდ, გვერდით დიღო კი არა, თვით-კმაყოფილი და გაბლენილი გოგი გორგილაძე მიჰყვებოდა. ამის გაფიქრებაზე, ნინიმ მის გვერდით კიბეზე ამომავალ ბატონ გოგის აშკარა სიძულვილით გახედა და მამინვე ვიდაცის დაჟინებული მხერაც იგრძნო: კბის თავზე შალვა ბიძია იღვა.

შალვა ბიძიას თვალბეჭდში, გაოგნებასთან ერთად, რისხვაც იღვა. თუმცა, თქმით აჯჯვრდაც არაფერი უთქვამს: გოგი გორგილაძე ხომ რესტორან „მირაჟის“ მუდმივი და ძალიან სასურველი კლიენტიც იყო, შალვა ბიძია კი – მხოლოდ ერთი რიგითი კარისკაცი, რომელსაც პირველ რიგში, სწორედ ასეთი კლიენტების გულლიად მიღება ევალებოდა.

შალვა ბიძიას თავისი უპირველესი მოვალეობა არც ახლა დავიწყნია. ის კი არა და, ბატონ გოგის თავი ჩვეულებრივზე უფრო მოწინებითაც კი დაუკრა, სამაგიეროდ, ნინის ისეთი მომაკვდინებელი მხერა ესროლა, რომ ამ უკანასკნელს შიშით ტანში გაცრა.

შალვა ბიძიას დანახვაზე თავიდან, ბატონი გოგიც საკმაოდ დაინბა, მაგრამ შემდეგ, კარისკაცს მაინც მშვიდად მიესალმა, თუმცა, უწინდებურად შინაურულად მოკითხვა ნამდვილად ვეღარ გაუბედა.

რესტორნის დარბაზის ზღურბლთან მისული ნინი, უცბად დამფრთხალი შედგა და ირველივ ისე უმწოდ მიმოიხედა, თითქოს შველას ითხოვსო. იმწუთას, ნინის იქიდან უკანმოუხედავად მოკურცხვლა და შალვა ბიძიას ვიწრო ბინის კიდევ უფრო ვიწრო ნიშში განმარტობა, ალბათ, ყველაფერს ერჩინა, მაგრამ უკვე იმასაც ხვდებოდა, რომ ამიერიდან, უკან დასახვევი გზა მოჭრილი ჰქონდა... ამიტომ, რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ, პერი ერთი ღრმად ჩაისუნთქა, წელში გასწორდა და დარბაზში შეაბიჯა.

სანამ ბატონი გოგი რამეს შესთავაზებდა, ნინიმ იმარჯვა და მაინცდამაინც იმ მაგიდას მიუსკუპდა, რომელსაც აჩიკო უნდა მომსახურებოდა. აქედან ხომ დარბაზში გამომავალი ურმის თვალივით დაყოფილი ის უზარმაზარი ფანჯარაც კარგად მოჩანდა, საიდანაც დროდადრო, მალულად იჭყიტებოდა ხოლომე, ახლა კი, ალბათ, ფანჯარასთან გაოცებისაგან პირდაფერხილი შეფ-შხარული გრიმა იღვა... თუმცა, ნინი ამას ვერაფრით დაინახავდა, რადგან ფანჯარას დარბაზის მხრიდან ჩვეულებრივი მინების ნაცვლად, სარკები ჰქონდა ჩადებული, რომელშიც მხოლოდ ბროლის ჭადების შუქში ჩაძირული დარბაზის ინტერიერი ირეკლებოდა.

„არა უშავს, – გული დაიმშვიდა ნინიმ, – მე ვერ ვხედავ, მაგრამ გრიმა ხომ კარგად დამინახავს და გულიც გაუსკდება. მე კი მანამდე, აჩიკოს დაშოკილი „როჟის“ ყურებით გავერთობი...“

მაგრამ აჩიკო ვერ დარბაზში არ ჩანდა. „ეტიყობა, ბებერი ბოზების შეკვეთებს იღებს... – გაიფიქრა ნინიმ, ლამაზ ყდაში ჩასმული მენიუ ამაყად ჩამოართვა ბატონ გოგის, ფეხოტიკური სადილების ჩამონათვალს თვალით უცბად ჩამოურბინა და მოიღუშა.

– რა იყო, ვერაფერი შეარჩიე? – ჰკითხა ირონიულად მოლიმარმა ბატონმა გოგომ, რომელსაც ნინი უკვე აშკარად ართობდა.

ამასობაში დარბაზში აჩიკოც გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მაგიდებს შორის საკმაოზე ფართო გასასვლელივითაც კი იყო დატოვებული, მხარზე, ძვირფასი ჭურჭლითა და არანაკლებ ძვირფასი საჭმელ-სასმელით სავსე ლანგარშედგმული აჩიკო, მაგიდებს შორის მაინც ჟონგლიორივით დაირხეოდა და გზადგზა, სრულიად წარმოუდგენელ ზიგზაგზასაც ხაზავდა, – აქოლა, ყველამ შემომხედეთ, როგორი მოქნილი და ამ საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი ვარო.

აჩიკოს მანჭვა-გრეხას დარბაზში მყოფნი აშკარა მოწინებით და აღტაცებითაც კი ხვდებოდნენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ეს, აქ გამართული სპექტაკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

კარგა ხნის მანჭვა-გრეხის შემდეგ, აჩიკო, როგორც იქნა, ერთ-ერთ მაგიდასთან შედგა, მხარზე შედგმული ლანგარი მაგიდაზე მსუბუქად ჩამოგდა, წამში პირწმინდად დაცალა, შემდეგ სუფრასთან შეკრებით თავი მოწინებით დაუკრა და გაერიდა...

აჩიკომ ბატონი გოგი შორიდანვე შენიშნა, პირზე თავაზიანი ღიმილი აიწება და მამინვე მისი მაგიდისკენ „გამოცქრილადა“, მაგრამ შუა გზაში უცბად ისე შედგა, თითქოს ვიდაცამ იატაკს მიაღურსმაო და ბატონი გოგის გვერდით მჯდარ ნინის გაოგნებული დააშტერდა. ცნობილი რეჟისორის „ნორჩი მეზური“ აჩიკოს თითქოს, შორიდანვე ეცნო, მაგრამ მისი „ბოსტნეულის მჭრელ ლაწირაკ გოგოსთან“ გაიფიქრა მაინც არ იქნა: „წარმოუდგენელია, ის იყოს... ალბათ, რაღაც მომეჩვენა“, – თავი დაიმშვიდა მან და გზა განაგრძო, მაგრამ აჩიკოს „იმედინი სვლა“ დიდხანს აღარ გავრძელებულა და როგორც კი ბატონ გოგისა და ნინის მაგიდას მიაგდა, პირი ისე ფართოდ დაადო და გაშეშდა, რომ ნინიმ ერთი წამით ნამდვილად დაიჯერა, რომ სამუდამოდ ასე დარჩებოდა...

– რა იყო, აჩიკო? ვერ მიცანი? – თვალები ეშმაკურად მოწკურა ნინიმ.



— როგორ არა, გიცანი... — ამოიღულღულა აჩიკომ და მაშინვე დაღუძდა. „ყველაფერი გასაგებია, — გაითქრა მან, — ეს ტუტუცი, ამ ბებრუხუნას ნამდვილად ლოგინში ჩაუვარდა. მაგრამ პირადად მე, ეს ამბავი არანაირად არ მეხება და არც შემეხება... ამიტომ, ეს პატარა კახა ახლავე თავის ადგილზე უნდა მოვსვა, თორემ მერე გვიანდა იქნება...“

— მაშ ასე, — ნინიმ აჩის აზრების „მდინარე“ დროებით შეუფერხა, — მე ხბოს ჩახოხბილი მინდა...

— რა გინდა? — ჩაეკითხა აჩი.

— რა და ხბოს ჩახოხბილი... ჰო, მართლა, მერე მარწყვისმურაბიანი ნაყინი მოაყოლე... — შეკვეთა ბოლომდე დაუხუსტა ნინიმ.

აჩიკომ ნინის შეკვეთა ჩაინიშნა თუ არა, მაშინვე ზურგი შეაქცია და ბატონ გოგის მიუბრუნდა:

— თქვენ, ალბათ, როგორც ყოველთვის, ხორციანი სალათი, ხომ, ბატონო გოგი?

— ჰო, ჩემი აჩიკო, ოღონდ, დღეს არც ერთ-ორ ჭიქა არაფრე ვიტყვი უარს. ჩემს მშვენიერ თანამგზავრს კი, შეიძლება, შამპანური ეამოს...

— როგორც მიბრძანებთ... — ჩაიბურტყუნა აჩიკომ, ბატონ გოგის თავი მორჩილად დაუკრა და მაშინვე ადგილს მოსწყდა. თუმცა, ნინიმ გზაში მინც დააწია:

— „კუნხაში“ უთხარი, ჩახოხბილს პამიდორი არ დააკლონ!..

„ერთი ამას დამიხედე! — თავისთვის ბობოქრობდა სამხარეულოში მიმავალი აჩიკო.

— რამდენიმე დღის წინ, მეც კი ბოლომდე ვერ გადამეწყვიტა, ეს პატარა მაიუნე ერთხელ — და ისიც, მხოლოდ და მხოლოდ მრავალფეროვნებისთვის — ხომ არ „მეხმარა“-მეთქი, ამან კი, ვის დაუმიზნა?!“

აჩის ერთი სული ჰქონდა, ეს სახლე შეეშარეული გრიმასთვის შეეტყობინებინა და მისი რეაქციაც საკუთარი თვლით ენახა, რადგან იცოდა, რომ ნინიზე ამ ბღენძსაც ეჭირა თვალი, მაგრამ იმ მომენტში გრიმა სამხარეულოში არ აღმოჩნდა.

გოგი გორგელაძის გვერდით ახალი და თანაც, აგრეთვე ნორჩი საყვარლის გამოჩენამ რესტორნის პუბლიკა აშკარად დაინტრიგა. პირველი, მათ მაგიდას თუ მიუხალოვდა. ეს ის თუ იყო, რომელიც ნინის, პირველ რიგში, ლამაზი მარგალიტის მძივით დაამახსოვრდა.

თეოს ამჯერადაც ზუსტად ის მძივი ეკეთა, თუმცა, კბა უწინდელზე კიდევ უფრო ელეგანტური ეცვა და ტანზეც სრულიად უზადოდ ადგა.

— გოგი! განა ისეთი რა მოხდა, რომ ძველ მეგობრებს ვეღარ ამჩნევ?... — მიმართა თეომ ბატონ გოგის და სანამ ეს უკანასკნელი რაიმეს უპასუხებდა, ნინის მიუბრუნდა:

— მე მგონი, ჩვენ ერთმანეთს უკვე შევხვედრივართ, მაგრამ სად — სამწუხაროდ, ვერაფრით ვიხსენებ...

— სად და „კუნხაში“, — მშვიდად მიუგო ნინიმ.

— სა-ა-ად? — გაუკვირდა თეოს.

— „კუნხაში“... მე იქ ბოსტნეულის საჭრელთან ვდგავარ და „ვარდებს“, „სპირალებს“ და სხვა ათასნაირ სისულებეს ვჭრი...

— რა რომანტიკულია! ხომ მართალი ვარ, გოგი? — მიუბრუნდა თეო ბატონ გოგის, რომელმაც სიცილი ველარაფრით შეიკავა.

— ...მანამდე კი სამრეცხაოში ვმუშაობდი და გაქონილ ქვებებსა და ტაფებს ვრეცხავდი. აი, ეგ იყო, თუ იყო რომანტიკული... — მშვიდად განაგრძო ნინიმ საკუთარი „ნამსახურების სიის“ ჩამოთვლა.

— რას იზამ, ჩემო კარგო — შიმშილით კუჭი რომ აგეწვება, რას არ გააკეთებ?! თანაც, შენ ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი წინ გაქვს...

— თქვენ კი — უკან, იმიტომ, რომ საკმაოდ ბებერი ხართ... ყოველ შემთხვევაში, ჩემთან შედარებით... — ნინიმ დაინახა, თეოს სახე როგორ მოექცა და მაშინვე გამარჯვებულის იერი მიიღო.

— ნინი! — აღშფოთებისგან კინაღამ ფეხზე წამოხტა ბატონი გოგი. — დაფიქრდი, რაებს რომავ? იცი, რომ ქალბატონი თეო ცნობილი მსახიობია?!.

— ისე, მძივი მართლაც ლამაზი გიკეთიათ, — თითქოს ბატონი გოგის აღშფოთება საერთოდ არ შეუქმნევიაო, ისე „მოწყალედ“ შეაქო ნინიმ თეო.

თეომ საკუთარი მძივი ხელით ისე მოსინჯა, თითქოს ამოწმებდა, ნამდვილად ადგილზე იყო თუ არა.

— ...მაგრამ არა უმავს, — განაგრძო ნინიმ, — გავა დრო და ზუსტად ეგეთი მექნება...

— რას მეუბნები?! — ირონიულად გაეღიმა თეოს, რომელსაც თავის მძივში კარგა გვარიანი თანხა ჰქონდა გადახდილი...

— კი, ნამდვილად მექნება... თანაც, აუცილებლად — საკუთარი ფულით ვიყიდი... ოღონდ, ეს მხოლოდ მაშინდა მოხდება, როცა თქვენსავით დაგებრდები და ყელზე ნაოჭების დაფარვა დამჭირდება...

— ნინი, გაჩუქდი-მეთქი! — ისევ წამოიყვირა ბატონმა გოგომ.

— აცალე, გოგი, ილაპარაკოს! — მშვიდად გააწყვეტინა ბატონ გოგის თეომ და შემდეგ, ისევ ნინის მიუბრუნდა: — ჩემო კარგო, გულთ ვისურვებ, რომ იმ დროისთვის, როცა ჩემსავით დაგებრდები, იმდენი ფული მინც დააგროვო, რომ თუნდაც ერთი ასეთი მარგალიტის მძივის ყიდვა შეძლო...

პაექრობა, რომელმაც ნინიმ თეო გამოიწვია, აშკარად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა თეომ ლამის შეიღისტოლი გოგოს თავხედობის ატანა მეტად აღარ ისურვა და წასასვლელად მოემზადა:

— ნახვადის, გოგი. იმედია, შენს ნორჩ სატრფოსთან ჩინებულ საღამოს გაატარებ. — ამ სიტყვების შემდეგ, თეო მათ მაგიდას უხმოდ გაეცალა.

**გაგრძელება იქნება**

# დენტონ ლუისი „უდიდესი მოკრივე“ ბიზუელ ჟელთაძეს

ცოტა ხნის წინ, პარკინსონით დაავადებულიათვის კანადაში გამართულ სპეციალურ საქველმოქმედო ცერემონიაზე, ბრიტანელ სუპერმძიმეწონოსან მოკრივეს, მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლუისს თავად ლეგენდარულმა მუჰამედ ალიმ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და საამაყო ჯილდო გადასცა. „მე ვიყავი უდიდესი მოკრივე, მაგრამ ამჟამად აღარ ვარ, ახლა ლენოქს ლუისია უდიდესი მოკრივეც და ჩემპიონიც“, – განაცხადა კრივის ცოცხალმა ლეგენდამ და ლენოქსს გადასცა პრიზი, რომელიც თავადვე დააწესა. საქველმოქმედო ცერემონიაში, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა კანადაში, ყო-

ფილი სუპერმძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონები, ლარი ჰოლმსი და ევანდერ ჰოლიფილდიც მონაწილეობდნენ. ცერემონიის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, მუჰამედ ალისათვის დაუსვამთ შეკითხვა – მიიჩნევს თუ არა იგი პარკინსონის თავის „ყველაზე მრისხანე მეტოქედ“? – რაზეც ლეგენდარულ მოკრივეს უპასუხია, რომ მისთვის „ყველაზე მრისხანე მეტოქე“, პირველი ცოლი იყო...



## მუჰამედ ალისთან ერთად




მსოფლიოს „უდიდესი მოკრივის“ ტიტულის მფლობელი, ლენოქს ლუისი კი, ძაღების მოსინჯვას ორთაბრძოლის სხვა სახეობაშიც აპირებს და როგორც ჩანს, ამ გზით თავისი კაპიტალის გაზრდა განუზრახავს: ცოტა ხნის წინ, ლუისის გარემოცვას ფარული მოლაპარაკება გაუმართავს რესტლინგის ფედერაციის (WWE) წარმომადგენელ ვინს მაკმაჰონთან, რომელიც ბრიტანელ მოკრივესა და რესტლინგისტთა „რინგის მეფის“ ტიტულის წლებად მფლობელ, ბროკ ლესნარს შორის ორთაბრძოლის გამართვას ეხებოდა. ლენოქს ლუისსა და რესტლინგის ფედერაციას შორის, ჯერ არავითარი კონტრაქტი არ გაფორმე-

ბულა, მაგრამ უკვე გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ბრიტანელი მძიმეწონოსანი, ლესნართან ორთაბრძოლის გამართვაში სულ მცირე, 7,5 მილიონ დოლარს მოითხოვს. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად და როდის გაიმართება ეს ორთაბრძოლა. გაურკვეველია აგრეთვე წესებიც, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს „უდიდესი მოკრივე“ და რესტლინგის „რინგის მეფე“ შეერკინებიან ერთმანეთს. თუმცა პროფესიონალური კრივის სამყაროში უკვე იმედოვნებენ, რომ თუ აღნიშნული კონტრაქტი შედგა, მაშინ ლუის-ლესნარის ორთაბრძოლამ აუიოტაჟის მხრივ შეიძლება მიმდინარე წლის 8 ივნისს გამართული ლუის-ტაისონის მატჩიც კი დაჩრდილოს. ■

## ბაიონი „უაჰ ჰაჰაინ“ უაჰაილვა

საზოგადოებრივ-სკანდალურ „მოღვაწეობაში“ გართული „რკინის მაიკი“ რინგზე „შავი კამეჩის“ სახელით ცნობილ კლიფორდ ეტენს შეხვდება. ამის შესახებ უკვე განაცხადა პრომოუტორმა და მომავალი მატჩის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, დონ ჩერჯინმა. ტაისონის გარემოცვასთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, ჩერჯინმა აღნიშნა, რომ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე „რკინის მაიკსა“ და „შავ კამეჩს“ შორის ორთაბრძოლა 15 დეკემბერს საკრამენტოს Arco Arena-ზე გაიმართება. საკრივო პრომოუტორმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სკანდალისტ ტაისონს მატჩის კალიფორნიაში ჩატარებაზე ლიცენზიას ნამდვილად არავინ მისცემს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე მსოფლიოს ექსჩემპიონი სამაგალითოდ იქცეოდა. ■



## ჯოჯო თაბი ბიზუელ ლიზა

ამერიკელმა უილიამ ჯოჯიმ იაპონელ ნაოტაკი ჰოცუმიისისთან ორთაბრძოლისას საშუალო წონით კატეგორიაში (72,574 კგ-მდე) WBA-ს (კრივის მსოფლიო ასოციაციის) ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ქამარი შეინარჩუნა. ორთაბრძოლა 10 რაუნდი გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე ჯოჯი აშკარა უპირატესობას ფლობდა. მე-10 რაუნდში კი – მას შემდეგ, რაც ამერიკელმა იაპონელს მეტისმეტად მწვავედ შეუტია, მსაჯები იძულებულნი გახდნენ, ორთაბრძოლა შეეჩერებინათ და გამარჯვებულად უილიამ ჯოჯი გამოეცხადებინათ. გაცნობებთ, რომ 32 წლის უილიამს სულ ჩატარებული 37 ორთაბრძოლიდან, 34 აქვს მოგებული, აქედან 25 – ნოკაუტით. ■





# შემასხები გაძუბრეს

მონაკოში ინგლისელი საბანკო მოხელის, სტივენ ტროტის სასამართლო განხილვა დაიწყო. მას თავისი კლიენტების ანგარიშებიდან 20 მილიონი დოლარის მითვისებაში ედება ბრალი. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულთა შორის „ფორმულა 1“-ის ავტორბოლებში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მიხაელ შუმასერიც მოხვდა. ტროტის საბანკო-საფინანსო დარღვევები აუდიტორთა საერთაშორისო სამსახურმა აღმოაჩინა. მანამდე კი, ინგლისელი ბანკირის არც ერთ კლიენტს აზრადაც არ მოსვლია, რომ თაღლითთან ჰქონდა საქმე და ბანკში მის მიერ შეტანილი თანხა, გაზრდის მაგივრად, თანდათან მცირდებოდა. სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, დანაშაულისკენ თავად ბანკის კლიენტთა ფუფუნებისკენ მიდრეკილებამ უბიძგა: მათი განცხრომით ცხოვრების შემხედვარეს, საკუთარი თვითმფრინავებისა და ორჩხომელების ქონის დიდი ცდუნებისათვის ვეღარ გაუძლია და საწადელის ასასრულებლად თაღლითობისთვის მიუმართავს.



# ბრუტბრის დამცატრმა თტანგუმს ადამიანის სიცტცხლის თასად დარჯდით



ცოტა ხნის წინ, ფრანგმა ლოიკ ლეფერმმა წყლის სიღრმეში ყვინთვაში კუბელი ფრანსისკო ფერერასის რეკორდი გაიმეორა. მან აკვალანგის გარეშე, ხმელთაშუა ზღვაში, ნიცასთან 162 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა და მოძრაობის სინქარის გასაზრდელად სიმძიმე გამოიყენა. ლეფერმმა სპეციალური აღჭურვილობა გამოიყენა აგრეთვე სიღრმი-

დან წყლის ზედაპირამდე სწრაფად ამოსასვლელად, თუმცა მან წყლის ქვეშ მანც სამწუთ-ნახევარზე მეტხანს დაყო. 32 წლის ლოიკ ლეფერმს ადრე ანალოგიური ჩაყვინთვა ორჯერ ჰქონდა შესრულებული. წინა ცდაზე მან მხოლოდ 154 მეტრის სიღრმეზე ჩასვლა შეძლო. აღსანიშნავია, რომ ლეფერმის მიერ ნიცასთან განხორციელებულ ჩაყვინთვამდე, ფრანსისკო ფერერასის მიერ დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება დომინიკელთა რესპუბლიკის სანაპიროსთან მისმა ფრანგმა მეუღლემ, ოდრი მესტრემ სცადა. კერძოდ, მესტრეს 171 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთვა სურდა. ქალთა და მამაკაცთა შორის მსოფლიო რეკორდის დამყარების მცდელობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ჩაყვინთვიდან ცხრა წუთის შემდეგ, ოდრი მესტრეს უსიცოცხლო სხეული პროფესიონალმა მყვინთავებმა წყლიდან ამოიტანეს. ჯერჯერობით უცნობია 28 წლის მესტრეს დაღუპვის ზუსტი მიზეზი. გაურკვეველია ისიც, შეძლო თუ არ მან ზღვის ზედაპირიდან 171 მეტრის სიღრმეზე ჩაღწევა. მიუხედავად ამისა, მყვინთავთა საერთაშორისო ასოციაციამ, კარიბის ზღვაში ტრაგიკულად დაღუპულ ოდრი მესტრეს, 170 მეტრის სიღრმეზე მყვინთავ-რეკორდსმენის სტატუსი მანიც მიანიჭა. შარშან, 19 მაისს ოდრი მესტრემ ქალთა შორის „თავისუფალ ყვინთვაში“ რეკორდი ფლორიდის სანაპიროსთან დაამყარა. მაშინ, აწ გარდაცვლილმა ფრანგმა მყვინთავმა წყლის ზედაპირიდან 130 მეტრის სიღრმეზე ჩასვლა შეძლო.

# მატცინა ჰინგისი თამამს წყუცს

ქალ ჩოგბურთელთა შორის მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, მარტინა ჰინგისმა WTA-ს (ჩოგბურთის მსოფლიო ასოციაცია) ტურნირებზე თავისი გამოსვლების შეწყვეტის შესახებ აუწყა სპორტულ საზოგადოებრიობას. შვეიცარიულ სპორტსმენს არ დაუკონკრეტებია თარიღი, როდესაც იგი აქტიურ სპორტს დაუბრუნდება. თუმცა, ხაზი გაუსვა იმას, რომ წლის ბოლომდე კორტზე გამოსვლას აღარ აპირებს. „მინდა, ჩემს მომავალზე ვიფიქრო, ამიტომ, ტაიმაუტს ვიღებ“, – განაცხადა მარტინა ჰინგისმა, რომელიც ტრავმის გამო ხანგრძლივი იტულებითი შესვენების შემდეგ, კორტზე ცოტა ხნის წინ დაბრუნდა (მარტინამ მაისში გაიკეთა მუხლის ოპერაცია) და არცთუ ისე შედეგიანად ასპარეზობდა: აშშ-ის ღია ჩემპიონატზე, მარტინამ მეოთხე წრეში მონიკა სელეშთან წააგო, კრემლის თასზე მას ნაღვედა პეტროვამ სძლია, ხოლო ფილდერშტადტის ტურნირზე – ელენა დემენტიევამ. ამის შედეგად WTA-ს მიერ 14 ოქტომბერს გამოქვეყნებულ რეიტინგში, შვეიცარიელი ჩოგბურთელი მხოლოდ მე-11 ადგილზე აღმოჩნდა და ამ მაჩვენებლით მან პირველად დაარღვია ბოლო ექვსი წლის სარეიტინგო „ტრადიცია“, რომლის მიხედვითაც, აუცილებლად პლანეტის საუკეთესო ქალ ჩოგბურთელთა პირველ ათეულში ხვდებოდა.



დასაწყისი იხ. „გზა“, №43

**7** რთი საათის შემდეგ მილიციის უფროსმა მაგიდის უჯრიდან ახალი საქალაქე ამილიო, კაპანაძის მოკვლეული მასალები, ორად ორი ფურცელი და მკვლელობის იარაღი ჩაღო და კანკაპაძეს მიუბრუნდა.

— აბა, როგორაა საქმე? დაამთავრეთ?  
— დაგხატე. ზუსტად გამომივიდა, — უპასუხა მოხუცმა. — ეს ერთი, პორტრეტია — სანამ შემომაკვდებოდა, — მეორე კი, სიკვდილის შემდეგ, მორგში, წარმოსახვით დაგხატე.

— მორგში? — იკითხა უფროსმა. — ბიჭო, ერთი მორგში დარეკე და იკითხე, საძილეარტერიაგადაჭრილი გვაძი ხომ არ მოუტანიათ დღეს, — გასძახა მორიგეს მილიციის უფროსმა.

მერე ორივე ნახატი კარგა ხანს ათვალიერა, საქალაქეში ჩაღო, შეკრა და ზემოდან მსხვილი ასოებით დააწერა: №1066 საქმე. „კანკაპაძის საქმე“.

— არაო, უფროსო. დღეს არც ერთი გვაძი არ შემოსულაო, — მოახსენა მორიგე მილიციელმა.

— გასაგებია, რომ არაფერიც არ არის გასაგები, — ამოიხრა მილიციის უფროსმა. — წარბანდით, ამხანაგო, სახლში. არა — გირჩევთ, ჯერ ექიმთან, ფსიქიატრთან მიხედეთ. თუ საჭირო შეიქნა, გამოვიძახებთ. მისამართი ხომ ჩაიწერე? — გასძახა კაპანაძეს დერეფანში.

— ყველაფერი მანდ წერია, უფროსო! მოხუცი წავიდა.

სამი დღის შემდეგ, რკინიგზის მილიციის უფროსი სამსონ ფოფხაძე, სამსახურში დღის 9 საათზე გამოცხადდა, სავარძელში გადაწვა, სათვალე მოირგო და ახალი გაზეთი, „კომუნისტი“ გადაშალა. მეორე-მესამე გვერდს ზერელედ გადაავლო თვალი და კრიმინალური ქრინიკის კითხვას შეუდგა. უცებ, მისი ყურადღება ერთმა ინფორმაციამ მიიპყრო. წაიკითხა, წამოდგა, სათვალე მოიხსნა, ისევ გაიკეთა და ხელახლა წაიკითხა: „18 ივნისს, სუთმაბათს, 17 საათსა და 20 წუთზე, დღისით, მზისით, ხალხის თვალწინ, ქუთაისის რკინიგზის სადგურის მოსაღებელში მოხდა საზარელი მკვლელობა. დაუდგენელმა პირმა, დანის საძილე არტერიამ ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა 80 წლის მოხუცი (პირადობის მოწმობის მიხედვით — მოქ. გრიშა ცარცია). მკვლელობის იარაღი ამოღებული არ არის. მიმდინარეობს გამოძიება. ბოროტმოქმელთა ფესქვემ მიწა უნდა იწვოდეს!“

— კაპანაძე! ღონდაძე! — იყვირა მილიციის უფროსმა.

წუთი არ იყო გასული, რომ მის კაბინეტში თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა ორივე

# სვის მოციქული

## თამაზ ქორქოლიანი

მილიციელი.

— გისმენთ, უფროსო, რაშია საქმე?

— კოლიას დაუძახეთ, არზიანს, — მოიკითხა ფოფხაძემ თავისი მოადგილე.

— ამხანაგი არზიანი შვებულებაშია, უფროსო.

— ჰო, დამავიწყდა. დამავიწყებოდა, აბა რა... ამის წამკითხავს, — თქვა და გაზეთზე მიუთითა. — აი, ეს წაიკითხეთ.

— ხომ გითხარით, უფროსო, არ უნდა გაგვეშვა. ხედავ? ქუთაისში მოუკლავს კაცი, — თქვა კაპანაძემ და გაზეთი ახლა ღონდაძეს გადააწოდა.

— ვაა! მართლა არ უნდა გაგვეშვა, უფროსო, — თქვა გაკვირვებულმა ღონდაძემ.

— ვაი თქვენს პატრონს!.. — თქვა მილიციის უფროსმა, რომელსაც რამდენიმე დისციპლინარული სასჯელი ჰქონდა მიღებული ხელქვეითებთან უხეში მოპყრობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის. ამიტომაც, თავის დაზღვევის მიზნით, ხმაში ირონია გაურია და იკითხა:

— რამდენი კლასის განათლება გაქვს, კაპანაძე?

— შვიდი კლასის.

— შენ, ღონდაძე?

— მეც შვიდი კლასის. რამდენჯერ გითხარით, უფროსო.

— ესე იგი, ორივეს ერთად თოთხმეტი კლასის, არა? ჰოდა, ეს თოთხმეტი კლასი არ არის საკმარისი — მილიციაში სამუშაოდ, სულ მცირე, თერთმეტი კლასი მაინც არის საჭირო და ისიც, თითო კაცზე, გაიგეთ? იცით, რატომ? რომელ საათზე მოხდა მკვლელობა? ღონდაძე, რა წერია გაზეთში?

— 18 ივნისს, 17 საათსა და 20 წუთზე. ემთხვევა, უფროსო.

სამსონ ფოფხაძემ საქალაქე გამოიღო და გაშალა.

— რა გიწერიათ აქ, ღონდაძე? კანკაპაძე 18 ივნისს, სუთმაბათს, 17 საათსა და 25 წუთზე გამოცხადდა ბრალის აღიარებითი, ხომ?

— დიას, უფროსო.

— ესე იგი, მკვლელობიდან სუთი წუთის შემდეგ. ის კაცი ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. მკვლელობა კი, ქუთაისში, აქედან 250 კილომეტრის დაშორებით მოხდა. როგორ? მოკლა და ელვის



სისწრაფით გამოფრინდა? თუ ერთსა და იმავე დროს, ერთ ადამიანს ორ ადგილას ყოფნა შეუძლია? პირიქით, მიუხედავად აღიარებისა, კანკაპაძის თბილისში ყოფნა იმაზე მეტყველებს, რომ იგი ქუთაისში მკვლელობას ვერ ჩაიდენდა. ალიბი ჰქვია ამას, ღონდაძე, გაიგეთ?

ღონდაძემ და კაპანაძემ ერთნაირად გაიღიმეს და სინქრონულად დაუქნიეს თავი.

სამსონ ფოფხაძემ კი ტელეფონის ყურმილი აიღო და ქუთაისის რკინიგზის მილიციის უფროსს დაუკავშირდა. მკვლელობის დროის დაზუსტება და მოკლულის ფოტოსურათების სასწრაფოდ გამოგზავნა სთხოვა. მერე საქალაქე კაპანაძეს გადასცა და უბრძანა:

— ახლავე ამოწერე მისამართი და იმ კაცის გარეშე თვალით არ დამენახოთ არც ერთი!

მილიციელებმა საქალაქე გაშალეს, კარგა ხანს ეძებეს მისამართი და ისევ ერთმანეთს დაამტერდნენ.

— უფროსო, მისამართი აღარ წერია.

— რაო?! — იღრიალა სამსონ ფოფხაძემ. — როგორ თუ არ წერია?! აკი, ჩავიწერეთ?

— ჩავიწერე, უფროსო, უფრო სწორად — თვითონ ჩაწერა, მოკვლევის ოქმს ხელს რომ აწერდა, მაშინ; პასპორტს შევეუდარე, ზუსტად ის იყო.

— ჩაწერე თუ ჩაწერა, სად ემშაკებშია გაქრა?

— აი, ამ ადგილას ეწერა, უფროსო. ხელმოწერა არის, მისამართი კი გამქრალა, — თქვა კაპანაძემ და ფურცელი გაუწოდა.

— დიდება შენდა, ღმერთო!.. ადგილია გამოტოვებული, თითქოს მართლა რაღაც ეწერა და წაშლილია... მაგრამ როგორ?.. სიფხის გასაღები ხომ მართლ მე მაქვს!? — თქვა ჩურჩულით სამსონ ფოფხაძემ და ჩაფიქრდა. „კირონის“ რომ აუფეცი და მარჯვნივ შევეუხვიე, კლარა ცეცკინის ქუჩაზე... ჰო, ჩუღურეთში, კლარა ცეცკინის ქუჩაზე ვცხოვრობო, ასე არ თქვა?

– დიას, უფროსო, – კვერი დაუკრეს გახარებულმა მილიციელებმა, – კლარა ცეტკინზე ვცხოვრობო.

– ჰოდა, წადით მილიციის რაიგანყოფილებაში, ამოიღეთ ფორმა ნომერი პირველი, დაადგინეთ ყველა მონაცემი და სასწრაფოდ დაბრუნდით.

როცა მილიციელები გავიდნენ, სამსონ ფოფხაძემ კანკავადის ნახატი ამოიღო და კიდევ ერთხელ დაათვალიერა. რაღაც უჩვეულო და შედარებით გაფერმკრთალებული მოეჩვენა. მერე გაშლილი ჯიბის დანა ამოიღო საქაღალდედნ. დანას პირი თითქმის გალეოდა ლევისივანს. იმ ადგილას, სადაც პირი უნდა ჩაეკეცილებოდა, რაღაც მუქი მასა ჩამხმარიყო. დანა, ფურცლები და მთლიანად საქაღალდე საშინლად ყარდა. საქაღალდის ზონრები შეკრა და სეიფში შეინახა.

ორი საათის შემდეგ, ღონდაძე და კაპანაძე დაბრუნდნენ და უფროსს უპატაკეს: – ერასტი კანკავადის ფორმა ნომერი პირველი, რაიონის მილიციაში არ აღმოჩნდა, უფროსო. სულ გადავქექეთ იქაურობა. თუ გნებავთ, საპასპორტოს უფროსს დაურეკეთ.

– მაშასადამე მოგვატყუა. დოცლაპიასავით გაგვაცურა სამი კაცი.

– არა, ამხანაგო უფროსო! კარგად მახსოვს – პასპორტს რომ ვუდარებდი, კლარა ცეტკინი ეწერა. ნომერი კი, ვერაფრის დიდებთ ვერ გავიხსენე, – უპასუხა კაპანაძემ.

– აბა, გავარდით ახლა სამისამართო ბიუროში და თუ ვინმე ერასტი კანკავაძეა საქართველოში, საათ-ნახევარში ყველას მისამართი აქ იდოს, აი, ამ მაგიდაზე! – დაარტყა ხელი სამსონ ფოფხაძემ საწერ მაგიდას.

როცა ღონდაძე და კაპანაძე დაბრუნდნენ, კარგა ხნის მოსაღამოებული იყო.

– ხუთი ერასტი კანკავაძე ყოფილა, უფროსო, საქართველოში. მათგან ერთი მართლაც თბილისში, კლარა ცეტკინის №49ბ-ში ცხოვრობს, წლოვანებაც ემთხვევა.

– მაჩვენე! – თქვა მილიციის უფროსმა და ბლანკს დახედა. – ჰო, ეს უნდა იყოს. 80 წლის ვარო, ასე არ თქვა?

– დიას, უფროსო!

– ამჯერად სამივე ერთად წავიდეთ კლარა ცეტკინის 49ბ ნომერში. ხელბორკილები წამოიღე, ღონდაძე!

– არის, უფროსო!

ის-ის იყო, სამსონ ფოფხაძე წამოიღა და გასვლას აპირებდა, რომ კაბინეტში რკინიგზელისფორმიანი მაღალი კაცი შემოვიდა.

– ამხანაგი ფოფხაძე, რკინიგზის მილიციის უფროსი თქვენ ბრძანდებით? – სამხედრო ყაიდაზე შეეკითხა მოსული.

– მე გახლავართ! – უპასუხა ფოფხაძემ.

– ქუთაისის რკინიგზის სადგურის მილიციის უფროსმა, ამხანაგმა ამბროსი ჭეიშვილმა თქვენთან ეს პაკეტი გამომატანა, – რკინიგზელისფორმიანმა ჩანთიდან სქელყდიანი ჟურნალი ამოიღო, გამალა და ფოფხაძეს მიუთითა – ხელი მოაწერეთ პაკეტის ჩაბარების აქტზე. სამსონ ფოფხაძემ დალუქული პაკეტი ჩამოართვა, ხელი მოუწერა და კარამდე მააცილა რკინიგზელისფორმიანი. მერე მობრუნდა და ფრთხილად მიუახლოვდა მაგიდას. აკანკალებული ხელით პაკეტი აიღო, მოამტვრია ღლეჭი, გახსნა, ორი ფოტოსურათი ამოიღო, დახედა და სავარტელში ჩაესვენა.

– კაპანაძე! კაპანაძე! გააღე სეიფი! ღონდაძე, წყალი მომიტანე! – იყვირა გაფითრებულმა.

კაპანაძემ სეიფი გააღო და საქაღალდე გამოიღო.

– ის არის, ის! რა ხდება, რა საოცრებაა? შეხედეთ, როგორ ემთხვევა, ზომთაც კი ერთნაირია, – ჩურჩხულვდა ფერმიხდილი ფოფხაძე და საქაღალდეს ხსნიდა.

კაპანაძე და ღონდაძე ჯერ სურათებს დაამტვრდნენ, მერე ნახატებს და პირველად ინანეს, ოდესღაც მილიციაში რომ დაიწვეს მუშაობა: კანკავადის შესრულებული ნახატები, თითქოს სურათებიდან იყო გადმოხატული, ისე ემთხვეოდა ერთმანეთს... უფროსმა წყალი დალია, სული მოითქვა და – პაკეტში თუა კიდევ

რაიმეო? – იკითხა.

– ერთი ფურცელია ნაწერი, უფროსო. – მოძეცი!

„მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა (ეს ჯერ კიდევ გასარკვევია) მოხდა თბილისის დროით 17 საათსა და 20 წუთზე, ქუთაისის რკინიგზის სადგურის მოსაცდელში. მოწმე – ალექსანდრე მარდალეიშვილი სოფელ მალაქის კოლმეურნეობის მერგოლური ამტკიცებს, რომ გარდაცვლილს არავინ მიჰკარებია, იგი თავისთვის ივღა განაპირა ძელსკაშზე მარტოღმარტო. უცებ, იყვირა და მისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოხტა. ამავე დროს, მარდალეიშვილმა დაინახა, რომ სისხლი შადრევანივით ასხამდა კისრის გადაჭრილი ძარღვიდან. ამასვე ადასტურებენ ვენერა შუბლიძე – სოფ. დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ქიხსამკითხველოს გამგე და სხვა მოწმეებიც, რაკი მოწმეებს არავინ დაუნახავთ დაზარალებულის სიხსლოვეს, გამოძიებელი უმანგ თარგამაძე მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, ე.ი. გარდაცვლილს საძილე არტერია თვითონ, თავისით გაუსკდა. ამ აზრს კატეგორიულად არ იზიარებენ პათანატომი, ექიმი ვალოდია ლეჟავა და ექსპერტი, სურათიონ კაკაურიძე. მათი აზრით, საძილე არტერია გადაჭრილია ბასრი პირის მქონე საგნით, შესაძლებელია – დანით, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი. ვერჯერობით ამაზე მეტი ვერაფერი გავარკვეით. პატივისცემით, მილიციის მაიორი ამბროსი ჭეიშვილი“.

– საოცრებაა! – თქვა მილიციის უფროსმა, როცა წერილი გადაიკითხა. – თავიდან შეთქმულების გაკეთებული მეგონა – ერთმა ქუთაისში კაცი მოკლა, მეორემ – თბილისში დაიბრალა-მეთქი, კვალის არევის ან რაღაც სხვა მიზნით, მაგრამ... წარმოუდგენელია – ქუთაისში გვამა და მკვლეელი არამტოუ ვერ უპოვიათ, არავის დაუნახავს, თბილისში კი, მკვლელობიდან 5 წუთის შემდეგ, დანამაულის აღიარებით გამოცხადდა მკვლეელი. დიდება შენდა, ღმერთო! – სამსონ ფოფხაძემ ისევ მოითხოვა წყალი, დალია და ოდნავ დაშვებდა.

რა დრო შეარჩია არზიანმა შევებულებითვისო... – ჩაბურტყუნა და უცებ, სახე გაუნათდა. – სურათები და წერილი საქაღალდეში ჩააწყო და სეიფში შეინახა.

– პროკურატურაში, საგანგებო საქმეთა გამოძიებულ მოდებამქს დაუკავშირდით და დამალაპარაკეთ, – გასცა მან ბრძანება.

– რა მოხდა? რა ხმა გაქვს? რა დაგემართა? – ეკითხებოდა მოდებამქს ტელეფონით სამსონ ფოფხაძეს.

– სასწრაფოდ გამოდი! იქნებ, შენ გაურკვევ ამ ოხერ საქმეში, მე არ შემიძლია. გელოდები, – მოკლედ მოუჭრა მილიციის უფროსმა.

დასასრული შემდეგ ნომერში



# „ჰიმიუმის“ ედასის ხოსტეხი



აშშ-ში BMW-ს ახალი როდსტერის – Z4-ის გაყიდვა დაიწყო. ბავარიული კონცერნისთვის ჩრდილოეთამერიკული ბაზარი ამ სპორტული ავტომობილის გასაღების მთავარ ასპარეზს წარმოადგენს, ამიტომ მშობლიურ გერმანიაში მომხმარებელთათვის მის შეთავაზებას დილერები მხოლოდ გაისად, გაზაფხულზე შეძლებენ.

დიზაინი Z4 შესამჩნევად განსხვავდება თავისი წინამორბედი – Z3-ისაგან და კონცეპტუალურ Z9-ს მოგვაგონებს, რომელიც ფრანკფურტის შარშანდელი ავტოსალონის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ექსპონატს წარმოადგენდა. ძარის მოყვანილობა აღარ არის აღრინდელივით

მომრგვალებული, რის გამოც ავტომობილი უფრო აგრესიულად გამოიყურება. შეიცვალა გაბარიტებიც: Z4 5 სმ-ით გრძელი და 4 სმ-ით განიერია. Z3-თან შედარებით, რომელსაც „ბე-ემ-ვე“-ს მე-3 სერიის ხელსაწყოთა პანელი ჰქონდა, Z4-ისთვის ახალი პანელი დამზადდა: ხელსაწყოები კლასიკური სტილისა და მოდერნის საუცხოო შერწყმას წარმოადგენს, საჭე კი დაპატარავდა და უფრო სპორტული გახდა.

Z4 ღია ავტომობილია, მას რბილი, ასაკეცი სასურავი აქვს. საბაზო კომპლექტაციაში ეს ოპერაცია ხელით სრულდება, მაგრამ დამატებითი თანხის საფასურად, სასურავი

ელექტროამძრავით აღიჭურვება. ასეთ შემთხვევაში, სასურავის გაშლა და აკეცვა სულ რაღაც 10 წმ-ს გასტანს. აკეცილი სასურავი ძალზედ მცირე ადვილს იკავებს და ამის წყალობითაც, Z4-ს როდსტერისთვის საკმაოდ ტევადი საბარგული აქვს – ის 240 ლ-ს შეადგენს.

მანქანა ორი 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავითაა აღჭურვილი – 2,5 და 3 ლ სამუშაო მოცულობისა. სამლიტრიანი ძრავა 100 კმ/სთ სიჩქარეზე მანქანას 5,9 წმ-ში „გაარბენინებს“, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, ხელოვნურადაა შეზღუდული 250 კმ/სთ-მდე.

ახალი ავტომობილის სხვადასხვა მოდელირების ფასი 35.000-დან 41.000 ევრომდე (ევროპულ მომხმარებელთათვის) ეღირება. ეს საბაზო კომპლექტაციის ფასებია. სასურავის ელექტროამძრავით, სანავიგაციო სისტემით, კლიმატ-კონტროლიანი კონდიციონერით, ტყავის სალონითა და ავტომატურ გადაცემათა კოლოფით Z4-ის აღჭურვა ავტომოყვარულს 50.000 ევროზე მეტი დაუჯდება.

## Seat-ის ახალი სედანი

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალი ესპანური კომპანია „სეატი“ პარიზის მონაგალ ავტოსალონზე თავის ახალ მოდელს – Cordoba-ს წარმოადგენს. ეს უკვე ცნობილი ჰეჩბეკის – Ibiza-ს ბაზაზე შექმნილი სედანი იქნება. „კორდობა“ სამი ბენზინისა და ორი დიზელის ძრავით იქნება აღჭურვილი, მათი დიაპაზონი 64-დან 130 ცხ.პ-ს შორის მერყეობს. როგორც ვარაუდობენ, 64-ძალიანი მოდელი ევროპაში 12.700 ევრო ეღირება, საუკეთესო – 1,9 ლ-იანი, 130-ძალიანი კი – 18.600. ესპანურ ბაზარზე „კორდობა“ უკვე წლეულს გამოჩნდება, ევროპის სხვა ქვეყნებში კი – 2003 წლის დასაწყისში. საერთოდ, „სეატის“ პროდუქციაში ყველაზე პოპულარული ახლა სპორტული ავტომობილი Leon Cupra R-ია. ამ მანქანის რეალიზაცია წლეულს ინვარში დაიწყო და უკვე შეიძლება ითქვას, რომ „ლეონის“



ფასი კარგადაა შეთავსებული მის ხარისხთან. მოდელი 4-ცილინდრიანი, 1,8 ლ მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი. მისი სიმძლავრე 210 ცხ.პ-ა, მაქსიმალური სიჩქარე – 237 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი

7,2 წმ-ში ავითარებს. Leon-ი 26.760 ევრო ღირს, რაც საკმაოდ იაფია პრესტიჟული ფირმების მიერ წარმოებულ იმ ავტომობილებთან შედარებით, რომელსაც ანალოგიური ღირებულება ახასიათებს.

# უნივერსალური Accord Tourer-ი

იაპონურმა ფირმა Honda-მ მოდელ Accord-ის ბაზაზე ახალი უნივერსალური გამოუშვა. ახლა მანქანას Tourer-ი ეწოდება („აკორდის“ ბაზაზე ადრე შექმნილ უნივერსალს Aerodeck-ი ეწოდებოდა). ავტობაზარზე ეს მანქანა 2003 წლის გაზაფხულზე გამოჩნდება. კონსტრუქტორებმა მოახერხეს, ორგანულად შეერწყათ უნივერსალის მრავალფუნქციონალობა და მოხდენილი დიზაინი. ახალი „აკორდის“ საბარგული 576 ლ-ს აღწევს, აკეცილი უკანა სავარძლის შემთხვევაში კი – 921 ლ-ს. მანქანა ორი ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი – 2 ლ-იანი, 155 ცხ.ძ-იანი და 2,4 ლ-იანი, 190 ცხ.ძ-იანი. საბაზო კომპლექტაციაში შედის: კონდიციონერი და ორივე უკანა კარის



გასაღები ავტომატური ამძრავი. Honda Accord-ის ამკამინდელი სამოდელი რიგი მეშვიდეა. წინამორბედი – მე-6 სერიისგან განსხვავებით, „აკორდი“ უფრო

სპორტული გახდა. გაძლიერდა მისი ძრავის სიმძლავრე, გაუმჯობესდა დინამიკა. ფირმის შესწავრები დაუფარავად ამბობენ, რომ მიზნად ისახავენ, ბაზარზე ისეთი მოღური ავტომობილის შევიწროებას, როგორცაა Alfa Romeo-ს მოდელი Alfa 156.

Tourer-ის შექმნისას იაპონელმა ავტომწარმოებლებმა კომფორტულობის საკითხს მიაპყრეს განსაკუთრებული ყურადღება: მაგალითად, ახალი „აკორდის“ კონდიციონერი ორ განსხვავებულ ტემპერატურას მიაწვდის მძღოლსა და წინა სავარძელში მჯდომ მგზავრს; მანქანა აგრეთვე აღჭურვილი იქნება სიმალეში რეგულირებადი საჭითა და დისტანციური მართვის მქონე აუდიოსისტემით.



## Ford-ის „ჰიბრიდი“

წყალბადით მოქმედ ძრავებზე ექსპერიმენტებს მსოფლიოს ბევრი უმსხვილესი ავტომწარმოებელი ატარებს და უკვე ბევრი პროტოტიპიცაა შექმნილი. კორპორაცია „ფორდში“ დამზადებულ, მაღალტექნოლოგიურ ავტომანქანას, Focus FCV Hybrid ეწოდება. გარეგნულად ის არაფრით განსხვავდება სერიული „ფორდ ფოკუსისაგან“ – ჩვეულებრივი სუთადგილიანი სალონი და ხელსაწყოთა სტანდარტული კომბინაცია აქვს. მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა: ახალ ავტომობილში კომბინირებული პრინციპი მოქმედებს – წყალბადისა და ჟანგბადის რეაქციის შედეგად მიღებული ელექტროენერგია არა უშუალოდ ძრავაში, არამედ აკუმულატორში მიედინება, რის შედეგადაც ენერგოდანაკარგი მინიმუმამდე მცირდება.

ელექტროძრავას სიმძლავრე 92 ცხ.ძ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 13,5 წმ-ში განავითარებს და საწვავის დამატების გარეშე 320 კმ-ს გაივლის. თუმცა, ამერიკის ყველაზე პროგრესულ ავტომანქანას საკმაოდ დაბატარაგებული საბარგული აქვს, რადგან დიდ ადგილს იკავებს წყალბადის 178 ლ-იანი ბალონი. ამის გამო, ახალი „ფორდის“ წონაც



უჩვეულოდ დიდია – 1600 კგ. მაგრამ წყალბადიანი ძრავით აღჭურვილი მანქანების მთავარ ნაკლს მაინც მათი მაღალი ფასი წარმოადგენს. ექსპერტთა განგარიშებით, სერიულ წარმოებაში Focus FCV-ის გაშვების შემთხვევაში, მისი თვითღირებულება სულ ცოტა, 2 მლნ ევროს მაღლწევს. ბუნებრივია, რომ სწორედ ეს გარემოება უმლის ხელს წყალბადიან ძრავიანი ავტომობილების ფართოდ გავრცელებას. ბუნებრივია, არც საჭირო ინფრასტრუქტურა ვითარდება: მაგალითად, გერმანიაში სულ

3 ქალაქში – მიუნხენში, ჰამბურგსა და ბერლინში მოქმედებს წყალბადის ავტოგასამართი სადგურები. ამ მიზეზით, „ფორდმა“ და „დაიმილერ კრაისლერმა“ უარი თქვეს ადრინდელ გეგმაზე – 2005 წელს დაეწყო წყალბადიანი ავტომობილების სერიული წარმოება. „რეალურად, ეს ალბათ მხოლოდ 2025 წლისთვის გახდება შესაძლებელი“, – ამბობს „ფორდის“ ევროპული ქვედანაყოფის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი რუდოლფ კუნცე.

# ვინ გაუქმარებს დარდს ზურა მანჯავიძეს?

ანსამბლმა „ფორტეპი“ კინოთეატრ „ამირანში“, ერთი არაჩვეულებრივი სიმღერისა და კლიპის პრეზენტაციით აღნიშნა კომპანია „არტ-იმედი“ გაერთიანება და თბილისობის დღესასწაული. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: ბუთხუზ ბასილაია მეუღლეთურთ, თემურ წიკლაური, ლელა წურწუშია და მამულინა, ეკა კახიანი, მერაბ სეფაშვილი, თემო რცხილაძე, დათო გომართელი, ეკა კვალიაშვილი, ია ფარულავა, თამუნა ამონაშვილი, თათია გიორგობიანი და, რა თქმა უნდა, თავად „ფორტეს“ წევრები. ისინი რატომღაც შავი ფერის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ჩვენებამდე კარგა ხანს მოგვიწია ლოდინი, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს და ერთმანეთთან საუბრით გული იჯერეს.



პრეზენტაცია „მეამ“ — თიკო ბერძენიშვილმა გახსნა და სტუმრებს აუწყა, რომ „ფორტესთვის“ ეს უკვე მესამე კლიპია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან ლელავენო... ზურა მანჯავიძემ განგვიცხადა: სიმღერის ტექსტიც და მელოდიაც საგანგებოდ თბილისობისთვის შეიქმნა, მაგრამ ავტორების ვინაობას ინკოგნიტოდ დავტოვებო, — და სანამ სცენასაც დატოვებდა, გაგაფრთხილა: აბა, ახლა თქვენ იცით — მქუხარე ტაში არ დაგავიწყდეთო. კლიპი იმდენად კარგი და თუ შეიძლება ასე ითქვას, თბილი აღმოჩნდა, რომ აპლოდისმენტები

მართლაც არავის დაუშურებია. სიმღერა თბილისის ეძღვნება და ძველი თბილისური სურათებიცაა გამოყენებული. თავსხმა წვიმაში ყველა, ქოლგით ხელში დადის, ზურა კი წვიმას არ უშინდება და თბილისის ქუჩებში დარდიანად მიიმღერის:

„ვინ გამიქარებს დარდს... ვინ გამინათებს გზებს...“ ერთ ეპიზოდში, 70-იანი წლების ძველმოდურ კოსტიუმში გამოწყობილი ზურა, თავზე შლაპით და პატარა უღვამით დამშვენებული, ცოლ-შვილთან ერთად, ბედნიერი კაცის იერით ბრუნდება შინ, მეორეგან — უზარმაზარი თაიგულით ხელში მიიჩქარის საყვარელი ქალისკენ, გოგი ქავთარაძესთან ქეიფსაც ასერხებს და გურანდა გაბუნიასთან წაცეკვებასაც ასწრებს... მოკლედ, კლიპიც და სიმღერაც ყველას ძალიან მოეწონა.

სიმღერის ავტორმა, ლილიკო ნემსაძემ დიდი მადლობა გადაუხადა „ფორტეს“ წევრებს, გააჯონახაძეს (ტექსტის ავტორს) და ბოლოს, სიყვარული აუხსნა კლიპის რეჟისორს — ზაზა ორაშვილს: ეს უკვე მერამდენე სიმღერა გამიღამაზე და ამის გამო, მართლაც ძალიან მიყვარხარო... თვითონ ზაზამ ზაფხულის განმავლობაში გადაღებული კლიპებიდან ბოლო, „გემრიელ ლუკმად“ მოტოვებული კიდევ ერთი კლიპის პრეზენტაცია შემოგვთავაზა. მაია ასკურავას, რომელიც ასრულებდა საკუთარ სიმღერას: „სად არ ვიყავ, სად — არა“, უზარმაზარი თაიგული მიართვეს. ამ კლიპის გადაღებები ბათუმში მიდიოდა და გადამღები ჯგუფის წევრები თურმე იმდენად კარგად ატარებდნენ დროს, რომ გულიც კი დასწყვეტიათ, მუშაობა რომ დაუმთავრებიათ...

მერაბ სეფაშვილმა ყველას მოგვილოცა თბილისობა, მამუკა ონაშვილმა კი, იქ დამსწრე საზოგადოება „აიძულა“ და „ფორტეს“ კიდევ ერთი ახალი წარმატების აღსანიშნავად, დარბაზში სამჯერ გაისმა ომახიანი: „გაუმარ-ჯოს!“ ბოლოს კი, მამუკამ ყველა, კაფეში მიიპატიჟა, სადაც სტუმრებმა სხვადასხვა სასუსნავით შეიქციეს თავი და კმაყოფილები, დაიშალნენ.

## თბილისში რემბრანდტის ნამუშევრები ჩამოიტანეს

„თეატრალურ სარდაფში“ გენიალური ჰოლანდიელი მხატვრის, ჰარმენს ვან რეინ რემბრანდტის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ნიდერლანდების სამეფოს კულტურის ფონდის — „აკაკასის“ ორგანიზატორებით, საქართველოში ჩამოსატანად თორმეტი გრავირებული ფირფიტებიდან სასაჩუქრე ეგზემპლარები დამზადდა. მათ შორის არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, 1636 წელს შექმნილი „უძღები შვილის დაბრუნება“, რომლის ორიგინალიც სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში ინახება. აქ გამოსახულია ადამიანი, რომელმაც ოდესღაც მამისეული კერა დატოვა და მრავალი წლის



გაჭირვების, სიღატაკის და დამცირების შემდეგ, დაბრუნდა მშობლებთან. რემბრანდტი არა მარტო დიდი ფერმწერი, არამედ თუთიის ფილაზე გრავირების ამოტვიფრის უბადლო ოსტატიც იყო. მუზეუმის საცავში ინახება რემბრანდტის გრავირებული ფირფიტები, საიდანაც გრავირაუთა სასაჩუქრე ეგზემპლარები იბეჭდება შეზღუდული რაოდენობით. მათი ფასი 100-დან 200-დოლარამდე მერყეობს. გამოფენა „თეატრალურ სარდაფში“ 6 ნოემბრამდე გასტანს.

„უძღები შვილის დაბრუნება“

# გუმბა და პოეზია

ზუთმაბათს, „თეატრალურ სარდაფში“ ტრადიცია დაირღვა. ზუმბამ (ზაზა კორინთელმა) და მისმა მეგობრებმა მუსიკა შესთავაზეს მაყურებელს. თუმცა, ზუმბა ეცადა, ეს ყველაფერი პოეტური ყოფილიყო და სადამო ლექსით დაიწყო:

**„მე სიყვარული მინდოდა მხოლოდ,  
შენ ყი ავხორცმა ვნებამ შეგაპყრო“.**

„ეს იქნება უშუალო დიალოგი, შეგიძლიათ კითხვები ნებ-ისმიერ თემაზე დასვათ, ოღონდ სიმღერას ნუ შეუკვეთთ“, – წინასწარ გაგვავრთხილა მწერალმა დათო ტურაშვილმა. სიტუაცია მართლაც უშუალო იყო. ზუმბა კარგ გუნებაზე იყო, დროდადრო სასმელს ითხოვდა და სადღეგრძელოებსაც ამბობდა. პირველი შემთხვევაა, სარდაფში სუფრა რომ არ მაქვს წინ გაშლილიო, – დასძინა და უკვე კარგად ცნობილი სიმღერა – „ვაშლის გამყიდველო“ შემოგვთავაზა. აქ გიტარის ერთმა სიმმა უმტყუნა და შეკეთებას შეუდგა. სანამ ზუმბა სიმს აბამდა, დათომ თავისი ამერიკელი მეგობარი – ჯონ ჰორა წარმოგვიდგინა, რომელიც ისე კარგად დაუფლებია ჩვენს მშობლიურ ენას, დათოს პიესაც კი უთარგმნია ინგლისურად. მწერალმა აქვე ერთი საიდუმლოც გაგვანდო: ჯონი ამჯერად ცოლის მოსაყვანად ჩამოსულა საქართველოში. ამან ჩვენი უცხოელი მეგობარი ისე დააბნია, რომ სულ დაავიწყდა ქართული ენა და ერთი ფრაზა ძლივს ამოღერდა: „საქართველო ძალიან მიყვარს“... ამასობაში ზუმბამ გიტარა საწყის მდგომარეობაში მოიყვანა და თან მორიგი, ჯონ ჰორას სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

სადამოს კულმინაცია რატი ამაღლობელის ლექსები გახდა, რომელიც მან ზუმბას მუსიკის თანხლებით წაიკითხა. წარ-

მოდგენილი იყო გალაკტიონის, ხალხური და თვით რატიის ლექსები. ამ ყველაფერმა დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით მოითხოვა. რატიმ არც აცია, არც აცხელა, იქვე, სარდაფის კუთხეში მდგარი ორკესტრის ერთ-ერთი „ბარაბანი“ გადმოიღო და... მართლაც შესანიშნავი კომბინაცია გამოვიდა: „ქარი ქრის“, „ვინ შეჭამა ვენახი“, „კოლექტივო, მხარი მხარს“. მუსიკა, რატი... საოცარი იყო. არ ცხრებოდა ოვაციები დარბაზში.

სადამო გვიანობამდე გაგრძელდა... საზოგადოება კმაყოფილი ჩანდა. ზუმბამ კი, საკმაოდ შეზარხოშებულმა დატოვა სარდაფი.



## „პაპუასი“, გამთსასყიდი ცეკვა-სიმღერა და სამასსტუტო თოცო

უკვე რამდენიმე დღეა, მარჯანიშვილის თეატრში საბავშვო კონცერტების ციკლი მიმდინარეობს. „შემოდგომის არდადეგები“ მოდელის სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ თაოსნობით ტარდება. კონცერტზე მისულ ბავშვებს (და არა მარტო მათ), ფოიეშივე ელთ სიურპრიზი: მათ უცნაურ ფორმებში გამოწყობილი კლოუნები, ჩვეული იუმორით, სურათის გადასაღებად ეპატიჟებიან. ეს სტუდია „ფოტოსამყაროს“ საჩუქარია. თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის.

თეატრის შესასვლელთან გამოკრულ აბრაზე დიდი ასოებით წერია: „სპექტაკლზე 10 წლამდე ბავშვები არ დაიშვებიან“. მზრუნველ მშობლებს, როგორც ჩანს, ამ აბრისთვის არც კი შეუხედავთ და ზოგიერთი მათგანი თოთო ბავშვით ხელში მოვიდა. გაიხსნა თუ არა ფარდა და პატარებმა ჯგუფ „ინტროს“ კლიპის გმირი და ამ კონცერტის წამყვანი, „პაპუასის“ ფორმაში გამოწყობილი ადამიანი დაინახეს, დალაპარაკებაც არ აცალეს, ისე ამოუშვეს ტირილი... თუმცა, მალე ყველაფერი მოგვარდა: სტუდია „მეტეხის“ მოცეკვავეების დანახვაზე დაწინარდნენ და ყურადღებით დაუწყეს თვალთვლება სცენის კუთხეში მჯდარ წამყვანსა და მის ამორძალებს.

სპექტაკლის შინაარსი ასეთი იყო: ზემოთ ხსენებულ „პაპუასს“ ჩვენი მომღერლები და მოცეკვავეები დაუტყვევებია და

გამოსასყიდად, სიმღერასა და ცეკვას ითხოვდა. თუ კარგად შეასრულებდნენ მიცემულ დავალებას, იმ შემთხვევაში გაათავისუფლებდა. ეს კი მაყურებლის აპლოდისმენტებით განისაზღვრებოდა.

ტყვეთა შორის იყვნენ: ჯგუფი „ინტრო“, ქეთა თოფურია, კახა კუხიანიძე, ნინი შუშანაშვილი, სალომე გასვიანი, სამეჯლისო ცეკვების სტუდია „თელა“ და ა.შ. თამრიკო ჭოხონელიძის ქალიშვილს – მარიამ როინიშვილს, მოდელიერ ავთო ცქვიტინიძის ხელი ეტყობოდა. მისი წკრიალა ხმა ჟრუანტელს ჰგვრიდა მსმენელს.

როგორც გაირკვა, კონცერტის სპონსორი ფორმა „ორიფლიმი“ გახლდათ. წამყვანს, ვითომდა ვერ გაეგო ამ სიტყვის შინაარსი და გამუდმებით იმეორებდა: ნეტავ, რას ნიშნავს ეს „სპონსორი“ და „ორიფლიმი“. ამ უკანასკნელმა დარბაზში კონკურსი გამოაცხადა. ვინც მიკროფონით იმღერებდა, საჩუქრებს უძღვნიდნენ. თავიდან პატარებმა ცოტა დაიმორცხვეს, მეორე ტურში კი იმდენი მსურველი აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათგანი ხელმოცარულიც კი დარჩა.

კონცერტი დამთავრდა... ბავშვები ბედნიერი სახეებით ტოვებდნენ მარჯანიშვილის თეატრს... თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის. სპექტაკლების სერია 3 ნოემბრამდე გასტანს.

# ალ პაჩინო რუმბაყთილითა

ჰოლივუდის ვეტერანად აღიარებული მსახიობმა ალ პაჩინომ თანამედროვე კინოვარსკვლავები გააკრიტიკა. მან თქვა, ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ დღევანდელ ცნობილ მსახიობებთან მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელიაო. სხვათა შორის, ფანტასტიკური ჟანრის ახალ ფილმში – „სიმონა“ ალ პაჩინომ რეჟისორის როლი შეასრულა, რომელიც ვირტუალურ – კომპიუტერის მიერ შექმნილ მსახიობს ამჯობინებს რეალურ კინოვარსკვლავს, რათა თავიდან აიცილოს მისი ჭირვეუ-



ლობა. მსახიობმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მისი გმირის გადაწყვეტილებას სოლიდარობას უცხადებს. „ვარსკვლავთა სამყარო ფაქტობრივად ჭკუიდან შეიშალა. ეს ძალზე შემამოფრთხილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად შენ თითქოსდა ჯამბაზის თოკზე იმყოფები, სადღაც იქ, ზევით ხარ და შენი როლის შესრულებას ცდილობ, ვიღაცის გამო კი, ეს ამოცანა უფრო გირთულდება. ეს ძალიან ცუდია. ამ შემთხვევაში მთავარი ურთიერთნდობაა და გადამღები ჯგუფის წევრებმა ორკესტრანტების მსგავსად, ჰარმონიის მიღწევა ერთად უნდა ვცადოთ. მე თავს შევიკავებ პიროვნებების დასახელებისაგან, რადგან ვისაც ჩემი ნათქვამი შეეხება, ჩემზე კარგად უწყიან ამის თაობაზე.“

# მადონა თილმისთვის სცენარს წერს



მადონამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფილმისთვის სცენარის წერა დაიწყო, რომლის გადაღებასაც თავადვე აპირებს. სცენარის შთაგონების წყაროს მისი საკუთარი ცხოვრება წარმოადგენს და იგი კომედიური ჟანრის ფილმისთვისაა განკუთვნილი. ეს სურათი იქნება ქალზე, რომელიც „ძალზე ცნობილია“ და სიუჟეტს საფუძვლად „მისი მშფოთვარე ცხოვრება“ დაედება. „გმირი ჰოლივუდში ცხოვრობს და წარმატებული კარიერაც აქვს, მაგრამ საზოგადოება პატივს არ სცემს და მასზე უამრავი ჭორიც დადის“, – ამბობს მადონა.

მომღერლის თქმით, სურათში უამრავი მისთვის კარგად ნაცნობი, ხოლო საზოგადოებისთვის იოლად საცნობი ხასიათი და ადამიანი იქნება გამოყვანილი. „ჩემი აზრით, ეს სუპერთავშესაქცევი და საინტერესო ფილმი გამოვა“, – აღნიშნა მან.

# ჯთან კოლინგი: „სექსი სილამაზის შენაწიურების სამუშაოა“

69 წლის ბრიტანელი მსახიობი, ჯოან კოლინგი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ, მეზუთედ გათხოვდა (თუ მხოლოდ ოფიციალურ ქორწინებას მივიღებთ მხედველობაში), თანაც მასზე ბევრად ახალგაზრდა მამაკაცზე, გამოტყდა, რომ ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნების ბევრად უკეთესი (თანაც იაფი) საშუალებაც არსებობს, ვიდრე პლასტიკური ქირურგიაა. „მე ვფიქრობ, რომ ლიპოსაქცია, – ეს, რაღაც საშინელებაა... შეხედეთ დოლი პარტონს, რომელსაც სახე თოჯინას მიუგავს. არა, მე არ მსურს, ასე გამოვიყურებოდე!“



დღესდღეობით კოლინგი თავისი ახალი წიგნის – „ჯოანის მეთოდი – გამოიყურებოდე კარგად, თავს შესანიშნავად გრძობდე“ – რეკლამირებითაა დაკავებული. „ბი-ბი-სი“-თვის მიცემულ ინტერვიუში იგი ირწმუნება, რომ სექსი „ყველაზე სასიამოვნო და იაფი საშუალებაა სილამაზის შესანარჩუნებლად“.

# შენე დიუტის, მანქანის მთავარ მეუღლესთან ცხთებმა აღარ სურს

ახალგაზრდული სერიალის „ბევრლი-ჰილზ 90210“-ის ყოფილ კინოვარსკვლავს – შენე დიუტისს, ქორწინების შემდეგ სულ ცხრა თვე დასჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ინტერნეტის ბანქოს სათამაშო საიტის მფლობელ – რიკ სოლომონთან ცხოვრება აღარ სურდა. წლინახევრის განმავლობაში (ამ მონაკვეთში წყვილის შეყვარებულობის დროინდელი ცხრა თვეც შედის), ვარსკვლავის 33 წლის ქმარი, გასართობად სიარულს ერიდებოდა, მაგრამ სექტემბერში ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ერთხელ ლას-ვეგასში გაიქცა, მეორედ კი ნიკი ჰილტონის დაბადების დღეზე ამოყო თავი და მთელი საღამო თავის ყოფილ მეგობარ გოგონას, პერის ჰილტონს ეარმიყებოდა. აღსანიშნავია, რომ პერისი დიუტისზე 10 წლით უმცროსია. ამის შემდეგ, შენონმა გადაწყვიტა, რომ უსიამოვნებები კმარა და ქმარს გაეყარა.





# კრეტინ გრეცა-ჯონსს აბ სუტს, „გამეტილმა“ იატთს



მაიკლ ღუგლასის ახალგაზრდა ცოლს, რომელიც მეორე ბავშვს ელოდება, აღარ სურს, კვლავ „გიგანტურ გაბერილ ბურთს“ დაემსგავსოს და გამოიყურობდეს ისევე, როგორც 2000 წელს, როცა იგი პირველ ბავშვზე იყო ორსულად. ამჯერად, იგი მკაცრი დიეტის დაცვას აპირებს. მსახიობის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, კეტრინი მართლაც შესანიშნავად გამოიყურება. იგი დღეში ნახევარ საათს ვარჯიშობს, უამრავ ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევს, ამასთანავე ნახშირწყლებსა და ცოტაოდენ პროტეინსაც იღებს. მან თავისი მენიუდან შაქარი საერთოდ ამოიღო და ცდილობს, რომ ცილოვანი საკვები შეზღუდული რაოდენობით მიიღოს.

ორი წლის წინ, ზეტა-ჯონსი ისე გასუქდა, რომ სარკეშიც კი აღარ იყურებოდა. როგორც თავადვე თქვა, იმ პერიოდის სურათები, სადაც იგი უზომოდაა გასუქებული, სადაც შორს მიძალა, რათა მათი ნახვა ვერავინ შეძლოს.

# სიმღერა გვინეცისათვის

ამას წინათ, ლონდონში გამართულ კონცერტზე პოპულარული ბრიტანული ჯგუფის – COLDPLAY-ის წევრმა კრის მარტინმა, მათი უკანასკნელი ჰიტი – In my place ჯგუფის შემოქმედების დიდ თავჯანსმცემელს, გვინეტ პელტროუს მიუძღვნა. გვინეტის უემბლის სტადიონზე გამართულ კონცერტს ესწრებოდა და კრისის გალანტურობა სათანადოდაც შეაფასა. თუმცა, მარტინმა ისიც დასძინა, რომ ამ სიმღერას გვინეტთან ერთად, ასევე სტადიონზე მყოფ დედამისაც უძღვნიდა.



# ჯენიფერ ლოპესი მაჟმუგე ტცნებთმს

ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის ურთიერთობამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ქორწილის დღეც გამოცხადდა. ჯვრისწერის ცერემონია წმინდა ვალენტინის დღეს გაიმართება. ჯეი ლოს ყოფილ ქმართან, კრის ჯადთან ოფიციალური გაყრის ერთი თვის თავზე, ჯენიფერი და ბენი, უკვე ბავშვის შვილობის საკითხსაც განიხილავდნენ.



ლოპესს წინა ორ ქორწინებაში შვილი არ შესძენია. წლის დასაწყისში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევებმა კი დაადგინა, რომ მომდერალს ფარისებრი ჯირკვლის დაავადება აქვს, რაც ზოგ შემთხვევაში უნაყოფობას იწვევს. ბავშვზე მეოცნებე ჯენიფერმა ეს საკითხი ბენტან ერთად განიხილა და შეთანხმდნენ, რომ თუ ლოპესი ვერ დაორსულდა, წველი ბავშვს აიყვანს. მათ თურმე ბავშვის სახელებიც კი შერჩეული ჰქონიათ – ბიჭუნას ბენ-უმცროსს დაარქმევენ, გოგონას – კარმენს. წინდახედულ მომავალ მშობლებს არც ნათლიების საკითხი გამორჩენიათ მხედველობიდან: ისინი ლინდას (ჯენიფერის და) და მეთ დეიმონს (აფლეკის მეგობარი) ნათლიაობაზე უკვე შეუთანხმდნენ.

# კატლთს სანტანას ახალი ალბომი გამთუიდა

სულ ახლახან აშშ-ში, ლეგენდარული მუსიკოს-გიტარისტის, კარლოს სანტანას ახალი ალბომი – „შამანი“ გამოვიდა. მუსიკოსმა საკუთარი წინამორბედი ალბომის – „ზებუნებრივის“ მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მუსიკალური სამყაროს ვარსკვლავებს მოუყარა თავი. ამ ალბომში ისეთი სახელგანთქმული შემსრულებლები შედიან, როგორებიც არიან: მიშელ ბრანჩი, პლასიდო დომინგო, დილო, სილა, მეისი გრეი, ოზომატლი, მიუნხიკი და სხვები. კრიტიკოსები „შამანს“ „ზებუნებრივის“ მსგავს წარმატებას უწინასწარმეტყველებენ, რომელიც 1999 წელს გამოვიდა და 25-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ასევე პრესტიჟული მუსიკალური პრემიის, „გრემის“ რვა ჯილდო დაიმსახურა.

ახალი ალბომი, ისევე როგორც სანტანას სხვა ნამუშევრები, ლათინურამერიკული მუსიკის, როკის, ფანკის, ჯაზის, ბლუზისა და საცეკვაო რიტმების კომბინირებულ ნაკრებს წარმოადგენს. მასში გიტარისტმა მისი შემოქმედებისათვის ახალი ჰიპ-ჰოპისა და კლასიკური მუსიკის მიმდინარეობებიც გამოიყენა. ეს ყველაფერი კი არანჭირებითა და 55 წლის მუსიკოსის გიტარის უნიკალური ფლერადობითაა გაერთიანებული. სანტანას თქმით, მისი მუსიკის წარმატება „ყოველ ნოტში ხუთი ელემენტის – სულის, გულის, აზრის, სხეულისა და მამაკაცური ენერჯის არსებობითაა“ განპირობებული.



## სიზმარი თუ დიაგნოზი

**რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაშვილი**



სიზმრის მიხედვით რომ საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, ამის შესახებ ვერ კიდევ ძველი ბერძნები, კერძოდ – ჰიპოკრატე წერდა. ზოგჯერ ღამის სურათები ისეთი სიზუსტისაა, რომ გაცხადებს ვერ მალავთ. მაგალითად, გესიზმრებათ, რომ მთლიანი კაკალი გადაყლაპეთ, იღვიძებთ და ყელი საშინლად გტკივთ.


სიზმარში ხშირად ენახულობთ მნიშ-

ვნელოვან მომენტებს, შეიძლება, კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავალიც ვიპოვოთ... ღამის განმავლობაში ყოველი საათ-ნახევრის შემდეგ, ტვინი სწრაფი ძილის ფაზაში შედის და სწორედ მაშინ ვიმახსოვრებთ სიზმრებს. ძილში ცვალებადობს სხეულის ტემპერატურა, წნევა, პულსის სიხშირე, მუშაობს საჭმლის მომწელებელი სისტემა. ეს ცვლილებები ზოგჯერ ამონათდება ხოლმე ტვინში და გვაძლევს სიგნალს ორგანიზმში არსებული სხვადასხვა დარღვევის შესახებ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სიზმარში ნანახი ყოველთვის როდია მჭიდრო კავშირში ჩვენს ჯანმრთელობასთან. ამასთან, „დიაგნოზის“ დასამაზინებლად მრავალი ფაქტორი არსებობს. მაგალითად, სიზმარში მოხრჩობის შეგრძნება შეიძლება ფილტვების დაავადების დამადასტურებელი კი არაა, იმის შედეგი იყოს, რომ ადამიანს ღამით ცხვირი ბალიშში ჰქონდა ჩარგული. საშინელებები კი ხშირად ტელევიზორის წინ ძილის დროს გვესიზმრება ხოლმე. ასე რომ, ნუ გაგიტაცებთ სერიოზულად იმაზე ფიქრი, რომ სიზმრებით ჩვენი ორგანიზმი რაღაცას გვაუწყებს. სხვათა შორის, ისიც დამტ-

კიცებულა, რომ განსაკუთრებით საშიში დაავადებებით დასნეულებული ადამიანები, სიზმრებს საერთოდ არ ხედავენ.

გთავაზობთ ფსიქოლოგთა მიერ შედგენილ ცხრილს, რომელიც ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიზმრის ხასიათს შორის კავშირს ამყარებს.



### დაავადება ან მდგომარეობა

### სიზმრის თემა

გულის პრობლემები	სიკვდილი ან გარდაცვალების პროცესი (მამაკაცებში) განშორება (ქალებში)
თავის ტკივილი	არეულობა, ჩოჩქოლი, შიში, საშინელებები
ჭკუასუსტობა	რაიმეს დაკარგვა, განსაკუთრებით ხშირად – ფულის ან საკვების
ინსულტი, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება	ვერ იხსენებთ სიზმარს მთლიანად. მესხიერება მხოლოდ ცალკეულ სურათებს ინახავს
ნარკოლეფსია (ხანმოკლე ძილის მდგომარეობაში გადასვლა)	საშიში სიუჟეტების ხედავა
საძილე წამლების, ანტიდეპრესანტების, ალკოჰოლის მიღება	ზეზუნებრივი, შემამფოთებელი სიზმრები, კოშმარები, ჯადოქრები
სასუნთქი სისტემის დაავადებები ასთმის ჩათვლით	მომატებული ემოციურობით დატვირთული სიზმრები, ძალზე ხშირად, სიუჟეტის გარეშე. წვიმიანი ამინდი, წყალი
მაღალი წნევა	სამხედრო მოქმედებები, სისხლი
ფსიქოსომატური დაავადებები	კონფლიქტები, აგრესიასთან დაკავშირებული სიტუაციები, უსუსურობა
სანაღვლე გზების, ღვიძლის პათოლოგია	ხანძარი, ცეცხლი

# მედიტაციით ღია

თუ თქვენ არ მოგწონთ საკუთარი ფეხურა, 100-დან 99 შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მუცელია დამნაშავე. მშენიერი სქესის წარმომადგენლებს აქვთ სამისოდ გარკვეული მიზეზი – ქალის ორგანიზმში მუცელზე 2-3 სმ ცხიმი დაპროგრამებულია ბუნების მიერ ნორმალური ორსულობისათვის. მამაკაცებში კი ასეთ „საინტერესო მდგომარეობაში“ საირრულს არავითარი გამართლება არ აქვს.

გთავაზობთ ვარჯიშთა კომპლექსს, რომელიც უნივერსალურია, ეფექტურია და, რაც ყველაზე მთავარია ზარმაცებისათვის, სრულდება ზურგზე წოლით მდგომარეობაში. მარტივი მოძრაობები და პრობლემური ზონის კონკრეტული, დიდი დატვირთვა ხდება წარმატების საწინდარი.

თითოეული ვარჯიში მითითებული რაოდენობით შეასრულეთ ნელ ტემპში. შესვენების გარეშე გადადით მომდევნო ვარჯიშზე. ვარჯიშთა სერიის დამთავრების შემდეგ, დაისვენეთ 15 წამი და ყველაფერი თავიდან დაიწყეთ. დაწყებთათვის რეკომენდებულია 3 სერიის შესრულება. თანდათანობით გაზარდეთ დატვირთვა და ადით 5 სერიამდე.

მამ ასე, დავწვეთ ზურგზე და დავიწყოთ!


1. ხელები – თავქვეშ. ფეხები ასწიეთ



მალა და მუხლებში მოხარეთ მართ კუთხმდე. მარჯვენა ფეხი გამართეთ ჰერში ისე,

რომ იატაკს არ შეხვით. ამავროულად ტანი წამოსწიეთ და მოაბრუნეთ მარცხნისაკენ ისე, რომ მარჯვენა იდაყვი მარცხენა ფეხის მუხლს შეეხოს. შეცვალეთ ფეხების მდგომარეობა და ტანიც მარჯვნივ მოაბრუნეთ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

2. ხელები – თავქვეშ. ფეხები მოხარეთ მუხლებში. ტერფები მჭიდროდ ეხება იატაკს. მარჯვენა ფეხის ქუსლი მოათავსეთ მარცხ-



ენა მუხლზე, მარცხენა ფეხი ასწიეთ იატაკიდან რამდენიმე სანტიმეტრზე. წამოსწიეთ სხეულიც ისე, რომ თავი მარჯვენა მუხლს შეხვით. შეყოვნდით ამ მდგომარეობაში 2-3 წამი. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. მარცხენა ფეხს იატაკზე ნუ დაუშვებთ. გაიმეორეთ 10-ჯერ; ცვალეთ ფეხები.

3. ხელები – განზე. ფეხები ერთად. მარცხენა ფეხი მალა ასწიეთ, მუხლი მო-



ღუნეთ. მენჯი შემოგრისეთ მარჯვნივ ისე, რომ მარცხენა ფეხი თითქმის სხეულის

გასწვრივ აღმოჩნდეს. თანდათანობით დაუბრუნეთ ფეხი საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 10-ჯერ. იგივე – მარჯვენა ფეხისათვის.

4. ხელები – სხეულის გასწვრივ, ფეხები ასწიეთ მალა და მოხარეთ მუხლებში მართ კუთხმდე. დაჭიმეთ მუცლის კუნთები და წამოსწიეთ მენჯი, ვიდრე მუხლები



მკერდს არ შეეხება. შეყოვნდით ამ პოზაში 2-3 წამი, გაიმეორეთ 20-ჯერ.

5. ხელები – თავქვეშ. იდაყვები გადაშალეთ. ფეხები მალა, ტერფები ერთად, მუხლები ოდნავ მოხრილია. თავი და მხრები წამოსწიეთ იატაკიდან ისე, რომ ზურგი



იატაკს არ მოსცილდეს. დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. გაიმეორეთ 20-ჯერ.

## წამლის მოხსნის სინდრომი

წამლის მიღების უდროოდ და უეცარმა შეწყვეტამ შესაძლოა დაავადების ჩაწყნარებული სიმპტომების ხელახალი გამწვავება გამოიწვიოს. მაგალითად, ანტიკოაგულანტების (სისხლის შედელების საწინააღმდეგო საშუალებების) მიღების უეცარმა შეწყვეტამ, შეიძლება ბიძგი მისცეს ახალი თრომბების გაჩენას, სტენოკარდიის შეტევების გაზშირებას, გულის კუნთის ინფარქტის ჩამოყალიბებას. ფენობარბიტალის ან ეპილეფსიის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატების მიღების უეცარ შეწყვეტას, შეიძლება თან დაერთოს გულყრების განახლება. კლოფელინით მკურნალობის უეცარმა შეწყვეტამ, თუ ავადმყოფი მას იღებდა 2,5 აბს და მეტს დღეში, შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის მომატება და ჰიპერტონიუ-

ლი კრიზი. სასიფათოა პრედნიზოლონის, ტრამაცინოლონის, დექსამეტაზონის და სხვა კორტიკოსტეროიდული ჰორმონული პრეპარატების მიღების უეცარი შეწყვეტა, რადგან ამას შეიძლება თან დაერთოს დაავადების სიმპტომების განახლება. ასე ხდება რევმატიზმის, რევმატოიდული ართრიტის, წითელი მგლურას, ბრონქული ასთმის, ექსუდაციური პლევრიტის და სხვა დაავადებების დროს.

მოხსნის სინდრომის თავიდან ასაცილებლად ზემოჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა წამლის მიღება უნდა შეწყდეს სიფრთხილით, დოზის თანდათანობით შემცირების შემდეგ, რაც ექიმის დანიშნულებაში უნდა იქნას მითითებული.

კითხვა



პასუხი

**კითხვა: ჩემს მეუღლეს 6 წელია, აქვს შაქრიანი დიაბეტი. იგი მიმტკიცებს – საზღვარგარეთელ მედიკოსთა გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ალკოჰოლი ამცირებს სისხლში შაქრის დონესო, მისი მკურნალი ექიმი და სხვა ექიმები კი, არ ურჩევენ ალკოჰოლის მიღებას. ვთხოვთ, გამარკვითოთ, რომელია მართალი?**

პასუხი: მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დიაბეტიან ავადმყოფებს ექიმები არ ურჩევენ სპირტიანი სასმელების მიღებას. ალკოჰოლმა ასეთი ავადმყოფის ორგანიზმზე შესაძლოა, სპეციფიკური ზემოქმედება მოახდინოს, მით უმეტეს, თუ იგი შაქრის დამწვევ პრეპარატებს (ინსულინს, აბებს) ღებულობს. ალკოჰოლი ამცირებს სისხლში შაქრის დონეს და მასასადამე, იწვევს ჰიპოგლიკემიას (დაბალი შაქარი), რაც პოტენციურად საშიშია ორგანიზმისათვის. ეს იმის გამო ხდება, რომ სპირტს აქვს თვისება, დაამუხრუჭოს ღვიძლიდან შაქრის მარაგის გადმოსვლა.

გარდა ამისა, სიმთვრალის დროს ავადმყოფმა შესაძლოა, ყურადღება ვერ მიაქციოს ჰიპოგლიკემიის პირველ ნიშნებს და არ მიიღოს საჭირო ზომები. ამიტომ ყველა დიაბეტიანმა ალკოჰოლური სასმელების შესახებ უნდა იცოდეს შემდეგი:

ალკოჰოლური სასმელების მიღება შეიძლება მხოლოდ დიაბეტის კარგი კომპენსაციის დროს. ალკოჰოლური სასმელები, პირობითად, შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავეყოთ: პირველში შევა მაგარი სასმელები, რომელშიც სპირტის შემცველობა 40%-ამდეა, ხოლო შაქარი პრაქტიკულად არ არის. ასეთებია: არაყი, კონიაკი, ვისკი, ჯინი და სხვა. ამ სასმელებისათვის რისკის დონა ანუ მიღებული დოზა, რომლის გადაჭარბებაც ჰიპოგლიკემიის განვითარებას გამოიწვევს, არის 50-75 მლ. უნდა გახსოვდეთ, რომ სასმელზე მისაყოლებლად სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები (პური, კარტოფილი და ა.შ.).

მეორე ჯგუფში შედის სასმელები, რომელშიც სპირტის შემცველობა ნაკლებია და ამასთან, მათში შედის ნახშირწყლები: გლეჯი, საქაროზა, ფრუქტოზა. სხვათა შორის, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფრუქტოზა აჩქარებს ადამიანის ორგანიზმში ალკოჰოლის მეტაბოლიზმს (დაშლას). იგი გამოიყენება ალკოჰოლური მოწამვლის დროს (შეჰყავთ ვენაში). ამ ჯგუფის სასმელებიდან დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის დასაშვებია მხოლოდ მშრალი სასმელები, ე.ი. რომელშიც შაქრის შემცველობა 3-5%-ს არ აღემატება. ასეთებია მშრალი ღვინო, მშრალი შამპანური. რისკის დონა ამ შემთხვევაში 200 მლ-ია.

დიაბეტის დროს განსაკუთრებით არასასურველია ის ალკოჰოლური სასმელები, რომლებიც მნიშვნელოვნად უმატებს შაქარს სისხლში: ტკბილი ღვინო, ლიქიორი, ტკბილი შამპანური.

ამასთან უნდა გახსოვდეთ, რომ სპირტიანი სასმლის ის მცირე რაოდენობაც, რომლის დაღევაც გადაწყვიტეთ, უნდა მიიღოთ ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ და არა მშვიდზე.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: ჰიპოგლიკემია ზოგჯერ

დაგვიანებით შეიძლება განვითარდეს. თუ თქვენ ძალიან ბევრი დალიეთ საღამოს, შესაძლოა, ჰიპოგლიკემია (საკმაოდ მძიმეც კი) ღამით განვითარდეს. ამიტომ ძილის წინ საჭიროა სისხლში შაქრის დონის გაკონტროლება და დამატებით, ნახშირწყლების შემცველი საკვების მიღება.

ყოველად დაუშვებელია ალკოჰოლის შაქრის დამწვევ თვისებაზე დაყრდნობით შეცვალოთ შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა, რომელიც ექიმმა დაგვინიშნა. ამან შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს.

**კითხვა: ჩემი მამამთილი ახალგაზრდობაში ძალზედ პათივსაცემი პიროვნება გახლდათ: ყოველთვის მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მაღალი ინტელექტითა და განათლებით გამოირჩეოდა. მაგრამ რაც პენსიაზე გავიდა, საერთოდ შეიცვალა – დადის ნაგავსაყრელზე, აგროვებს სხვადასხვა გადაყრილ ნივთს და შინ ეზიდება. რასთანაა დაკავშირებული მისი ასეთი მდგომარეობა?**

პასუხი: როგორც ჩანს, ადგილი აქვს ფსიქიკის ასაკობრივ მოშლას. უპირატესად ასეთი რამ ისეთ ადამიანებს ემართებათ, რომლებმაც სიცოცხლის განმავლობაში გაფლანგეს თავიანთი ფსიქიკა, არ მოუფრთხილდნენ მას. ბავშვობიდან ჩვენ ყველას გვასწავლიან, რომ ფეხი არ უნდა დავისველოთ, ჰიგიენა უნდა დავიცვათ, ე.ი. საკუთარ თავს ფიზიკურად უნდა გავუფრთხილოთ, მაგრამ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პრაქტიკულად არავინ ფიქრობს. რატომღა ნორმალურ ქვეყნებში დადგენილი 8-საათიანი საშუაო დღე? რატომღა დადგენილი, რომ კვირის გარკვეული დღეები დასვენების დღედ იქნას მიჩნეული და წელიწადში ერთხელ მაინც, ადამიანმა შვებულებით ისარგებლოს? ყოველივე ეს მინიმალური აუცილებლობაა გამოფიტვისაგან ადამიანის ფსიქიკის დასაცავად. ჩვენ კი ხშირად ანგარიშს არ ვუწევთ ამ წესებს და შედეგსაც საკვალალოს ვიღებთ. ეს ჩვენი საზოგადოების პრობლემაა და იგი დღეს კიდევ უფრო ძალუძალად გამოიკვეთა, რადგან საერთო უმუშევრობის ფონზე, სამსახურით უზრუნველყოფილი ადამიანები არათუ ფსიქიკას, ფიზიკურ ჯანმრთელობასაც აღარ ზოგავენ. ამიტომ



საჭიროა, მეტი ინფორმაცია ჰქონდეს საზოგადოებას ფსიქოპათიის შესახებ.

ადამიანმა უნდა იცოდეს გონებრივი და ფიზიკური შრომის შენაცვლება. არ შეიძლება თავის ისე გადაღლა, რომ ღამით ვეღარ დაიძინოთ. უნდა იცოდეთ, რამდენი საათი იმუშაოთ და რამდენი დაისვენოთ. ყოველ ადამიანს აქვს გარკვეული თავისებურებები და ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ის გრძნობს, რომ დაიღალა. ამ ნიშნებს ყური უნდა მივუვლოთ და ანგარიში გავუწიოთ.

# თქვენი პატარა

## ინვაგინაცია

**განვადგინოთ საუბარს ჩვილ ბავშვთა კვებაზე და დაპირებებისამებრ, კვების რეჟიმის დარღვევით გამოწვეულ გართულებებზე შევჩერდებით.**

ბავშვის კვების რეჟიმის დარღვევამ, შესაძლოა კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემად შეგვიყვანოს, რომლის გადაჭრაც უკვე მხოლოდ ქირურგს შეუძლია. საუბარია ინვაგინაციაზე ანუ ნაწლავის გაუვალობაზე, რომლის დროსაც ერთი ნაწლავის ნაწილი მეორის სანათურში ჩაიჭვდება ხოლმე. ეს დაავადება გვხვდება წლამდე ასაკის (განსაკუთრებით 4-დან 9 თვემდე) ბავშვებში. მსგავსი რამ უფრო ხშირად ემართებათ კარგი ფიზიკური განვითარებისა და განსაკუთრებული მადის მქონე ბიჭუნებს.

დაავადების მექანიზმის გასაგებად, ანატომიას მივმართოთ. ნაწლავის კედელში განლაგებულია სიგრიძვი და წრიული (ირგვლივი) კუნთები, რომელთა კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს ნაწლავის შიდა სივრცისა და წველის სრულ გადაადგილებას, ქმნის შეწოვისათვის საჭირო პირობებს. არასუსურველი პირობების დროს, ნაწლავის მამოძრავებელი ფუნქცია ირღვევა ირგვლივი კუნთების კუმშვითი უნარის გააქტიურების ხარჯზე და ნაწლავის ზევით მდებარე ნაწილი შედის ქვევით მდებარე ნაწილის შიგნით.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ბავშვის ნაწლავის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი, კერძოდ, ნაწლავის მომატებული ძვრადობა, გრძელი და სუსტი ჯვრჯალი (მუცლის ფარისაგან წარმოქმნილი ორი ფურცელ-ღუბლიკატურა, რომელთა შორისაც თავსდება წვრილი ნაწლავი), რის გამოც ნაწლავს შეუძლია თავისუფლად „ისიერნოს“ მუცლის ღრუში და ჩაიკეოს სხვა ნაწლავის სანათურში. წლის შემდეგ, ნაწლავის ფიქსაციის პროცესი მუცლის ღრუში მთავრდება, ჯვრჯალიც მოკლდება, ამიტომ ინვაგინაციაც ძალიან იშვიათად გვხვდება.

დაავადება უცრად იწყება, ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ. აქტიური, ხალისიანი ბავშვი, უცბად მოუსვენარი ხდება, ფერს კარგავს, ტირის, ფეხები მუცელთან მაქვს, ტუბუს არ წოვს, საწოვარას პირიდან ავლებს. ზოგჯერ ხერხდება მისი დამშვიდება და პატარა, ფხიზელი ძილით იძინებს, მაგრამ მალე, ისევ ეწყება მოუსვენრობის შეტევა, რომელიც დაკავშირებულია ნაწლავის პერისტალტიკასთან, ინვაგინაციის უფრო ღრმად ჩანერგვასა და ტკივილის გაძლიერებასთან. შემდეგ იწყება ღებინება ჯერ საკვების მასებით, ხოლო შემდეგ ლორწოთი და ნაღვლის მინარევით.

დაავადების პირველ საათებში ბავშვს ზოგჯერ აქვს კუჭის მოქმედება ნაწლავის ქვედა ნაწილის დაცლის ხარჯზე. მოგვიანებით კი, სწორი ნაწლავიდან გამოიყოფა სისხლიანი ლორწო, რომელიც ჟოლოს ფელეს წაგავს. ამ მომენტიდან ინვაგინაციის დაგნოზი ეჭვს აღარ იწვევს.

მშობლების ყურადღება გვირდა მივაქციოთ იმას, რომ ეს სიმპტომი (ნიშანი) დაავადების დაწყებდან რამდენიმე საათის შემდეგ ჩნდება და მხოლოდ მასზე ორიენტირება სერიოზული საფრთხის წინაშე ბავშვის დაყენებას ნიშნავს. ამიტომ თუ პატარას მოულოდნელად დაწყებული მოუსვენრობა შენიშნეთ, რაც ძლიერ ტკივილზე მეტყველებს, უმჯობესია, თავი დაიხვეოთ და მიმართოთ ექიმს.

## ეს მნიშვნელოვანია!

როგორც ცნობილია, დაავადების პროფილაქტიკა უფრო იოლია, ვიდრე მისი მკურნალობა. ამიტომ თუ თავიდან აცილებთ ნაწლავის მოტორიკის დარღვევის გამომწვევ მომენტებს, ამით თქვენ მანს აღარ დაუტოვებთ ინვაგინაციას.

რა უნდა ვიცოდეთ ხელოვნურ საკვებზე მყოფი ბავშვის კვებისას:

● ბუნებრივიდან ხელოვნურ საკვებზე ბავშვის გადაყვანა თანდათანობით უნდა მოხდეს. ბავშვისთვის დედის რძე შეუცვლელია. თუნდაც იგი სულ მცირე რაოდენობით გქონდეთ, კვება ამ ძვირფასი წვეთებით უნდა დაიწყოთ. ეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ასეთი შერეული კვების პერიოდი. თუ დედის რძე არა აქვს, მაშინ მით უფრო მნიშვნელოვანია, დავუხმართ ბავშვის ორგანიზმს, შევეუოს ახალი სახის საკვებს. იმოქმედეთ ეტაპობრივად და თანამიმდევრულად.

● ხელოვნური კვების პირველ დღეს, ჩვილს მიეცით საკვების ასაკობრივი ნორმის ნახევარი ყოველ კვებაზე, ამის შემდეგ კვების დანაკლისი მთლიანობაზე შეავსეთ ხილის ან ბოსტნეულის ნახარშით, ჩაით, 5%-იანი გლუკოზის ხსნარით, ასკილის ნახარშით.

● მეორე დღეს საკვების რაოდენობა საჭირო რაოდენობის 2/3-მდე გაზარდეთ.

● 4-5 დღის განმავლობაში საკვების რაოდენობა თანდათანობით მიიყვანეთ ნორმამდე (თუ ბავშვი მას კარგად იტანს).

● ბავშვს საკმაო რაოდენობით სითხე ესაჭიროება, რადგან ფუნქციონირებაში შემავალი ცილების მომატებული შემცველობა მონელებისათვის ბევრ სითხეს მოითხოვს.

● ხელოვნური საკვების შერჩევისას დაწვრილებით წაიკითხეთ ყუთზე აღნიშნული ყველა რეკომენდაცია.



● ჭამიდან ჭამამდე შუალედი 3,5 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს, რადგან ხელოვნური ნარევის გადამუშავებასა და ათვისებას საჭმლის მომწელებელი აპარატის უფრო ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა ესაჭიროება, ხოლო უწესრიგო კვება მის მოშლას გამოიწვევს.

● თუ ბავშვი უარს ამბობს საკვების ნორმული რაოდენობის ბოლომდე ჭამაზე, ნუ დააძალებთ. სისტემატური გადაძებება კუჭის გაზრდას იწვევს და პატარა ეჩვევა ზედმეტ ჭამას.

● საკვები საწოვარადან თავისუფლად არ უნდა იღვრიოდეს. ამგვარად ბავშვი ვერ ნაყრდება და ითხოვს დამატებით საკვებს, რომელიც ნაწლავების ზედმეტი დატვირთვის მიზეზი ხდება.

● თუ ბავშვი კარგად იტანს თქვენ მიერ შერჩეულ საკვებს, არ არის საჭირო მისი გადაყვანა სხვა ნარევეზე, რადგან ყოველ ახალ პროდუქტს ორგანიზმი თავიდან უნდა შეეგუოს.

● კვების დროს საკვები მთლიანად უნდა ავსებდეს საწოვარას, რათა ბავშვმა არ ჩაყლაპოს ჰერი და შემდეგ არ ამოაქარვოს.

● ახალი სახის დამატებითი საკვების შემოტანაც გარკვეული წესის დაცვით უნდა მოხდეს.

ახალ საკვებთან პირველი ნაცნობობა უნდა შედგეს ჭამის წინ. როცა ბავშვი მშობრია, იგი მთლიანად შეექცევა უცნობ კერძს. დასაწყისისთვის საკმარისია ახალი საკვების 2-3 ჩკ.

● უმჯობესია, ახალი საკვები მისცეთ დილით და დააკვირდეთ ორგანიზმის რეაქციას დღის განმავლობაში.

● 10-12 დღეში თანდათანობით გაზრდით დანამატის რაოდენობას 150 მლ-მდე და მთლიანად შეცვლით ერთ კვებას.

### შორენა მერკვილაძე

საუბარი ნათლობის საიდუმლოზე, მის ღრმა შინაარსზე „გზის“ წინა ნომერში დავეინყეთ. იმის გათვალისწინებით, რომ ნათლობის არსთან და სარიტუალო მხარესთან დაკავშირებით ხალხში ბევრი საკითხის სხვადასხვა ვერსია არსებობს, ზოგიერთი ადამიანი კი მცდარ წესებსაც მისდევს, განმარტება თელეთის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელს, მამა ბასილს (იაშალაშვილს) ვთხოვეთ.



— სავალდებულოა თუ არა, დაბადებიდან მეორმოცე დღეს ჩვილის მონათვლა?

— ჩვილის მონათვლა დაბადებიდან მეორმოცე დღეს, სავალდებულო არ არის. მაგრამ უკეთესია, 40 დღემდე მონათლოს, რათა მალე განიწმინდოს ადამისუელი, პირველქმნილი ცოდვისგან, რომელიც ჩასახვისთანავე გადადის ყველა ადამიანზე. აგრეთვე მონათულ ბავშვს, ღმერთი უგზავნის მფარველ ანგელოზს, რომელიც ეშმაკისგან და სხვა განსაცდელისგან იფარავს. თუ ჩვილი ავადა და მისი დაღუპვის საშიშროება ჩნდება, ის მაშინვე უნდა მონათლოს, რომ მოუნათლავე არ გარდაიცვალოს და მისი სული არ წარიწყმიდოს.

— შეიძლება თუ არა, მონათლოს ორსული ქალი?

— ორსული ქალის მონათვლა შესაძლებელია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს, მხოლოდ დედა ინათლება.

— აუცილებელია თუ არა, გარდაცვლილი ადამიანის ოჯახის მოუნათლავე ნევრის მონათვლა, დაკრძალვამდე?

— ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, მოუნათლავე ადამიანის ნათლობა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

— არსებობს აზრი, რომ დედას არა აქვს შვილის ნათლობაზე დასწრების უფლება. რამდენად გამართლებულია ეს, ეკლესიური სწავლებით?

— დედას შვილის ნათლობაზე დასწრება მხოლოდ მშობიარობიდან 40 დღის მანძილზე არ შეუძლია, რადგან ამ დროს ტაძარში შესვლა და სიწმინდეებთან მიახლება ქალს ეკრძალება. მე-40 დღეს, ტაძრის კარიბჭესთან, მღვდელი უკითხავს განწყობის ლოცვას, რის შემდეგაც შეუძლია ტაძარში შევიდეს და საეკლესიო საიდუმლოებებსაც დაესწროს.

— თუ შეიძლება ნათლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ნათლიას ან

## რა უნდა გიცოდეთ ნათლობის შესახებ

ნათლულს, აქვს დედათა წესი?

— ასეთ შემთხვევაში ნათლობა დაუმკებელია, მაგრამ თუ ადამიანის გარდაცვალების საშიშროება დგას, ასეთ დროს აუცილებლად უნდა მონათლოს. თუ დედათა წესი მხოლოდ ნათლიას აქვს, მღვდელს მისი ლოცვაში მოხსენიება შეუძლია, თვითონ კი ნათლობის საიდუმლოს არ უნდა დაესწროს.

— რა აუცილებლობას წარმოადგენს ნათლობისას თეთრი საბურველი და ჯვარი?

— თეთრი საბურველით შემოსვა, სიმბოლურად, ახალმონათლულის სულის სისპეტაკეზე მიგვანიშნებს. ჯვრის ტარებით კი, ჯვარცმულ იესო ქრისტეს ვცემთ თაყვანს და ვაღიარებთ ჯვარცმულს, რამეთუ უფალმა ჯვარცმის ტკივილები, ადამიანებისთვის მარადიული ცხოვრების მისანიჭებლად დაითმინა. ამასთანავე, ჯვარი ეშმაკისგან გვიცავს.

— აუცილებელია თუ არა, ნათლობის ჯვრის ტარება და როგორ მოვიტვივოთ, თუ ნათლობის ჯვარი დაგვეკარგა?

— აუცილებელია, რომ ქრისტიანი ატარებდეს ჯვარს, მაგრამ სავალდებულო არ არის, რომ ეს იყოს ნათლობის ჯვარი. თუ ნათლობის ჯვარი დაგვეკარგა, შეიძლება, ვატაროთ სხვა ჯვარი.

— როდის უნდა დავანთოთ ნათლობის სანთლები?

— ნათლობის სანთლები შეიძლება ნათლობის შემდეგაც დავანთოთ ტაძარ-

ში ან წავიღოთ სახლში და ლოცვის დროს ავანთოთ.

— რამდენი ნათლია უნდა ჰყავდეს ადამიანს?

— საკმარისია, ადამიანს ჰყავდეს ერთი ნათლია.

— შეიძლება თუ არა, რომ ნათლია ბავშვი იყოს?

— ნათლია შეიძლება იყოს ადამიანი იმ ასაკიდან, როდესაც გაცნობიერებული აქვს მართლმადიდებლური სარწმუნოება, იცის, რა არის ნათლობა და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას.

— შეიძლება თუ არ ნათლის გადარჩევა — მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ნათლისა და ნათლულის ოჯახის წევრებს შორის ხდება ხორციელი ღალატი, ანუ აფხორცობით ნათელმირონობის შებღალვა?

— ნათლის გადარჩევა, ეკლესიური სწავლების თანახმად, დაუშვებელია. რაც შეეხება ნათელმირონებს შორის ხორციელ ღალატს — ცოდვის ჩამდენმა უნდა თქვას აღსარება და ეს ცოდვა მოინანიოს.

— როგორ უნდა იზრუნოს ნათლულმა გარდაცვლილი ნათლისთვის?

— ნათლულმა უნდა ილოცოს გარდაცვლილი ნათლის სულისთვის.

— სავალდებულოა თუ არა, ნათლიასთან სტუმრობა ნათლისღებას?

— ნათლისღებას ნათლიასთან მისვლა სავალდებულო არ არის.

— არსებობს აზრი, რომ ადამიანს, რომელსაც შვიდი ნათლული ჰყავს, ცოდვები მიეტევება. რამდენად მართებულია ეს, ეკლესიური სწავლებით?

— ადამიანს ცოდვები მიეტევება იმ შემთხვევაში, როდესაც ნანობს ჩაღვნილ ცოდვებს. აღსარებას ამბობს მღვდელთან და ეზიარება. ამიტომ, ეკლესიური სწავლებით, ეს მოსაზრება არასწორია.

— შეიძლება თუ არა, ნათლიად ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც ნათლობის საიდუმლოს შესრულებას არ ესწრება?

— თუკი ადამიანი ვერ ახერხებს ნათლობაზე დასწრებას, უნდა მოხდეს მისი, როგორც ნათლის, ლოცვაში მოხსენიება.

— როდის იკრძალება ნათლისა და ნათლულის ოჯახის წევრებს შორის ქორწინება?

— არ შეიძლება მხოლოდ, რომ ნათლია შეუღლდეს ნათლულთან ან ნათლულის დედასთან.

		პოპულარ- თეატრალ- ური ბროდვეიზე	დასამუ- ნებელი ბოსტნეუ- ლი			„აქცია- რომელიც იცინის“ (პერსონაჟი)	ოვოსლავე- ური საკა- ლაბურთო კლუბი		კალმანის ოპერეტა	
										ლოლენს ოლივის ყოფილი მეუღლე
		სახის კოსმეტი- კით დაფარვა								
		„შემოდგო- მის მართონი“ (მსახიობი)							პიტლერის საყვარელი მსახიობი – ... როკი	
ალიგა- ტორი			სცენის გასაჩუქი მოწყობი- ლობა	ლუმს ვაშს ცხოველი ჩინური ჭადრაკი				ცეცხლის დასანთები ჭა	ზანთა კვარტალი ნიუ- იორკში	
						ო. უაილი „ლორან – პორტრე- ტი“				
იაპონური თეატრი	სშირზაო- ბამის ქსოვილი		შხის სისტემის პლანეტა				ჩეხური ავტომო- ბილი	მსოფლიოს ქმს- ჩემპიონი ჭადრაკში	უჩელოსი ფრანგული საუჯულო ფორმ	
მიმდინარ- ეობა პოპ- მუსიკაში				ძრავლკე- თხურ- ფორმანი მეტი სხეული						
							პიონერთა ბანაკი ყირიმში			
სამკურნა- ლო მცენარე	პრესტი- ჟული ჯინსი		დედის ან მამის დედა	გამაღილებ- ელი შუმა			საფეხ- ბურთო მატჩის ნახევარი			
კულფეც ამხელულოდ მულტეული ქმ										
„ოსები და მისი ძმები“ (ავტორი)		ლ ტოლტო „ომ და მშველბა“ (პერსონაჟი)	ფრანგი ფერმწერი							
რაიმე სამუშაოს მეთვალფ- ურე		მოკმედი პირი ოპერისა „დაისი“	ფრანგი პოეტი- სიმბოლის- ტი	ტბა ჩრდილო ამერიკაში						
აქსელმის მოცდე ეთვის სეფარული		ძრავის მოძრაი ნაწილი		რელიზური კონსერვტუ- ელ პრტის მეტასელი		<b>შეაფგინა რამაზ ალანიამ</b>				

# კვირის (4 - 10 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღრინაპალი - 24/X-22/XI



ეს კვირა ფრიად რაციონალისტური იქნება თქვენთვის. თავად შეეცდებით, თითოეული საკითხი ძირისძირობამდე შეისწავლოთ და მხოლოდ შემდეგ იმოქმედოთ. შესაძლოა, ასეთმა მიდგომამ სამსახურში გარკვეული წარმატება მოგიტანოთ, თუმცა ეს დიდ კმაყოფილებას მაინც ვერ მოგვეკრით.

## ეპილონი - 23/XI-21/XII



ეს კვირა ჰუმანიტარათვის უფრო ხელსაყრელია და თქვენი ზოლიაქოსთვისაც იღბლიანი უნდა იყოს. რაც შეეხება უბრალო, ადამიანურ ურთიერთობას - ამ მხრივ, უკლებლივ ყველა მშვიდდოსანი შეუდარებელი იქნება. გამორიცხული არ არის, რომ თქვენთვის ზედმიწევნით ხელსაყრელი წინადადებებიც მოგმართონ.

## თხის რქა - 22/XII-20/I



კვირის დასაწყისიდანვე შესაშური მონღომებით დაიწყებთ მიზნის მისაღწევი გზის გაკვლევას და ყველაფერს იღონებთ ღაბრკოლებების გადასალახავად, მაგრამ სიფრთხილევ გამართებთ, თქვენი ენერგიული მოქმედება ვიღაცას შეიძლება თვალში არ მოუვიდეს. ემოციების დაოკება პარასკევამდე უნდა მოახერხოთ - უქმეებისთვის გრძობები ისედაც დაგიცხრებათ.

## მერკური - 21/I-19/II



ამ კვირაში დისკომფორტს იმის გამო იგრძნობთ, რომ სხვათა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება მოგიწევთ: სამსახურში ეს ჩვეულებრივი აუცილებლობით იქნება განპირობებული, ოჯახში კი - ზოგიერთი წევრის ძლიერი ნებისყოფით. რა გაეწყობა? - მოითმინეთ და შეეცადეთ, ელასტიკურობა გამოიჩინოთ ადამიანებთან ურთიერთობაში.

## თაყვანი - 20/II-20/III



კვირის დასაწყისში, მხიარული, გაბედული, ენერგიული და იღბლიანი იქნებით. ამიტომაც, მიზანსწრაფვა წარმატებას მოგიტანს. კვირის შუა პერიოდში მალაზიებსაც შეგიძლიათ ეწვიოთ და კარგი შენაძენიც გექნებათ. უქმეებში სტუმრების მისაღებად მოემზადეთ - ნათესავების შემოსევა გელით.

## მერი - 21/III-20/IV



ეს კვირა მოულოდნელი და შესაძლოა, არცთუ ისე სასიამოვნო სიურპრიზებით დაიწყოს და გეგმებიც შეიცვალოს: ორშაბათს პრობლემები ბავშვებთან ურთიერთობაში შეიძლება გაიჩნდეთ. საერთოდ, ამ კვირაში მილიანად სამსახურებრივ საქმეებში ჩაეფლობთ, დაძაბულობა კი ემოციების ამოფრქვევას გამოიწვევს. კარგი იქნება, თუ მაქსიმალურად დაიოკებთ გრძობებს და კონფლიქტში არ ჩაებმებით.

## კურო - 21/IV-21/V



ამ კვირაში უამრავ კითხვაზე პასუხის მოძებნა მოგიწევთ. გადაწყვეტილების მიღებას სამსახურებრივი საქმეებიც მოგთხოვთ და საშინაო პრობლემებიც. ამასთან, ადამიანებთან ურთიერთობაში ეცადეთ, რაც შეიძლება გახსნილი და გულახდილი იყოთ: ეს აღნიშნული პასუხების მოძებნაშიც დაგეხმარებათ. უქმეებში ეცადეთ კარგად დაისვენოთ.

## მარსი - 22/V-21/VI




კვირის დასაწყისში სამსახურში საორგანიზაციო ცვლილებები გელით. შესაძლოა, ამ ცვლილებების თქვენული ხედვა, უფროსობის შეხედულებებს არ დაემთხვეს, მაგრამ ამის გამომჟღავნება შედეგს არ მოგიტანს. ამიტომ ჯობს თქვენი თვალსაზრისი მხოლოდ ახლობელ ადამიანებს გააცნოთ... უქმეებში კი, კინოში წასვლას გირჩევთ.

## ბირთვი - 22/VI-22/VII



ორშაბათი და სამშაბათი ძალიან ნაყოფიერი გექნებათ - თანამშრომელთა ქებასაც დაიმსახურებთ, მაგრამ შემდეგ დღეებში სიტუაცია გაგირთულდებათ და თქვენი მონდობაც საგრძნობლად დაიკლებს. სამაგიეროდ, რისკიანი ნაბიჯების გადადგმის სურველი გაგიძლიერდებათ და შაბათს შესაძლოა, პირდაპირ კაზინოშიც ამოყოთ თავი...

## ლომი - 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისში მზად იყავით, მოისმინოთ კრიტიკა, რადგან არც ერთ თქვენს ნაბიჯს სამსახურში მხარდაჭერა არ ექნება. თუმცა, ეს დიდად არ დაგწყვეტთ გულს: კარიერის გარდა, უამრავი სხვა ინტერესი გაქვთ, თანაც ამ კვირაში, მეგობრებთან ერთად, საინტერესო წვეულებაც გელით.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



საქმიან წარმატებებსა და კარიერაში წინსვლას უნდა ელოდოთ. თუმცა, ცხადია, ეს პასუხისმგებლობასაც გაგიზრდით და მოვალეობის სიმძიმესაც. და მაინც, სახარბიელო წინადადებაზე უარს ნუ იტყვით, უქმეებში კი, შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ და ისიამოვნოთ. შაბათს დიდი ხნის ნანატრ ცნობას მიიღებთ.

## სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირაში ბევრი ღაბრკოლება შეგხვდებათ, სამსახურში კი გამუდმებით თქვენი ქვლეების არასწორ შეფასებას წააწყდებით. ნუ იდარდებთ - სამაგიეროდ, პირად საქმეებში ყველაფერი საუცხოოდ აგეწყობათ. ნატიფი თუმბორი და დახვეწილი მანერები ნებისმიერ ადამიანს თქვენდამი დადებითად განაწყობს, რაც ახალი რომანის დაწყების საფუძველია.



# ნიჭიერია თუ არა თქვენი უპილი?

ბუნებრივია, ყველა მშობელს მიაჩნია, რომ მისი შვილი ყველაზე უკეთესი, ნიჭიერი და ჭკვიანია. სხვათა შორის, ნაწილობრივ, ეს სიმართლეს შეესაბამება, რადგან უნიჭო ბავშვი თურმე არ არსებობს. მთავარია, მშობელმა დროულად გამოავლინოს და სწორად წარმართოს მისი ნიჭი.

ქვემოთ მოყვანილი ტესტი ფსიქოლოგებმა წიდან 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შეადგინეს. მისი მეშვეობით შეძლებთ გაერკვეთ, საით უნდა მიმართოთ თქვენი შვილის ნიჭი, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ეს ტესტი არ არის სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა, თუმცა მისი შედეგები შვილის უკეთ გაგებაში ნამდვილად დაგეხმარებათ.



1) ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ თქვენს შვილს რაიმე ჩვეულებრივი ნივთი უჩვეულო დანიშნულებით გამოეყენებინოს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

2) ხშირად იცვლის თუ არა თქვენი შვილი შეხედულებებს და ხასიათს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

3) უყვარს თუ არა აბსტრაქტული, გაურკვეველი ნახატების ხატვა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4) სიამოვნებით უყურებს თუ არა ფანტასტიკის ჟანრში გადაღებულ ფილმებს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

5) წერს თუ არა ლექსებს ან პატარა მოთხრობებს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

6) იტაცებს თუ არა ქალაქისგან უცნაური ფიგურების გამოჭ-

რა ან აპლიკაციების შექმნა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

7) იჩენს თუ არა ინდივიდუალურ გემოვნებას ტანსაცმლის ან სათამაშოს შერჩევის დროს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

8) უცდია თუ არა ოდესმე საკუთარი გემოვნებით ოთახის მოწყობა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

9) ეშინია თუ არა სიბნელის?

- ა) ღიახ - 0;
- ბ) არა - 1.

10) ხშირად ითხოვს თუ არა გაურკვეველი სიტყვების განმარტებას?

- ა) ღიახ - 0;
- ბ) არა - 1.

11) კითხულობს თუ არა წიგნს, რომელიც ნაკლებადაა ილუსტრირებული?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

12) იგონებს თუ არა რაიმე

თამაშებს ან გართობის უჩვეულო სახეობებს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

13) იმასსოვრებს თუ არა ღამით ნანახ სიზმრებს?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

14) დაგყავთ თუ არა მუზეუმებსა და სურათების გალერეებში?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

15) მოუთხოვია თუ არა ოდესმე თეატრში წაყვანა?

- ა) ღიახ - 1;
- ბ) არა - 0.

## დააჯამეთ კულები

0-3 კულა: თქვენს შვილს შემოქმედებითი ნიჭი ნამდვილად არ გააჩნია, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მას რაიმე კონკრეტული გატაცება გამოუჩნდეს. ყურადღებით შეისწავლეთ მისი მისწრაფებები და ხელი შეუწყოთ შვილს ინტერესების დამაყოფილებაში.

4-7 კულა: ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტას თქვენი შვილი მხოლოდ მაშინ უთმობს ყურადღებას, როცა ამ საქმით თვითონაა დაინტერესებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყველაფერს უგულისყუროდ აკეთებს. ნუ ჩათვლით ამას სიზარმაცედ და ბავშვის აღზრდისას, უფრო მეტად გაითვალისწინეთ მისი ინტერესებისა და

მისწრაფებების სფერო.

8-11 კულა: თქვენი შვილი ნამდვილად გონიერი ბავშვია, მისი შესაძლებლობების მქონე მოზარდს საკმაოდ ბევრ სფეროში შეუძლია წარმატების მიღწევა, თუმცა, მისი უარყოფითი მხარე ის არის, რომ მოვლენებისა და საგნების შესახებ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ნაკლებად უყვარს.

12-15 კულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიჭიერი და გამორჩეული შვილის მშობელი ხართ. მთავარია, ხელი შეუწყოთ განათლების მიღებაში, არ დააბრკოლოთ მისი ორიგინალური აზრები და იდეები — ის აუცილებლად შემოქმედი ადამიანი დადგება.

# 11 სექტემბრის აჩილი ახალბედანდიუს სტადიონზე

სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის – „ჰერკულესის“ პილოტმა, ახალი ზელანდიის ჯგუფის სტადიონის მაცურებლები დააფრთხო, როცა ტრიბუნებს რამდენჯერმე, თითქმის თავზე გადაუფრინა. მაცურებელთა თქმით, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თვითმფრინავი ტერორისტების მიერ იყო გატაცებული და წუთი წუთზე შეასკდებოდა ტრიბუნებს. მთელი სტადიონი პანიკამ მოიცვა, ხალხი თავს გაქცევით შეელოდა, ზოგი კი შოკში ჩავარდა. თვითმფრინავმა ძალზე დაბალ სიმაღლეზე ტრიბუნებს რამდენჯერმე გადაუფრინა და შემდეგ გაფრინდა. ახალი ზელანდიის სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ ინციდენტის გამო ბოლიში მოიხადა და პირობა დადო, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ექნება.

# სვაზილენდის მეფის ცოლის ნახომევას უპიიებენ

სვაზილენდში არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მონარქი ყოველ წელიწადს ახალ საცოლეს ირჩევს. მონარქის მამა, სობხუზა მეორე, დიდხანს მართავდა სამეფოს და 99 საცოლის არჩევაც მოასწრო. სექტემბერში გამართულ ცერემონიაზე, რომელსაც „ლერწმის ცეკვა“ ეწოდება, ათასობით ლამაზმანს შორის, მსტისლავ მესამემ 18 წლის ზენა დლამინი აირჩია. იგი 34 წლის მეფის მეცხრე საცოლეა. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ლინდივე დლამინი – მეფის საცოლის მარტოხელა დედა, სარჩელი შეიტანა სასამართლოში და ქალიშვილის დაბრუნება მოითხოვა. პარალელურად ლინდივემ მოსახლეობას მეფის წინააღმდეგ ამბოხებისკენ მოუწოდა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა და მსტისლავ მესამისათვის ყოველწლიურად საცოლის არჩევის უფლების ჩამორთმევა მოითხოვა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სვაზილენდის მეფეებს ამ უფლებას ედავებიან. მარტოხელა დედის თქმით, მან სასამართლოს, ზენას შინ დაბრუნებაში დახმარება სთხოვა, რათა გოგონამ საცოლის დამთავრება შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოცდებს ვერ ჩააბარებს და მთელი სასწავლო წელი გაუცდება.



კანონის მიხედვით, ჩვეულებრივ მოკვდავს მეფის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლება არა აქვს, ვინაიდან, მონარქის გასამართლება არ შეიძლება. თუმცა, სასამართლომ მეფის ორი დიდებულის (რომლებმაც გოგონა უშუალოდ წაიყვანეს შინიდან) წინააღმდეგ, მაინც აღძრა საქმე. ამით, ლინდივე დლამინის, სამეფო სახლის რეპუტაციის შელახვა სურს, რათა ამ გზით აიძულოს მეფე, შვილი დაუბრუნოს.

# ბეები ვატიანის „ცხვირინ“ დაქოხნიდნენ

რომის ცენტრში, იტალიის ისტორიაში პირველად, ჰომოსექსუალისტთა ქორწინება შედგა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ კათოლიკური ეკლესიის რადიკალების თავდასხმა, ცერემონია საფრანგეთის საკონსულოს შენობაში ჩატარდა და იგი სულ ერთ წუთს გაგრძელდა. საკონსულოს წარმომადგენლებმა თავაზიანად დაუთმეს საკუთარი ტერიტორია ახალგაზრდა ყმაწვილკაცებს თავიანთი ოცნების განსახორციელებლად. ყმაწვილკაცებმა ერთმანეთს ერთგულედა შეპყვიცეს, სპეციალურ სარეგისტრაციო წიგნში მოაწერეს ხელი და ცერემონიაც დამთავრდა. სიჩქარის გამო, ბეჭდებიც კი საკონსულოდან გამოსვლის დროს გაცვალეს.



პირველი კანონიერი იტალიური ერთსქესიანი ოჯახის შექმნას, ზემოთ შეხვდნენ იტალიელ ჰომოსექსუალისტთა აქტივისტები. საკონსულოდან გამოსული წყვილი ხელში აიტაცეს და ორიოდე წუთის განმავლობაში ჰაერში ისროდნენ. ამის შემდეგ, ახალგაზრდები ახლობლებთან ერთად, ზემოთ აღსანიშნავად რესტორანში წავიდნენ.

ცერემონიის დამთავრებიდან სულ მოკლე ხანში, საკონსულოს შენობასთან ანაფორაში გამოწყობილმა რამდენიმე სასულიერო პირმა მოიყარა თავი, მაგრამ როცა იქ არავინ დახვდათ, მალევე დაიშალნენ.

# მაიოხიაზე ოხთავიანი გველი დაიჭიხეს


ამას წინათ, ესპანეთის კუნძულ მაიორკაზე მდებარე სასტუმრო „პალმას“ ბაღში ორთავიანი გველი დაიჭირეს, რომელიც მაშინვე მეცნიერების ინტერესის ობიექტი გახდა. ქვეწარმავალი სპეციალისტებმა გულდასმით გამოიკვლიეს, მაგრამ მუტაციის მიზეზი ვერ დაასახელეს. მათ მხოლოდ ის დაადგინეს, რომ იგი *Macroprotodon Cucullatus*-ის სახეობის წარმომადგენელია და მწერებით იკვებება. მართალია, გველს ორი თავი აქვს, მაგრამ იგი პრინციპში ჯანმრთელი ეგზემპლარია და ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია, სიბერემდე იცხოვროს.



პროფესორ გორდონ ბურგნარტის აზრით, ასეთი ანომალიები დისკომფორტს რომც არ იწვევდეს, ცოცხალი ორგანიზმების ბუნებას მაინც ცვლის. ორთავიანი გველს გადაადგილების პრობლემა აქვს, რასაც თავის ორ წყვილ თვალს უნდა „უმაღლოდეს“: ქვეწარმავალმა უბრალოდ აღარ იცის, საით წავიდეს და საბოლოოდ, ეს მისი რეაქციის სისწრაფეს აქვეითებს.

# ჟოკოკუნიონები

პირ  
2110



6116 / 34

# სიხილი ჯანმრთელობა!

ფასი: 50 თეთრი

## მედიკალი



29.10-4.11. 2002წ. სპირულ-რეპრობული ჟურნალი

N:27

გადაწყვიტეთ  
ყველაფერი!

გამაცანი  
მკვლეა,  
შავმკვირის  
ჯამ.




საოჯახო  
ურსი

საიღებლო  
შახალები

„ბომბა“ ნაშველი  
აშუბი...

ბავშვი ეძახე  
შენ და...



სახლავ

სპორტული  
გვერდი

ან უკოცები

ბენიკანგურები